კომუნიკაციების
კომისია

# 2019 წლის ანგარიში

კომუნიკაციების
კომისია

**კახა ბექაური – კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარე** ... 6
**Sheamotsme.ge – ინტერნეტის ხარისხის კონტროლი** ... 8
**მედიაწიგნიერება** ... 10
**მედიააკადემია** ... 16
- მედიაკრიტიკა ... 18
- მედიასკოლა ... 20
- მედიალაბი ... 26

**5G ტექნოლოგიის განვითარებისა და ხელშეწყობის სტრატეგია** ... 28
**მობილური და ფიქსირებული ბაზრის ლიბერალიზაცია** ... 30
- სატარიფო პოლიტიკა ... 30
- აბონენტებს „მაგთი ფიქსის“ სერვისი შეუნარჩუნდათ ... 31
- მცირე და საშუალო ზომის ოპერატორებს ინტერნეტის საბითუმო მომსახურების ხარჯი 10-ჯერ შეუმცირდათ ... 31
- გლობალურ ინტერნეტზე ზედა ზღვრული ტარიფი 32 ლარიდან 9 ლარამდე შემცირდა ... 32
- მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის ტარიფები 4-ჯერ შემცირდა ... 33
- ბაზარზე მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) დაშვება ... 34

**M2M და IoT მომსახურებების განვითარება** ... 35
**ნუმერაციის მართვის სისტემა** ... 36
**მობილური სატელეკომუნიკაციო ქსელების დაფარვის ანალიზის პორტალი** ... 37
**მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების ხარისხის რეკომენდირებული მაჩვენებლები** ... 37
**ელექტრონული კომუნიკაციების დარგის განვითარების ტენდენციები** ... 38
- მობილური კომუნიკაციები ... 39
- მობილური შემოსავლები მშპ-სთან მიმართებაში ... 41
- ARPU ... 43
- ხმოვანი ტრაფიკი და MOU ... 45
- მობილური ინტერნეტი ... 46
- სახელმწიფო კონსოლიდირებული ტენდერი ... 51
- როუმინგი ... 54
- მობილური ნომრების პორტირება ... 56
- მობილური აპარატების განაწილება მწარმოებლების მიხედვით ... 57
- მობილური კომუნიკაციების 2019 წლის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები ... 58
- ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება ... 59
- ფიქსირებულ ინტერნეტთან კომბინაციაში სხვა საკომუნიკაციო მომსახურებების მოხმარება ... 74
- ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება ... 75
- მაუწყებლობის ტრანზიტი ... 77
- მულტიპლექს მომსახურება ... 82
- ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციები ... 83

**მაუწყებლობის დარგის განვითარების ტენდენციები** ... 86
- პირდაპირ რეჟიმში და გადახვევითრეჟიმში ყურებადობის ქცევა ... 92
- მაუწყებლობაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციები ... 95

**სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანები** ... 96
**წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი** ... 97
**ლეგალური კონტენტი** ... 99
**ქართული კანონების ჰარმონიზაცია ევროპულ კანონმდებლობასთან** ... 100
- „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებების პაკეტი ... 100
- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებები ... 101
- სატელეკომუნიკაციო და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ინფრასტრუქტურის გაზიარების კანონპროექტი ... 102

**საერთაშორისო თანამშრომლობა** ... 102
**დანართები** ... 104
- კომისიის სტრუქტურა ... 104
- კომისიის ბიუჯეტი ... 105
- მომხმარებელთა საჩივრების სტატისტიკა ... 106
- ლიცენზირება და ავტორიზაცია ... 107
- რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმა და თავისუფალი სიხშირული რესურსი ... 108
- კომისიის მიერ მიღებული დადგენილებები ... 108
- განხილული დავები ... 110
- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება ... 111
- დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა ... 122
- სასამართლო დავები (მათ შორის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები) ... 122
- აუდიტის დასკვნა ... 133



## კახა ბექაური

### კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარე

მსოფლიოში covid-19-ის პანდემიით გამოწვეულმა რეალობამ კიდევ უფრო ნათლად დაგვანახა ყველას სატელეკომუნიკაციო სფეროს სტრატეგიული მნიშვნელობა, კიდევ ერთხელ ცხადყო, როგორ გახდა სატელეკომუნიკაციო სერვისები ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პირობებში, სატელეკომუნიკაციო მომსახურებებმა ყველა მოქალაქისთვის კრიტიკული მნიშვნელობა შეიძინა. არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მთელ მსოფლიოში კომუნიკაცია სრულად ინტერნეტ სერვისებზე გადავიდა. ჩვენი სფეროს საამაყოდ უნდა ითქვას, რომ პანდემიით გამოწვეულ კრიზისულ სიტუაციას ქართულმა სატელეკომუნიკაციო სექტორმა წარმატებით უპასუხა. სახელმწიფო სტრუქტურების, სასწავლო დაწესებულებების, კერძო სექტორის დისტანციურად მუშაობა, ინფორმაციის უწყვეტ რეჟიმში მიღება, სხვადასხვა აპლიკაციის, თუ ვებ-გვერდის საშუალებით მომსახურების მიღება - ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა კომისიისა და სფეროს წარმომადგენლების ეფექტიანი მუშაობა.
ჩვენთვის ყოველთვის ცხადი იყო, რომ ტელეკომუნიკაცია ის სფეროა, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში მოითხოვს თავდაუზოგავ შრომას და განვითარებას. პანდემიამ და იზოლაციის პირობებში ცხოვრებამ ჩვენი სფეროს კიდევ უფრო განვითარებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საჭიროება ახლა თითქმის ყველა მოქალაქისთვის გახადა ნათელი.
მსოფლიო მასშტაბით, ტექნოლოგიების განვითარების უმთავრესი გზა, დღეს მე-5 თაობის ინტერნეტზე გადის. ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით, აქტიურად ვმუშაობთ, რომ 2020 წელს ჩვენმა ქვეყანამ 5G-ის გამოყენება შეძლოს. 5G ინტერნეტი აუცილებელი წინაპირობაა, რომ ქვეყანაში ისეთი მნიშვნელოვანი სფეროები, როგორიცაა ეკონომიკა, ჯანდაცვა, განათლება და სხვა კიდევ უფრო განვავითაროთ. ამიტომაც, პრინციპულად მნიშვნელოვანია ეფექტურად ვუპასუხოთ თანამედროვე გამოწვევებს და წამყვან ქვეყნებთან ერთად ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში მოწინავე ადგილი დავიკავოთ.
ბოლო წლებში კომუნიკაციების კომისიის ეფექტიანი მუშაობისა და ლიბერალური პოლიტიკის შედეგია ის, რომ საქართველო მსოფლიოში არსებულ გამოწვევებს წარმატებით პასუხობს. კორონავირუსის პანდემიის დროს კიდევ უფრო აქტუალური გახდა ინტერნეტის ხარისხის კონტროლის სისტემა, კომისიის ინოვაციური პროექტი - Sheamotsme.ge, რომელიც თითოეული მოქალაქისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფს. ინტერნეტის ხარისხის სისტემა 2019 წლის დასაწყისში დავნერგეთ, რომლის საშუალებითაც მომხმარებელს საკუთარ პროვაიდერზე კონტროლის საშუალება მივეცით. ჩვენ ვდგამთ ქმედით ნაბიჯებს, იმისთვის, რომ ყველა მომხმარებლის უფლება იყოს დაცული, რადგან სწორედ ჩვენი მოქალაქეების ინტერესების დაცვაა კომისიის მთავარი პრიორიტეტი.
ჩვენთვის მნიშვნელოვანია ჩვენს მოქალაქეებს არა მხოლოდ მაღალტექნოლოგიურ სერვისებზე ჰქონდეთ შეუფერხებელი წვდომა, არამედ მათ ციფრულ სამყაროში სწორი ნავიგაციისთვის საჭირო და აუცილებელი უნარები განვუვითაროთ. ტექნოლოგიურმა განვითარებამ ბევრ სიკეთესთან ერთად, ახალი გამოწვევებიც გააჩინა. სამყაროში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ინფორმაცია ელვის სისწრაფით ვრცელდება, ყალბ ახალ ამბებთან გამკლავების ერთადერთი იარაღი კი მედიაწიგნიერებით, ცოდნით შეიარაღებული მოქალაქეა. დღეს, როდესაც იმიტირებული რეალობით, ყალბი ინფორმაციით, ფსიქოლოგიური მანიპულაციით გამოწვეული საფრთხეები აშკარაა, არ მოვერიდები და ვიტყვი, რომ კომისია ამ გამოწვევას ჯეროვნად პასუხობს.
მედიაწიგნიერების განვითარების მიზნით, 2019 წელს მედიაკადემიასთან და განათლების სამინისტროსთან ერთად, უმნიშვნელოვანესი პროექტები განვახორციელეთ. ჩვენი შვილების ინტერნეტ საფრთხეებისგან დასაცავად გასულ წელს მედიაწიგნიერების დეპარტამენტმა 5 უმნიშვნელოვანესი პროექტი განახორციელა. „გამარჯობა რუბი“, Happy Onlife და „მედიის ეკონომიკა“ უკვე ერთი წელია საქართველოს სკოლებში ისწავლება. წარმატებით ჩავატარეთ ორი კონკურსი მაღალი კლასის მოსწავლეებისთვის - „ნამდვილი თუ მოგონილი“, რომელიც მოზარდებს კრიტიკულ ანალიზს უვითარებს და ყალბი ინფორმაციის ამოცნობას ასწავლის.
თავისუფალი და თანამედროვე საზოგადოების მთავარ გამოწვევასთან გასამკლავებლად მედიააკადემია სამი მიმართულებით მუშაობს. უმნიშვნელოვანესია, საზოგადოებასთან ერთად, თანამედროვე გამოწვევებს მედიამ სათანადოდ უპასუხოს. მედიააკადემია, მედიასკოლისა და მედიაკრიტიკის საშუალებით, ჟურნალისტებს ამ გამოწვევასთან გამკლავებაში ეხმარება. მედიის წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გასულ წელს ძალიან ნაყოფიერი სამუშაოები ჩაატარა მედიასკოლამ და 120-ზე მეტი ჟურნალისტი გადაამზადა. 2019 წელს დაიწყო ფუნქციონირება მედიაკრიტიკის პლატფორმამ, რომელიც თავად ჟურნალისტებსა და პროდიუსერებს უწყობს ხელს პროფესიულ განვითარებაში. მედიაკრიტიკა არის გზამკვლევი საზოგადოებისთვის ხარისხიანი და უხარისხო მედია პროდუქტის გასარჩევად. მედიაკრიტიკა ინფორმაციის კრიტიკულად გააზრებას და საბოლოო ჯამში, ინფორმირებული არჩევანის ხელშეწყობას ისახავს მიზნად, რადგან საუკეთესო არჩევანის გაკეთება მხოლოდ სწორად ინფორმირებულ მოქალაქეს შეუძლია.
2019 წელს დაიწყო მუშაობა მედიალაბმა – 2020 წელს ეს იქნება ლაბორატორია, რომელიც ხელს შეუწყობს ციფრული მედიის მიმართულებით სტარტაპების მხარდაჭერას და დაფინანსებას. ეს იქნება ადგილი, სადაც სტარტაპერებს, რომლებსაც ციფრული მედიის მიმართულებით საინტერესო და ინოვაციური იდეები ექნებათ, პროექტების განხორციელებაში დავეხმარებით. გვჯერა, რომ სწორედ ასეთი, კომპლექსური მიდგომა გამოიღებს საჭირო შედეგს.
2019 წელი სატელეკომუნიკაციო დარგისთვის მნიშვნელოვანი მიღწევებით და წარმატებებით იყო დატვირთული. პირველ რიგში, ბაზრის განვითარების მთავარ ინდიკატორებზე გავამახვილებ ყურადღებას, რადგან ბოლო წლების დინამიკა აჩვენებს, რომ სატელეკომუნიკაციო ბაზარი დინამიურად მზარდია.
2019 წელს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირების მიერ მიღებულმა შემოსავალმა 1,185 მლნ ლარი შეადგინა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ყოველწლიურად იმატებს ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის აბონენტების რაოდენობა. მაშინ, როცა 2018 წელს აღნიშნულ ბაზარზე პენეტრაცია 74.2% იყო, 2019 წელს ეს რიცხვი 80.8%-მდე გაიზარდა. აბონენტების რაოდენობის ასეთი ზრდა არის ყველაზე ზუსტი საზომი, თუ რამდენად სწრაფად ვითარდება ელექტრონული კომუნიკაციების სფერო.
გასული წელი ასევე ნაყოფიერი იყო ფიქსირებული და საბითუმო ბაზრის ლიბერალიზაციის კუთხით. თამამად ვაცხადებ, რომ ბოლო წლებში ჩვენ ამ მიმართულებით რევოლუციური გადაწყვეტილებები მივიღეთ.
ფიქსირებული ბაზრის ლიბერალიზაცია ელექტრონული კომუნიკაციების დარგში კონკურენტული გარემოს, ხარისხიანი სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიღებისა და მომხმარებლების ინტერესების დასაცავად ყველაზე აუცილებელი პირობაა. ჩვენი გადაწყვეტილებების შესაბამისად, მცირე და საშუალო ზომის ოპერატორებს ინტერნეტის საბითუმო მომსახურების ხარჯი 10-ჯერ შეუმცირდათ, განახევრდა ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო მომსახურების ტარიფები, გლობალური ინტერნეტის საბითუმო ტარიფი რეკორდულად შემცირდა, მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის ტარიფები 4-ჯერ შემცირდა, ასევე, მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე კომპანიებისთვის ურთიერთჩართვის მომსახურებაზე ახალი ზედა ზღვრული ტარიფები დავაწესეთ. ყველა გადაწყვეტილება, რომელიც საბითუმო ბაზრის ლიბერალიზაციისთვის მივიღეთ, მიმართულია ბაზრის გაჯანსაღებისკენ, ბაზარზე კონკურენციის გაზრდისა და მცირე და საშუალო ოპერატორების გაძლიერებისკენ. ყველა ეს გადაწყვეტილება საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ მომხმარებელს მოუტანს სიკეთეს, რომელიც გაზრდილი კონკურენციიდან გამომდინარე, ხარისხიან ინტერნეტს უფრო ხელმისაწვდომ და კონკურენტულ ფასად მიიღებს.
მობილური ბაზრის ლიბერალიზაციის მიმართულებით, 2019 წელს კომისიისთვის კიდევ ერთი გამოწვევა ამ ბაზარზე ვირტუალური ოპერატორების დაშვება იყო, რაც დარგის განვითარებისთვის აუცილებელი წინაპირობაა. ვირტუალური ოპერატორების ბაზარზე დაშვებით გაიზრდება კონკურენცია. ჩვენი გადაწყვეტილების შემდეგ, ვირტუალური ოპერატორები საკუთარი ინფრასტრუქტურის გარეშე, ბაზარზე თავისუფლად შეძლებენ უკვე არსებული დიდი ოპერატორების ინფრასტრუქტურით ისარგებლონ. ვირტუალური ოპერატორების ბაზარზე შემოსვლა მობილურ მომსახურებებზე კონკურენციას მაქსიმალურად გაზრდის, რაც იმის გარანტია, რომ პირველ ეტაპზე ფასების გაზრდა ვერ მოხდება, შედარებით გრძელვადიან პერიოდში კი, ეს გადაწყვეტილება ინტერნეტ სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდას შეუწყობს ხელს.
აუცილებლად უნდა შევეხო მაუწყებლობის სფეროს, ვინაიდან პლურალისტური მედია გარემო და გარანტირებული სიტყვის თავისუფლება ჩვენი მთავარი მონაპოვარია. დღეს საქართველოს მთელ ევროპაში ყველაზე ლიბერალური მედია პოლიტიკა აქვს. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ 2012 წლიდან ნებისმიერ მსურველს მაუწყებლობის დაწყება მარტივი ავტორიზაციით მხოლოდ 10 დღეში შეუძლია. ლიბერალური მედია პოლიტიკის ძალიან კარგი მაგალითია 2019 წელს სამაუწყებლო მედიაში განვითარებული მოვლენები. მას შემდეგ, რაც სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ყოფილ მფლობელს დაუბრუნდა, არხი ათობით ადამიანმა დატოვა. არხიდან პროტესტის ნიშნად წასულ ადამიანებს კომუნიკაციების კომისიამ უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეფერხების გარეშე, მაუწყებლობის ავტორიზაცია მისცა და მედია ბაზარზე ორი ახალი ტელევიზია გაჩნდა, რომლებიც ყოველგვარი ხელშეშლის გარეშე მაუწყებლობენ.
დღეს ქვეყანაში 100-ზე მეტი ტელევიზია, მრავალფეროვანი მედია და განუსაზღვრელი არჩევანი გვაქვს, რაც ქვეყნის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან სწორედ პლურალისტური მედია გარემოა დემოკრატიული ქვეყნის ფუნდამენტი. აქვე მინდა შევეხო სამაუწყებლო სარეკლამო ბაზარს, რომელიც სატელევიზიო მედიის განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ქართული სარეკლამო ბაზრის მოცულობა 100 მაუწყებლისთვის საკმარისი ნამდვილად არ არის. ამას ემატება სარეკლამო ბაზარზე არსებული ახალი ტენდენციები, რომელზეც უკვე მესამე წელია ვსაუბრობ. თანამედროვე სამყაროში, სადაც ყოველდღიურად ინერგება ახალი ტექნოლოგიები, ციფრული მედიის განვითარებასთან ერთად, სარეკლამო შემოსავლები ტრადიციული მედიიდან სწორედ ახალ მედიაში მიედინება და ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად მზარდია. ეს ტენდენცია ფიქსირდება მთელ ევროპაში, სწორედ ამიტომ, კიდევ ერთხელ მინდა მოვუწოდო მაუწყებლებს, მათ მენეჯერებს, რომ ფეხი აუწყონ თანამედროვე გამოწვევებს და განავითარონ ციფრული პლატფორმები.
და ბოლოს, აუცილებლად მინდა მადლობა გადავუხადო კომისიის თითოეულ თანამშრომელს, ჩემი გუნდის თითოეულ წევრს, ყველა იმ პროექტისა და წარმატებისთვის, რომელიც 2019 წელს გვქონდა. ჩვენთვის ეს მიღწევები ნამდვილად საამაყოა, თუმცა, ასევე კარგად ვაცნობიერებთ იმასაც, რომ წინ კიდევ უფრო დიდი გამოწვევებია. სატელეკომუნიკაციო სფერო ყოველდღიურად სწრაფად იცვლება და ვითარდება, ახალი ტექნოლოგიების ეფექტიანად დანერგვა კი, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი წინაპირობაა. სწორედ ამიტომ, ჩვენი გუნდი აგრძელებს დარგის განვითარებისთვის აქტიურ მუშაობას.

# თუ გიჭედავს, შეამოწმე

SHEAMOTSME.GE

„თუ გიჭედავს, შეამოწმე“ – 2019 წლის 20 მარტს სოციალურ მედიაში სხვადასხვა ჟანრის ვიდეო რგოლი გაჩნდა, რომელიც მომხმარებელს მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ ატყობინებდა. Sheamotsme.ge-ს საინფორმაციო კამპანიამ ინტერნეტ სივრცე მალევე მოიცვა და ინტერნეტის ხარისხის კონტროლის მექანიზმის შესახებ ინფორმაცია ძალიან სწრაფად, ასიათასობით მომხარებლამდე მივიდა.

Sheamotsme.ge - პირველად საქართველოში კომუნიკაციების კომისიამ მომხმარებლების ინტერესების დაცვის მიზნით, ინტერნეტის ხარისხის კონტროლის უნიკალური მექანიზმი შეიმუშავა, რომლის საშუალებითაც, ნებისმიერ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს გაზომოს ფიქსირებული ინტერნეტის სიჩქარე და ხარისხი, შეამოწმოს რამდენად შეესაბამება მიწოდებული ინტერნეტის ხარისხი მასსა და პროვაიდერ კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. ინტერნეტის ხარისხის კონტროლის მექანიზმი, როგორც მომხმარებელს, ასევე კომუნიკაციების კომისიას საშუალებას აძლევს 24 საათიან რეჟიმში დააკვირდეს, რამდენად იცავენ კომპანიები აბონენტების წინაშე აღებულ ვალდებულებებს. დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, ხარისხიანი ინტერნეტ მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, კომისია ინტერნეტის მიმწოდებელი კომპანიების მიმართ, კანონით გათვალისწინებულ ზომებს ატარებს.

იმისთვის, რომ ფიქსირებული ინტერნეტის ბაზარზე არსებული მდგომარეობა გაუმჯობესდეს და ინტერნეტის ხარისხი და სიჩქარე მომხმარებლის მიერ გადახდილი ფასის ადეკვატური იყოს, კომუნიკაციების კომისიამ აქტიური სამუშაოები ჩაატარა - მიიღო დადგენილება, რომლითაც ინტერნეტ მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებლები განისაზღვრა და მათი შემოწმების მეთოდოლოგიური წესები დადგინდა. აღნიშნულ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარე იყო ჩართული. ინტერნეტ მომსახურების მიწოდების სათანადო ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიებს ახალი ვალდებულებები დაეკისრათ, რომელიც აბონენტებთან დადებული ხელშეკრულებების დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანას ითვალისწინებდა.

შემოწმების საიმედოობისა და სიზუსტის მიზნით, კომისია ამერიკულ კომპანია Visualware-თან თანამშრომლობდა. ინტერნეტ მომსახურების ხარისხი სწორედ Visualware-ის აპარატურით იზომება, რომელიც საშუალებას იძლევა ერთდროულად გაზომოს ფიქსირებული ინტერნეტის 5 მნიშვნელოვანი პარამეტრი:

01 **რა პარამეტრებს ვზომავთ?**

ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების იმ პარამეტრებს, რომელიც თქვენსა და პროვაიდერ კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული:

- **სიჩქარე** - ჩამოტვირთვის მინიმალური, ფაქტობრივი და მაქსიმალური სიჩქარე;
- **ჯიტერი** - ინტერნეტ კავშირის დროს ხმოვანი და ვიდეო სტრიმინგის ხარისხის პარამეტრები;
- **დაყოვნება** - პარამეტრი, რომელიც მომხმარებელსა და ინტერნეტის მიმწოდებელს შორის, ინფორმაციის გაგზავნასა და მიღებას შორის დროის დაყოვნებას ამოწმებს;
- **დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი** - გაგზავნილ და უკან მიღებულ ინფორმაციებს შორის დაკარგული მონაცემების პროცენტული მაჩვენებელი.

გამომდინარე იქიდან, რომ კომუნიკაციების კომისიისთვის მომხმარებლების უფლებების დაცვა ყველაზე პრიორიტეტული საკითხია, კომისიამ პროექტის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობისთვის მასშტაბური კამპანია ჩაატარა. ინტერნეტის ხარისხის კონტროლის sheamotsme.ge-ს კამპანიის ფარგლებში, სოციალურ მედიაში 6 ვიდეორგოლი განთავსდა. ვიდეორგოლები ჯამში 3,700,000-მა ინტერნეტ მომხმარებელმა ნახა. კამპანიის ფარგლებში, ინფორმაცია ვიდეოებთან ერთად, დამხმარე პოსტებითა და ბანერებით, სოციალური მედიის მეშვეობით, სულ 4,900,000-მა მომხმარებელმა მიიღო. კამპანიის შედეგად, ინტერნეტ მომხმარებლებმა უკვე იციან, რომ საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ დროს შეუძლიათ შევიდნენ sheamotsme.ge-ზე და შეამოწმონ ინტერნეტის ხარისხი და სიჩქარე, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში კი, ამავე ვებ-გვერდიდან მარტივად გამოგზავნონ საჩივარი კომუნიკაციების კომისიაში, რომელიც კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში იმოქმედებს და მათ პრობლემის მოგვარებაში დაეხმარება.



## კამპანიის ფარგლებში Sheamotsme.ge-ს

ვიდეო რგოლებსა და ბანერებს 4 900 000 ნახვა ჰქონდა.

## Sheamotsme.ge-ზე

**500 000** ინტერნეტ მომხმარებელი შევიდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინტერნეტის ხარისხის კონტროლის ამოქმედებამდე, პროვაიდერ კომპანიებს მთელი რიგი ვალდებულებები განესაზღვრათ. აღნიშნული პირველ რიგში აბონენტებთან ახალი ხელშეკრულებების დადებას ითვალისწინებდა. ვალდებულების მიხედვით, მომხმარებელთან დადებულ ხელშეკრულებაში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი, რა მომსახურებაში იხდის აბონენტი თანხას, რა მომსახურებას უნდა იღებდეს და რა უფლებები აქვს მას. აღნიშნული ხელშეკრულებების გაფორმების პარალელურად, ბუნებრივია, რომ კომპანიებმა ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრაზეც იმუშავეს და ინტერნეტის ხარისხის კონტროლის მექანიზმის ჩაშვებისთვის მოემზადნენ, რასაც ჩატარებული ტესტების რაოდენობა ადასტურებს. მიუხედავად იმისა, რომ sheamotsme.ge-ს შესახებ ინფორმაცია კამპანიის ფარგლებში 3,700,000-მა ინტერნეტ მომხმარებელმა მიიღო და ვებ-გვერდზე ნახევარ მილიონზე მეტი ვიზიტორი შევიდა, 2019 წელს სულ ინტერნეტის ხარისხის შემოწმების 38,623 ტესტი ჩატარდა და 392 საჩივარი დაფიქსირდა.

2019 წელს sheamotsme.ge-ზე 38,623 ტესტი ჩატარდა

საჩივრების უმრავლესობა ოპტიკურ და WiFi ტექნოლოგიებს უკავშირდება

დაფიქსირდა და დაკმაყოფილდა 392 საჩივარი

ინტერნეტის ხარისხზე 24 საათიანი კონტროლი ხორციელდება

# მედიაწიგნიერება

ხარისხიანი ინტერნეტ მომსახურების მიღებასთან ერთად, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ ინტერნეტის სწორად და უსაფრთხოდ გამოყენება, ასევე, როგორ დავიცვათ საკუთარი თავი და ჩვენი შვილები, მომავალი თაობა ინტერნეტის მავნე ზეგავლენისგან, როგორ გავუმკლავდეთ კიბერდანაშაულს და დავიცვათ მოზარდები კიბერბულინგისგან.
აღნიშნულ გამოწვევებთან გასამკლავებლად, ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღი ცოდნით შეიარაღებული მოქალაქეა. სწორედ ჩვენი მოქალაქეების, ბავშვების, მშობლებისა და პედაგოგების ცნობიერების ამაღლებისა და მათთვის ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, როგორიც კრიტიკული აზროვნება და შემოქმედებითობაა, კომუნიკაციების კომისიამ 2019 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, ევროპული გამოცდილებისა და წარმატებული პრაქტიკის გათვალისწინებით, უმნიშვნელოვანესი პროექტები განახორციელა.



**გამარჯობა რუბი** – „თავგადასავალი პროგრამირების სამყაროში" და „მოგზაურობა კომპიუტერში" - ფინური წიგნების სერია, რომელიც საქართველოს სკოლებში სახელმძღვანელოდ შევიდა და დაწყებითი კლასის მოსწავლეებს პროგრამირებისა და კომპიუტერული მეცნიერებების საფუძვლების დაუფლებაში ეხმარება. 2019 წელს ხუთ სკოლაში, მათ შორის სამ საჯარო და ორ კერძო სკოლაში, შეიქმნა 8 კლუბი. აღსანიშნავია, რომ მოთხოვნიდან გამომდინარე, თითო სკოლაში ერთის ნაცვლად 2-3 კლუბი შეიქმნა და ჯამში „გამარჯობა რუბის" წიგნებით კომპიუტერული მეცნიერების საწყისები მე-3 და მე-4 კლასის 800-ზე მეტმა მოსწავლემ ისწავლა. „გამარჯობა რუბი" არის 25 ქვეყანაში აღიარებული და წარმატებული ფინური საბავშვო წიგნების სერია, რომელიც დაწყებითი კლასის ბავშვებში კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარის განვითარებას ისახავს მიზნად. „გამარჯობა რუბის" წიგნები თარგმნილი და გამოცემულია 25 ენაზე, მათ შორის, ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად, იტალიურად, ესტონურად, იაპონურად და ახლა უკვე ქართულადაც. „გამარჯობა რუბი" დიდი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოს მასშტაბით, ნიუ იორკის სკოლებში კი, დაწყებითი კლასის მოსწავლეები პროგრამირების საფუძვლებს სწორედ ამ წიგნებით სწავლობენ.
კომუნიკაციების კომისიამ მსოფლიოში წარმატებული წიგნების სერია, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად, განათლების ახალი რეფორმის ფარგლებში, საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებში შეიტანა. ფინური წიგნებით კომპიუტერული მეცნიერებების საწყისებს მოსწავლეები საჯარო სკოლებში კლუბების სახით, ხოლო კერძო სკოლებში - სასწავლო გეგმის ფარგლებში ეუფლებიან.

**გადამზადდა 60 მასწავლებელი**

**„გამარჯობა რუბით" 800-ზე მეტმა მოსაწავლემ უკვე ისწავლა**




"გამარჯობა რუბის" ავტორის, ლინდა ლიუკასის[1] გადაწყვეტილებით, წიგნების ქართულ ენაზე გამოქვეყნებაზე ლიცენზია კომუნიკაციების კომისიამ მიიღო. კომისიის მოწვევით ლინდა ლიუკასი საქართველოში ჩამოვიდა და ქართველი პედაგოგები თავად გადაამზადა. ავტორმა 60-ზე მეტ პედაგოგს სერტიფიცირებული ტრენინგი ჩაუტარა და მათ წიგნით სწავლების საგაკვეთილო მეთოდი თავად გააცნო.

[1]ლინდა ლიუკასი - „გამარჯობა რუბის" წიგნების სერიის ავტორი, 33 წლის ფინელი პროგრამისტი, რომელიც ჟურნალი „ფორბსის" მიერ 2018 წელს ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე ევროპის საუკეთესო 50 ქალს შორის დასახელდა, ხოლო ევროკომისიამ, ფინეთის ციფრული ჩემპიონი უწოდა.



**Happy Onlife** - ონლაინ აპლიკაცია და სამაგიდო თამაში მოზარდებისთვის, რომლის მიზანია, ბავშვებმა თამაშით ისწავლონ ციფრული მედიის უსაფრთხო და პასუხისმგებლიანი გამოყენება, ონლაინ კონტენტის კრიტიკული შეფასება და ანალიზი. Happy Onlife, რომელიც ევროკავშირის 8 ქვეყანაში წარმატებულ აპლიკაციადაა აღიარებული, ხელს უწყობს მშობლებსა და მასწავლებლებს აქტიურად იზრუნონ ბავშვების მედიაწიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარებაზე და დაიცვას ისინი კიბერბულინგისგან. Happy Onlife მედიაწიგნიერებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან პროექტადაა მიჩნეული, ადაპტირებული და ხელმისაწვდომია ევროპის 9 ენაზე. კომუნიკაციების კომისიამ აპლიკაციის ქართული ვერსია შექმნა, რომელიც მოზარდების ყურადღების ცენტრში მალევე მოექცა, რაც მათი მაღალი ჩართულობით დასტურდება.




**Happy Onlife**-ის შესახებ ინფორმაცია 600,000 ადამიანმა მიიღო

**Happy Onlife**-ით 700 მოსწავლე გადამზადდა

**Happy Onlife** აპლიკაციით **7000-ზე** მეტმა მოსწავლემ ითამაშა

გარდა ონლაინ აპლიკაციისა, კომუნიკაციების კომისიამ ქართულ ენაზე შექმნა Happy Onlife-ის სამაგიდო თამაში და განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით, საქართველოს სკოლებში შეიტანა. აპლიკაციისა და სამაგიდო თამაშის სწორი გამოყენების შესახებ ტრენინგები კომისიის მედიაწიგნიერების დეპარტამენის წარმომადგენლებმა საქართველოს 10 სკოლაში ჩაატარეს. Happy onlife-ის შესახებ ტრენინგი ჯამში 700 მოსწავლეს ჩაუტარდა. ონლაინ აპლიკაცია გათვლილია, როგორც დაწყებითი, ასევე უფროსი კლასის მოსწავლეებისთვის.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში ონლაინ აპლიკაცია გამოჩენის დღიდან დიდი პოპულარობით სარგებლობს, ევროკომისიის გადაწყვეტილებით, 2020 წელს ის განახლდება და 150 ახალი კითხვა დაემატება. ასევე, კომისიას განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით, დაგეგმილი აქვს სასწავლო გზამკვლევისა და მოდულის შექმნა. ჩატარდება ტრენინგები 100-ზე მეტი საჯარო და კერძო სკოლის მასწავლებლისთვის, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის.




**ნამდვილი თუ მოგონილი?!** – კონკურსი უფროს კლასელებისთვის, რომელიც მოზარდებში მედიაწიგნიერების - კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების, ანალიზისა და ფაქტების გადამოწმების უნარების განვითარებას ისახავს მიზნად. კონკურსის ფარგლებში, მოზარდებმა უნდა აღმოაჩინონ და გააანალიზონ გავრცელებული ყალბი ინფორმაცია (Fake News), მოახდინონ წყაროს იდენტიფიკაცია და დაადგინონ რეალური ფაქტები.

2019 წელს კომისიამ კონკურსი ორჯერ წარმატებით ჩაატარა[2]. პირველი კონკურსის პირობების შესაბამისად, მონაწილეობის მიღება მხოლოდ მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებს ჰქონდათ. მონაწილეთა მხრიდან მაღალი ჩართულობისა და მოთხოვნის შესაბამისად, საკონკურსო ნამუშევრების წარმოდგენის შესაძლებლობა მე-9 კლასის მოსწავლეებსაც მიეცათ, რაც მეორე კონკურსის მონაწილეთა გაორმაგებულ რაოდენობაზეც აისახა.

**„ნამდვილი თუ მოგონილი?!“ პირველ კონკურში მონაწილეობა 20-მა მოსწავლემ მიიღო, მეორე კონკურსის ფარგლებში, კი კომისიაში სამჯერ მეტი - 60 საკონკურსო ნაშრომი შემოვიდა.**

კონკურსის პირობების თანახმად, მოსწავლეებს ინდივიდუალურად უნდა შეესრულებინათ დავალება, აღმოეჩინათ ქართულ მედიასივრცეში (ინტერნეტი, ტელევიზია, ბეჭდური მედია და სხვა) გავრცელებული ყალბი ინფორმაცია - “Fake News”, რომელიც საქართველოში მომხდარ ამბავს ეხებოდა და ჯერ არ ყოფილა დადასტურებული, როგორც ყალბი ინფორმაცია, წარმოედგინათ აღმოჩენის გზა, შესაბამისი წყარო და პარალელურად, დაედგინათ რეალური ფაქტები, ამბავი.
დავალების წარმოსადგენად მოსწავლეებს თავად უნდა შეერჩიათ ფორმატი - ვიდეო, ან მულტიმედია ნამუშევარი, პრეზენტაცია ან სხვა ალტერნატიული კრეატიული ფორმა.
საკონკურსო ნამუშევრები კომპეტენტურმა ჟიურიმ შეაფასა.




**პირველი კონკურსის ოთხ გამარჯვებულს კომისიისგან შთამბეჭდავი პრიზები - MacBook Pro, iPhone XS, iPad Pro + Apple Pencil და „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისის“ საზაფხულო სკოლის ორკვირიანი პროგრამა გადაეცათ.**

კონკურსის პარალელურად, კომუნიკაციების კომისიამ Fake News-ის აღმოჩენის შესახებ სასწავლო კომპონენტი დაამატა. მედიაწიგნიერების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ფაქტების გადამოწმებისა და ყალბი ინფორმაციის აღმოჩენის შესახებ, 10 საჯარო სკოლაში ტრენინგები ჩაატარეს. BBC Academy-ის მასალების გამოყენებით, ინტერაქტიული სესიების ფარგლებში, ბავშვებმა ისწავლეს, როგორ მოახდინონ მედიაში გავრცელებული ყალბი ინფორმაციის ანალიზი და გადაამოწმონ ფაქტები. აღნიშნული შეხვედრები მოზარდებს საკონკურსო ნაშრომის მომზადებაშიც დაეხმარა.

**კონკურსის „ნამდვილი თუ მოგონილი“ კამპანიის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიამ პროექტის შესახებ ინფორმაცია 500,000 მომხმარებლამდე მიიტანა**

**ინტერაქტიულ სესიებში მონაწილეობა 500-მა მოსწავლემ მიიღო**

[2] „ნამდვილი თუ მოგონილი?!“ - კონკურსის გამარჯვებულები და მათი ნაშრომები http://gncc.ge/ge/namdvili-tu-mogonili






**მედიის ეკონომიკა** - საგანმანათლებლო მოკლევადიანი კურსი დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის ციფრული მედიის ეკონომიკის პრინციპების შესასწავლად - პროექტი მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით, ორგანიზაცია Evens Foundation-მა საუკეთესო პლატფორმად აღიარა. ეს არის უნიკალური მიდგომა მედიის ეკონომიკისა და მედია საფრთხის შესახებ, რომელიც ციფრული მედიის ეკონომიკის პრინციპების სწავლებაზეა ორიენტირებული. პროექტის სამიზნე აუდიტორიას 10-დან 15 წლამდე მოზარდები წარმოადგენენ. საქართველოს სკოლებში მოსწავლეები, ინტერაქტიული ტრენინგების ფორმატით, სწავლობენ როგორ აირჩიონ და მოიხმარონ მედია საშუალებები და რაც მთავარია, იღებენ ინფორმაციას ციფრული მედიის ფინანსური და ეკონომიკური ასპექტების შესახებ.

სწავლება მულტიმედიური პლატფორმებისა და ინტერნეტის გამოყენებით, როგორც ჯგუფებში, ისე ინდივიდუალურად, პრაქტიკული და ინტერაქტიული სამუშაოების გზით მიმდინარეობს. საგაკვეთილო სქემა კურსის ავტორთან, „ზაფირიას მედიაგანათლების ცენტრის“ დირექტორთან, ალესანდრა ფალკონთან ერთადაა შემუშავებული და სპეციალურად ქართულ სკოლებზეა მორგებულია.

კომუნიკაციების კომისიამ ცნობილი იტალიელი ექსპერტი საქართველოში ჩამოიყვანა, რომელმაც 60-მდე ქართველი მასწავლებელი და ტრენერი თავად გადაამზადა. სამუშაო შეხვედრაზე მასწავლებლები მედიის ეკონომიკის სწავლების მეთოდსა და პროექტის სილაბუსს გაეცნენ. 2020 წელს მასშტაბის ზრდასთან ერთად, პროექტის მოდიფიცირება მოხდება.



**ჩვენი ინტერნეტი ჩვენი არჩევანია - ინფორმირებული დასტურის მნიშვნელობა ციფრულ სამყაროში** - კომუნიკაციების კომისიამ მოზარდების მავნე ზეგავლენისგან დაცვის მიზნით, ინტერნეტის უსაფრთხოდ გამოყენების შესახებ, სკოლებში შეხვედრა გამართა. უსაფრთხო ინტერნეტის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ინტერაქტიული ტიპის სამუშაო შეხვედრა, რომელიც ორი ეტაპისგან შედგებოდა, საჯარო სკოლების მე-5 კლასის მოსწავლეებს ჩაუტარდათ, მათ შორის - მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრის ბენეფიციარებს.

ტრენინგი, რომელიც პროცესში ბავშვების აქტიურ ჩართულობას უზრუნველყოფს, მოიცავს ინტერნეტის უსაფრთხოდ გამოყენების მნიშვნელობის შესახებ, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სამუშაოებს შემდეგი მიმართულებებით:

- **კიბერბულინგი;**
- **ინფორმაციის წყაროს კრიტიკულად შეფასება;**
- **მშობელთან, მასწავლებელთან, უფროსთან კომუნიკაცია;**
- **პირადი მონაცემების ონლაინ სივრცეში დაცვა.**

**ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების შესახებ ინფორმაცია 150-ზე მეტმა მოსაწავლემ მიიღო**





**ეროვნული მნიშვნელობის ონლაინ პლატფორმა -** მედიაწიგნიერების განვითარების მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ ევროპის საბჭოსთან ერთად, სახელმწიფო უწყებების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლების მონაწილეობით, საქართველოში პირველი მასშტაბური სამუშაო შეხვედრა ჩაატარა. სპეციალურად ამ დღისთვის, საქართველოს მედიაწიგნიერების ექსპერტი, ირლანდიის ეროვნული კოორდინატორი - მარტინა ჩეპმენი[3] ეწვია.

შეხვედრაზე კომუნიკაციების კომისიამ ქვეყანაში მედიაწიგნიერების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით, მედიაწიგნიერების სფეროში მომუშავე ყველა დაინტერესებულ მხარეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ინიციატივით მიმართა. კომისიის ინიციატივით, წელიწადში ორჯერ მედიაწიგნიერების თემაზე ჩატარდება მსგავსი ტიპის გაფართოებული სამუშაო შეხვედრა.

ამას გარდა, კომისიის ძალისხმევით, იქმნება ერთიანი საკომუნიკაციო ონლაინ სივრცე, ერთგვარი ჰაბი, სადაც მედიაწიგნიერების მიმართულებით განხორციელებულ პროექტებზე განთავსდება ინფორმაცია. ეს იქნება პლატფორმა, სადაც მედიაწიგნიერების შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის, როგორც მოზარდებისთვის, ისე მშობლებსა და მასწავლებლებისთვის. ეროვნული მნიშვნელობის ონლაინ პლატფორმა mediatsignierebа.ge მომხმარებელს 2020 წლიდან უკვე აქტიურად მისცემს შესაძლებლობას ერთიან სივრცეში ჰქონდეს წვდომა მედიაწიგნირების ყველა საკითხზე.




[3]მარტინა ჩეპმენი - ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორიის, ირლანდიის მედიის მარეგულირებელი ორგანოს, დიდი ბრიტანეთის მარეგულირებელი ორგანოს და BBC-ს კონსულტანტი. კომუნიკაციების კომისიის მედიაწიგნიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის კონსულტანტი.

2019 წელს კომუნიკაციების კომისიის მიერ დაარსებულმა „მედიააკადემიამ“, ქვეყანაში მედიაწიგნიერების განვითარების მიზნით, აქტიური მუშაობა დაიწყო. „მედიააკადემია“ საქმიანობას გერმანიის ბავარიის მხარის მარეგულირებელ კომისიასთან (BLM-თან) მჭიდრო თანამშრომლობით და მისი გამოცდილების გაზიარებით ახორციელებს. მედიააკადემიაში გერმანული მოდელის დანერგვის მიზნით, კომისიისა და მედიააკადემიის წარმომადგენლები BLM-ს ორჯერ ეწვივნენ, განხორციელებული პროექტების შესაჯამებლად და სამომავლო გეგმების განსახილველად კი, თავად BLM-ის დელეგაცია საქართველოს საპასუხო ვიზიტით ესტუმრა[4]. BLM-ის პრეზიდენტი ზიგფრიდ შნაიდერისა და გერმანელი კოლეგების შეფასებით, მედიააკადემიამ თავისი არსებობის მოკლე პერიოდში ეფექტიანად იმუშავა და მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია.

„მედიააკადემია“ უკვე ერთი წელია  BLM-ის მსგავსად, აქტიურად ატარებს სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებს ჟურნალისტებისთვის. „მედიააკადემია“, რომელიც სამი კომპონენტისგან შედგება, ხელს უწყობს საზოგადოებაში მედიაწიგნიერების განვითარებას. „მედიაკადემიის“ ძირითადი სამიზნე აუდიტორია საზოგადოებასთან ერთად, ჟურნალისტები, პროდიუსერები და მედია მენეჯერები არიან. აღნიშნული მიზნით, „მედიააკადემიამ“ 2019 წელს აქტიურად განახორციელა საგანმანათლებლო საქმიანობა, შექმნა და გაავრცელა სასწავლო პროდუქცია, რომელიც მედიის წარმომადგენლების, მათ შორის ჟურნალისტების, პროდიუსერებისა და მედია მენეჯერების კვალიფიკაციის ამაღლებაზეა ორიენტირებული.




[4]კომუნიკაციების კომისია და მედიააკადემია გერმანიის მთავარ მარეგულირებელ კომისიას (BLM) მასპინძლობენ
http://gncc.ge/ge/yvela-siaxle/komunikaciebis-komisia-da-mediaakademia-germaniis-mtavar-maregulirebel-komisias-blm-maspindzloben.page



# შენი მეგზური მედიაში



**მედიასკოლა** - მოკლევადიანი და გრძელვადიანი კურსები, როგორც დამწყები, ასევე მოქმედი მედია მენეჯერებისთვის, პროდიუსერებისა და ჟურნალისტებისთვის.







**მედიალაბი** - ლაბორატორია, რომელიც ხელს უწყობს ციფრულ მედიაში სტარტაპების მხარდაჭერას და დაფინანსებას. შესაძლებლობა სტარტაპერებისთვის, რომლებიც ციფრული მედიის მიმართულებით, საინტერესო პროექტებს შეიმუშავებენ.

**მედიაკრიტიკა** - პლატფორმა, რომელიც თავად ჟურნალისტებსა და პროდიუსერებს უწყობს ხელს პროფესიულ განვითარებაში. ონლაინ სივრცე, სადაც კვალიფიციური და ჯანსაღი მედია კრიტიკა ქვეყნდება. გზამკვლევი მომხმარებლისთვის იმის გასარჩევად, როგორ მედია პროდუქტს მოიხმარენ.

მედია
აკადემია

მედიაკრიტიკა

**მედიაკრიტიკა** - რას წერენ, რას გადმოსცემენ, როგორ აშუქებენ - ხშირად ისმის საზოგადოების წუხილი. მედიის თავისუფლება ნიშნავს პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე. წლების განმავლობაში საქართველომ გაიარა ინფორმაციული ვაკუუმის ეპოქა, რომელიც დღეს ინფორმაციულმა ქაოსმა ჩაანაცვლა.

საზოგადოებაში გაჩნდა მიუკერძოებელი მედიაკრიტიკის არსებობის საჭიროება, რომელიც ინფორმაციის კრიტიკული გაანალიზების შესაძლებლობას გააჩენდა. გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიონალიზმი განსაზღვრავს ხარისხს და მედია სივრცეში ხარისხის ნიშანი მიუკერძოებლობაა, მედიააკადემიის მიზანი სწორედ ასეთი ონლაინ-პლატფორმის შექმნა გახდა. თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში, სადაც ონლაინ და სოციალურ მედიაში ინფორმაცია ელვის სისწრაფით ვრცელდება, ყოველდღიურად გვხვდება სხვადასხვა შინაარსის ფეიკ-ნიუსები, საზოგადოებისთვის საჭირო გახდა მაღალი სტანდარტის მედიაკრიტიკის მიწოდება, რომელიც ინფორმაციის პროფესიულ და კვალიფიციურ ფილტრს შექმნიდა.

სწორედ ამიტომ, კომუნიკაციების კომისიის მედიააკადემიამ შექმნა mediacritic.ge - გზამკვლევი საზოგადოებასა და მედიას შორის, რომელიც 2019 წლიდან პროფესიულ და კვალიფიციურ, მიუკერძოებელ მედიაკრიტიკას სთავაზობს საზოგადოებას. „მედიაკრიტიკის“ მიზანი, ინფორმაციის კრიტიკული აღქმის და საბოლოო ჯამში, გააზრებული და ინფორმირებული არჩევანის ხელშეწყობაა. მედიაკრიტიკის ონლაინ პლატფორმის მთავარი ამოცანაა, ერთი მხრივ, დაეხმაროს საზოგადოებას, მომხმარებელს, იმის გარჩევაში, როგორ მედიაპროდუქტს მოიხმარენ ისინი და, მეორე მხრივ, პროფესიულ განვითარებაში ხელი შეუწყოს თავად ჟურნალისტებსა და პროდიუსერებს.

“მედიაკრიტიკის” მიმართულების განვითარების მიზნით, მედიააკადემიამ პროფესიონალ ჟურნალისტებთან და მედიის ექსპერტებთან ერთად, შეიმუშავა საკუთარი სარედაქციო კოდექსი, რომელსაც მედიაკრიტიკის განვითარება ეფუძნება.



- ინფორმაციის სიზუსტე;
- მიუკერძოებლობა და კეთილსინდისიერება;
- საზოგადოებრივი ინტერესი და ანგარიშვალდებულება;
- ფაქტების და შეფასებების გამიჯვნა;
- ბალანსი;
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა;
- დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- სარედაქციო დამოუკიდებლობა;
- ნდობა.

> “ ეს ის ფუნდამენტური პრინციპებია, რომლებსაც მედიაკრიტიკის სარედაქციო კოდექსი ეფუძნება. ნებისმიერ მსურველს, ვინც აღნიშნული კოდექსის პრინციპებს იზიარებს, აქვს შესაძლებლობა შექმნას ინფორმაციის კვალიფიციური ფილტრი და მედიაკრიტიკის პლატფორმის მომხმარებელს ჟურნალისტურ სტანდარტზე დაფუძნებული, მიუკერძოებელი მედია კრიტიკა შესთავაზოს. ”

მედიაკრიტიკის ვებ-პლატფორმის მეშვეობით, საზოგადოების პროფესიული ანალიზის მიწოდება სამ მიმართულებას მოიცავს:

**რეცენზია** – მედიაკრიტიკის ანალიტიკური მიმართულება

**ბლოგი** – რუბრიკა საავტორო პროდუქტებისთვის

**რეპლიკა** – ყოველდღიურ ახალ ამბებზე ორიენტირებული

მედიაკრიტიკა

მედიასკოლა

## სოციალური კვლევისა და ამბის თხრობის მეთოდები ციფრულ ეპოქაში

**მედიასკოლა** - გამომდინარე იქიდან, რომ ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, მომხმარებლის ქცევა იცვლება და ის კლასიკური მედია პროდუქტების მოხმარებიდან, მულტიმედიური პროდუქტების მოხმარებაზე გადადის, მედია ამ მიმართულებით, დიდი გამოწვევების წინაშე დგას.

სწორედ მულტიმედიური კონტენტის წარმოების ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუშაობს „მედიასკოლა“ მოკლევადიანი და გრძელვადიანი სერტიფიცირებული კურსებით, როგორც დამწყები, ასევე მოქმედი მედია მენეჯერებისთვის, პროდიუსერებისა და ჟურნალისტებისთვის.

**2019 წელს მედიასკოლამ 11 სასწავლო კურსი ჩაატარა და 120-ზე მეტი ჟურნალისტი, ოპერატორი, ფოტორეპორტიორი, და პროდიუსერი გადაამზადა, რომლებმაც თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკული გამოცდილება მიიღეს.**

სკოლა ერთ წელზე მეტია პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა და ამ ხნის განმავლობაში, მის ბაზაზე ჩატარებული სხვადასხვა სახის ტრენინგების მეშვეობით, წამყვანი სატელევიზიო, რადიო და ონლაინ-მედიის წარმომადგენლები, თანამედროვე მედიაში არსებული ტენდენციების ათვისებით, ახალ უნარ-ჩვევებს დაეუფლნენ.

როგორ შეიცვალა ამბის თხრობის მეთოდები ციფრულ ეპოქაში, რით განსხვავდება ტრადიციული ჟურნალისტიკა მულტიმედიური თხრობისგან, როგორ იქცა რიგითი მოქალაქე ჟურნალისტის კონკურენტად - ჟურნალისტებმა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მედიაექსპერტ მარინა ვაშაყმაძესთან და სოციოლოგ იაგო კაჭკაჭიშვილთან ერთად სამი დღის განმავლობაში იმუშავეს. სწავლების პირველი ნაწილი სოციალური კვლევის პრინციპების განხილვას და მედია სფეროში მათი გამოყენების სპეციფიკას დაეთმო, მეორე ნაწილი კი - ამბის თხრობის მეთოდებს ციფრულ ეპოქაში, ურთიერთმიმართებას ტრადიციულ ჟურნალისტიკასა და ახალ - მულტიმედიურ შესაძლებლობებს შორის.



მედიასკოლა

მედიასკოლა



ორდღიანი სამუშაო შეხვედრა, რომლის პირველი ნაწილი რადიორეპორტინგს, ახალ ამბებსა და რადიო გადაცემების მომზადებას, ხოლო მეორე ნაწილი - რადიოს კონცეფციას, სტრატეგიასა და მარკეტინგს დაეთმო. როგორია თანამედროვე რადიო, შეიცვალა თუ არა ამბის თხრობის ტექნიკა, როგორ კეთდება გადაცემები და რა როლი აქვს მარკეტინგს - აღნიშნული თემებით, მედიააკადემიამ ჟურნალისტებს საშუალება მისცა, გაეღრმავებინათ საქმიანობისთვის აუცილებელი ცოდნა. მონაწილეებს სწავლება ექსპერტებმა ლელა კუნჭულიამ, ირინა თევდორაშვილმა და ნიკო ნერგაძემ ჩაუტარეს.

## „საინფორმაციო ფორმატები და მარკეტინგი რადიოში“

## „ამბის თხრობის ტექნიკა სოციალურ მედიაში“

ჟურნალისტებმა სოციალური მედიის ექსპერტთან, გიორგი გოგუასთან ერთად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მულტიმედიური პროდუქტების შექმნასა და სოციალურ პლატფორმებზე მათი განთავსების ეფექტიან ფორმებზე იმუშავეს. ტრენინგი ისეთ კონკრეტულ საკითხებს მოიცავდა, როგორებიცაა თემების გაშუქების სტრატეგია და აუდიტორიის ანალიზი, ასევე, ამბის გადმოცემის ისეთი გზები, რომლებითაც სოციალურ მედიაში აუდიტორიის მაღალი ჩართულობა მიიღწევა.



## „ამბის თხრობის ტექნიკა და დრამატურგია“



ამბის თხრობა თანამედროვე ეპოქაში, ამბის დრამატურგია და თანმიმდევრობა - მედიის წარმომადგენლებმა აღნიშნულ საკითხებზე ორი დღის განმავლობაში, ჟურნალისტ მარინა ვაშაყმაძესთან და დრამატურგ ბასა ჯანიკაშვილთან ერთად იმუშავეს. ჟურნალისტები გაეცნენ ამბის თხრობის მეთოდებს ციფრულ ეპოქაში, ურთიერთმიმართებას ტრადიციულ ჟურნალისტიკასა და ახალ - მულტიმედიურ შესაძლებლობებს შორის.





## „უსაფრთხოების კურსი ჟურნალისტებისთვის“

უსაფრთხოების კურსი მედიისთვის - ჟურნალისტებმა დემონსტრაციების უსაფრთხოდ გაშუქების შესახებ ორდღიანი გადამზადება გაიარეს. როგორია დემონსტრაციების გაშუქებისას საფრთხე და რა შეცდომებს უშვებს მედია საგანგებო სიტუაციების გაშუქებისას. ექსპერტებმა ჟურნალისტებს დაძაბულ გარემოში უსაფრთხოდ მუშაობისთვის სავალდებულო ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. სწავლების პროცესში, ჟურნალისტებს შესაძლებლობა ჰქონდათ იმიტირებული დაკითხვის მონაწილე გამხდარიყვნენ და ამ მიმართულებითაც, მიეღოთ გამოცდილება. გადამზადების ფარგლებში, მედიის წარმომადგენლები პირველადი სამედიცინო დახმარების წესებსაც გაეცნენ. სწავლებას ფოტოჟურნალისტი დავით მძინარიშვილი, SAFE Initiative-ის რისკების მართვის ტრენერი გიორგი კუპატაძე და უსაფრთხოების საკითხების სპეციალისტი ირაკლი ანდრონიკაშვილი უძღვებოდნენ.

## „ფოტოჟურნალისტიკა“

ფოტოჟურნალისტიკის სამდღიან სემინარზე - ჟურნალისტები ფოტოგრაფიისა და ფოტორეპორტაჟის ფუნდამენტურ პრინციპებს გაეცნენ. როგორ გადავიღოთ ფოტო ახალი ამბების გაშუქებისას, როგორ მოვამზადოთ ფოტორეპორტაჟი და განვასხვავოთ ნამდვილი ფოტო ყალბისგან - ფოტორეპორტიორ დავით მძინარიშვილთან ერთად ჟურნალისტებმა პრაქტიკული სწავლებით გაიმყარეს ცოდნა ფოტორეპორტაჟის მომზადებაში და განიხილეს ფოტოკამერის მუშაობის პრინციპები.



> „საჯარო ლექციები – მედიასკოლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფორმატი, რომლის ფარგლებშიც, ჟურნალისტებს შესაძლებლობა აქვთ გადაწყვეტილების მიმღები პირებისგან, სხვადასხვა სფეროს ექსპერტებისგან მიიღონ მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხები და გაიზიარონ გამოცდილება.“

მედიასკოლა




## ,,საგარეო პოლიტიკა და დიპლომატიის როლი კონფლიქტების მოგვარებაში"

როგორ გავაშუქოთ საერთაშორისო კონფლიქტები, რა უნდა ვიცოდეთ დიპლომატიასა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობების შესახებ - ამ თემებზე დიპლომატმა, რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა, ზურაბ აბაშიძემ მედიააკადემიაში საჯარო ლექცია გამართა. როგორია საქართველოს საგარეო პოლიტიკა და რა როლი აქვს დიპლომატიურ სამყაროს კონფლიქტების მოგვარებაში, რა სირთულეები უძღვის ხოლმე პრაღაში აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებებს, რა შედეგები მოაქვს აღნიშნულ ფორმატს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის - ლექციის ფარგლებში, ზურაბ აბაშიძე ჟურნალისტებს გარდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა, ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს წევრობის პერსპექტივაზეც ესაუბრა.

## ,,როგორ გავაშუქოთ ბიზნესისა და ეკონომიკის ამბები?!"



როგორ გავაშუქოთ ეკონომიკური მოვლენები და მოვახდინოთ შესაძლებლობის ანალიზი, ასევე, რა როლი აქვს ბიზნესსა და ეკონომიკას ჩვენს ყოველდღიურობაში - აღნიშნულ თემებზე მედიის წარმომადგენლებმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან, კობა გვენეტაძესთან და ეკონომიკის ექსპერტთან რევაზ საყევარიშვილთან ერთად იმუშავეს. კობა გვენეტაძე ჟურნალისტებს საქართველოს მაკროეკონომიკურ ტენდენციებზე ესაუბრა. მედიის წარმომადგენლები ასევე, ეროვნული ბანკის ფუნქციებსა და ამოცანებს გაეცნენ.

## ,,ბრაიან უიტმორი მედიასკოლაში"




მედიააკადემიისა და ამერიკის საელჩოს ერთობლივი ორგანიზებით, მედია ორგანიზაციების მენეჯერებს, პროდიუსერებსა და წამყვანებს რუსულ პროპაგანდასა და მასთან ბრძოლის მეთოდებზე ბრაიან უიტმორი ესაუბრა. ბრაიან უიტმორი უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და რუსული პროგრამის დირექტორია ევროპული პოლიტიკის ანალიზის ცენტრში (CEPA), რომელიც ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპაში და რუსეთში პოლიტიკურ პროცესებს იკვლევს. წლების განმავლობაში, ბრაიან უიტმორი რადიო თავისუფლების უფროს ანალიტიკოსად და მოსკოვსა და პრაღაში The Boston Globe-ის საგარეო კორესპონდენტად მუშაობდა.




"მედიააკადემიის სივრცემ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ ადგილმა BBC-ის ეკატერინბურგისა და ბუქარესტის სკოლები გამახსენა, სადაც მე ვმუშაობდი. დიდი მადლობა, რომ კვლავ მომეცით თბილისში მუშაობის შესაძლებლობა. იმედი მაქვს, ჩემი ჩართულობა მხიარული და სასიამოვნო იყო. გისურვებთ წარმატებას თქვენი სასწავლო პროგრამის შემუშავებაში!" - ფრენკ უილიამსი

პროდიუსერთა გადამზადების მიზნით, მედიააკადემიამ საგანგებოდ მოიწვია ცნობილი ბრიტანელი ექსპერტი ფრენკ უილიამსი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში BBC World Service-სა და რადიო თავისუფალ ევროპა/რადიო თავისუფლებაში მუშაობდა. უილიამსი ამჟამად პრაღაში ცხოვრობს და სათავეში უდგას მედია-უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო ცენტრს.
ლექციის ფარგლებში, განხილული იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: პროდიუსერების მუშაობის სპეციფიკა და მოვალეობები; რისგან შედგება და როგორი უნდა იყოს ხარისხიანი ახალი ამბავი; როგორ მივაწოდოთ აუდიტორიას მაღალი სტანდარტის პროდუქტი. ამასთან, მასტერკლასზე აქტიურად იქნა განხილული საკითხი, რამდენად თანხვედრაშია ჟურნალისტიკის კლასიკური პრინციპები ახალ - ციფრულ მედიის გამოწვევებთან.



მედიასკოლა



# ახალი შესაძლებლობები სტარტაპებისთვის

**მედიალაბი** - 2020 წლიდან მედიააკადემია მესამე მიმართულებას აქტიურად აამუშავებს. ეს არის ლაბორატორია, ინკუბატორი და ახალი შესაძლებლობები სტარტაპერებისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს ციფრულ მედიაში საინტერესო პროექტების მხარდაჭერას და დაფინანსებას. სტარტაპერებს, რომლებიც ციფრული მედიის მიმართულებით, შეიმუშავებენ საინტერესო პროექტებს, შესაძლებლობა ექნებათ მედია ლაბში მიიღონ დაფინანსება და განახორციელონ  პროექტები. სწორედ მედიალაბი მოიზიდავს და შექმნის სტარტაპებისთვის ახალ შესაძლებლობებს, იმისთვის, რომ მათ უზრუნველყონ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ინოვაციური, პროგრესული და თანამედროვე მედიაპროდუქტების დანერგვა.

მედიალაბის უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს მედიისა და კომუნიკაციების სფეროს ინოვაციას, მოიზიდოს მედიისა და კომუნიკაციის სფეროში  შემოქმედებითად და ინოვაციურად მოაზროვნე ადამიანები, უზრუნველყოს ბიზნესებისა და ინვესტორების ჩართულობა და ხელი შეუწყოს ძლიერი startup community-ს შექმნას, გაზარდოს ასევე ცნობადობა მედია პროდუქტების მომხმარებლებსა და მწარმოებლებს შორის, სფეროში არსებულ შესაძლებლობებსა თუ გამოწვევებზე. მედიალაბის მთავარი ამოცანაა, საქართველოში პროგრესული, პასუხისმგებლიანი და მაღალი ხარისხის მედია გარემოს განვითარებისთვის, დანერგოს და წარმატების მოსაპოვებლად ხელი შეუწყოს პროექტების განვითარებას, არა მხოლოდ ქართულ, არამედ საერთაშორისო ბაზარზეც.

## სერვისები, რომლის მიღების საშუალებაც სტარტაპერებს მედიალაბში ექნებათ:

- საერთო სამუშაო სივრცე;
- რეზიდენტი სტარტაპების ინკუბაცია, დაფინანსება;
- სტარტაპების აქსელერაცია;
- ინოვაციური პროექტების განხორციელება.



2019 წელს მედიააკადემიამ შექმნა მედიალაბის საერთო სამუშაო სივრცე ე.წ. co-working space. აღნიშნული სივრცით სარგებლობა დიზაინერებს, დეველოპერებს, UX UI დიზაინერებს, ასევე, მედიისა და კომუნიკაციების სფეროში სტარტაპერებს  შეეძლებათ. საერთო სამუშაო სივრცით სარგებლობისთვის მსურველმა რეგისტრაცია მედიალაბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე Medialab.ge უნდა გაიაროს.

2019 წელს მედიააკადემიამ შექმნა მედიალაბისთვის სპეციალური ვებ-გვერდი, რომელიც აქტიურად 2020 წელს ამუშავდება. თავის მხრივ, მედიალაბის ვებ-გვერდი მედია პროდუქტების მომხმარებლებსა და მწარმოებლებს აწვდის უახლეს ინფორმაციას სფეროში არსებულ შესაძლებლობებსა, თუ გამოწვევებზე.

2020 წელს მედიალაბი თავად განახორციელებს პროექტებს, რომლებიც მიმართული იქნება მედიისა და კომუნიკაციების სფეროს განვითარებაზე, მათ შორის, მედიალაბი Big Data-ს დამუშავებაზე, ინფორმაციის შენახვასა და გაცვლაზე, ასევე ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით პროექტების შექმნაზე იმუშავებს.













მედიალაბი

# 5G ტექნოლოგიის განვითარებისა და ხელშეწყობის სტრატეგია

მსოფლიო მასშტაბით, ტექნოლოგიების განვითარების უმთავრესი გზა მე-5 თაობის (5G) ტექნოლოგიის დანერგვა გახდა. შესაბამისად, 5G ტექნოლოგიას მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ქვეყნისა და საზოგადოების შემდგომ განვითარებაში.
5G წარმოადგენს უსადენო ინტერნეტ ტექნოლოგიის ახალ თაობას, რომელიც უკვე არსებული ტექნოლოგიებისგან განსხვავებით, მომხმარებელს უფრო სწრაფი ნავიგაციის შესაძლებლობას აძლევს. 5G ტექნოლოგია სიჩქარესთან ერთად, მეტ სიმძლავრეს გულისხმობს, რომელიც შესაძლებელს ხდის მცირე სივრცეში არსებული ათასობით მოწყობილობა ერთდროულად ამუშაოს. 5G-ის მიერ შეთავაზებული კავშირი და სიმძლავრე მოიცავს ახალი, ინოვაციური მომსახურებების პოტენციალს, როგორც საზოგადოების, ასევე, სხვადასხვა სფეროსა და ინდუსტრიის ბიზნესისთვის.




5G უკვე გამოიყენება და მისი ტესტირება ხდება მსოფლიოს მასშტაბით, სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ჯანდაცვის, მიწათმოქმედებისა და სატრანსპორტო სფეროებში. მაგალითისთვის, ბრიტანეთში 5G-ის გამოყენებით, შეიქმნა ქსელი, რომელიც პაციენტებსა და მათ ოჯახებს ვირტუალური რეალობის მეშვეობით, ერთმანეთთან დაკავშირებაში ეხმარება. ის, ასევე, საშუალებას აძლევს ფარმაცევტებს დისტანციურად შეამოწმონ, იღებენ, თუ არა პაციენტები ექიმების მიერ დანიშნულ მედიკამენტებს. 5G-ს გამოყენებით, ვირტუალურ რეალობაში მედიცინის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ქირურგიული პრაქტიკა გაიარონ და მიიღონ გამოცდილება. სატესტო რეჟიმში, უკვე მუშაობს „ჭკვიანი სასწრაფო დახმარება“, რომელიც იკვლევს, როგორ შეიძლება პაციენტების მკურნალობა გადაუდებელი დახმარების ფარგლებში, საავადმყოფოს პერსონალთან, პარამედიკოსების დაკავშირების მეშვეობით.

5G ტექნოლოგია აგრეთვე გამოიყენება მიწათმოქმედებაში. ამის ერთ-ერთი მაგალითია ავტონომიური მიწათმოქმედების დანადგარები, რომლებიც მიწას ამოწმებენ ვიდეო სენსორის გამოყენებით და სასუქსა და პესტიციდს იყენებენ ზუსტად იქ, სადაც - საჭიროა. 5G-ის გამოყენება ხელს უწყობს, როგორც რესურსების დაზოგვას, ისე - ეფექტიანობის ამაღლებას, მათ შორის, სატრანსპორტო სფეროში. სატრანსპორტო ქსელებს, ადგილობრივ ორგანიზაციებსა და სხვა საჯარო ორგანოებს, 5G-ის გამოყენება შეუძლიათ ისეთი საზოგადოებრივი მომსახურებების გასაუმჯობესებლად, როგორებიცაა პარკირება, საავტომობილო მოძრაობის მართვა და გარე განათება.




საქართველოში 5G-ს კომერციული გაშვება დიდი გამოწვევაა, რადგან დროული და სწორი მოდელით პროექტის ამუშავება, მნიშვნელოვან სტრატეგიულ და ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს ქვეყანას. შესაბამისად, კომუნიკაციების კომისიისთვის მნიშვნელოვანია, რომ მისი კომპეტენციის ფარგლებში, გადადგას დროული ნაბიჯები და ხელი შეუწყოს ამ მიმართულებით დარგის განვითარებას.

ამ ტენდენციისა და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, კომუნიკაციების კომისიამ შეიმუშავა 5G ტექნოლოგიის განვითარების ხელშეწყობის სტრატეგია[5]. აღნიშნული დოკუმენტის განხილვის ფარგლებში, საკონსულტაციო პროცესში ჩართულ ოპერატორებთან ერთად, ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეცა საშუალება წარმოედგინა მოსაზრებები და კომენტარები. კომუნიკაციების კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, საკონსულტაციო რეჟიმის ფარგლებში, გამოქვეყნდა სტრატეგიის დოკუმენტთან დაკავშირებით მიღებული კითხვები და შესაბამისი პასუხები. დოკუმენტი შეიცავს კომისიის გეგმების, ხედვისა და მიზნების შესახებ ინფორმაციას, მათ შორისაა:

- **5G სიხშირული დიაპაზონების გამოთავისუფლების, კოორდინირებისა და ჰარმონიზაციის გეგმა;**
- **5G სიხშირული დიაპაზონის დროებით სარგებლობაში გადაცემის მოსალოდნელი თანმდევი ვალდებულებების ნუსხა;**
- **დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებების გეგმა, რომელიც გავლენას მოახდენს 5G განვითარებაზე საქართველოში;**
- **5G საქართველოში სამომავლო გამოყენების მაგალითები.**

აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცებასთან ერთად, კომისიამ ჩაატარა ტენდერი, რომელშიც გამარჯვებულმა კომპანიამ “Ernst&Young”, მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკების საფუძველზე, ბიზნეს-მოდელირებით უნდა დაითვალოს სიხშირული სპექტრის საფასური. მიღებულ შედეგებს კომისია ოპერატორებს და დაინტერესებულ მხარეებს, საკონსულტაციო რეჟიმში, 2020 წელს გააცნობს. ახალი თაობის ტექნოლოგიის განვითარების მაღალი მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, კომუნიკაციების კომისია 5G დანერგვისთვის საჭირო სიხშირული სპექტრის გაცემისთვის აუქციონის გამართვას 2020 წელს გეგმავს.

[5] 5G განვითარების ხელშეწყობის დოკუმენტის საჯარო განხილვა
http://gncc.ge/ge/regulation/sakonsultacio-dokumentebi/5g-ganvitarebis-xelshewyobis-dokumentis-sadjaro-ganxilva.page
http://5g.gov.ge/



## სატარიფო პოლიტიკა

2019 წელს კომუნიკაციების კომისიამ მნიშვნელოვან გამოწვევებს უპასუხა და ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის ლიბერალიზაციისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები მიიღო. თუმცა, მობილურ და ფიქსირებულ ქსელზე საბითუმო ბაზრის ლიბერალიზაციისა და ტარიფების გაიაფების მიუხედავად, მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ოპერატორების მხრიდან, სხვადასხვა სატარიფო მომსახურებაზე ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და ფასების გაზრდის მცდელობას ჰქონდა ადგილი.

ბუნებრივია, კომუნიკაციების კომისია მყისიერად ჩაერთო და ფიქსირებული და მობილური ბაზრის კვლევა დაიწყო. კომისიის გადაწყვეტილებით, მომხმარებლების ინტერესების დაცვის მიზნით, კომპანიებს კვლევის დასრულებამდე ტარიფების ცვლილების პროცესის შეჩერების ვალდებულება დაეკისრათ. კომისიის მიმართვის შემდეგ, „სილქნეტმა“ ფასების დაანონსებული ცვლილება შეაჩერა, ხოლო „მაგთიკომმა“ კომისიის რეკომენდაცია არ გაითვალისწინა, რის საფუძველზეც, კომუნიკაციების კომისიამ კვლევა დაიწყო. კვლევის ფარგლებში, კომისია დაინტერესდა, რამდენად ადეკვატურად ხდებოდა მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ოპერატორის მიერ ფასების ცვლილება. ჩატარდა კვლევა, იმის დასადგენად, რამდენად ჰქონდა კომპანიის მხრიდან ფასების ზრდას საფუძველი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფასის გაზრდის საჭიროება არ არსებობდა.

**კომპანია „მაგთიკომს“ მომსახურების ტარიფის დაანონსებული ცვლილების პროცესის შეჩერება მოუხდა.**

**კვლევის დასრულების შედეგად, კომისიის გადაწყვეტილებით, “მაგთიკომს” ასევე მცირე ოპერატორის ქსელთან დაკავშირებისთვის განსხვავებული საცალო ტარიფების დაწესება შეუჩერდა.**

**კომუნიკაციების კომისიამ კომპანიას ასევე, არსებული 25 ლარიანი ულიმიტო პაკეტის ძალაში დატოვება დაავალდებულა.**

**მობილური ქსელით საცალო ხმოვანი მომსახურების ბაზრის კვლევის შედეგად, ასევე საცალო ხმოვანი მომსახურების არსებული ზედა ზღვრული 24 თეთრიანი ტარიფი გაუქმდა.**

რაც შეეხება საცალო მომსახურების ბაზრის სეგმენტს, კომისიის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, აღნიშნული ბაზარი კონკურენტულია და რეგულაციის დაწესების საჭიროება არ გამოვლინდა.

კომუნიკაციების კომისია განაგრძობს კვლევას ფიქსირებული ინტერნეტის საცალო სეგმენტზე და საერთაშორისო კონსულტანტებთან ერთად, მუშაობს, იმისთვის, რომ საცალო მომსახურების ცვლადი და ფიქსირებული დანახარჯების განცალკევებისა და გაანგარიშების მოდელი შეიმუშაოს, რომლის საშუალებითაც, ოპერატორის მიერ ფიქსირებული ინტერნეტის მომსახურებაზე დადგენილი ტარიფების მომგებიანობის საკითხი შეფასდება.



## აბონენტებს „მაგთი ფიქსის“ სერვისი შეუნარჩუნდათ

მოსახლეობის ინტერესების დაცვისა და შეუზღუდავი სატელეფონო კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით, კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებით, „მაგთი ფიქსის“ 100 ათასზე მეტი აბონენტი კვლავ განაგრძობს უწყვეტ სატელეფონო კომუნიკაციას.
2019 წლის ივნისში  კომპანია „მაგთიკომმა“ განაცხადა, რომ CDMA ლიცენზიის ვადის ამოწურვის შემდეგ, აბონენტებს „მაგთი ფიქსის“ სერვისს აღარ შესთავაზებდა.

„მაგთი ფიქსის“ სერვისის გაუქმება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პრობლემატური იყო ოკუპირებულ ტერიტორიებზე, საქართველოს ე.წ. საზღვრის პირა სოფლებსა და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებლებისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ კომისიისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, ყველა მოქალაქეს ჰქონდეს სატელეფონო მომსახურებებზე შეუზღუდავი წვდომა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და „მაგთიკომს“ CDMA ლიცენზია კომპანიისთვის  მისაღები, სპეციალური ვალდებულებებით გაუგრძელდა. კომისიამ „მაგთიკომს“ ორ წლიანი ვადა მისცა, იმისთვის, რომ ამ პერიოდში, „მაგთი ფიქსის“ სერვისის გაუქმების შემთხვევაში, კომპანიამ მომხმარებლებს ალტერნატიული მომსახურება შესთავაზოს. მანამდე, კი კომისიის ძალისხმევით, მომხმარებლებს „მაგთი ფიქსის“ სერვისი შეუნარჩუნდათ.

## მცირე და საშუალო ზომის ოპერატორებს ინტერნეტის საბითუმო მომსახურების ხარჯი 10-ჯერ შეუმცირდათ

2019 წელს ძალაში შევიდა კომუნიკაციების კომისიის მიერ მიღებული რეგულაცია, რომელიც საბითუმო ბაზარზე კონკურენციის გაზრდის მიზნით, ყველა ოპერატორისთვის ერთიანი ტარიფის დადგენას გულისხმობს.

კომისიის აქტიური მუშაობის შედეგად, მცირე და საშუალო ზომის ოპერატორებს ინტერნეტის საბითუმო მომსახურების ხარჯი დაახლოებით 10-ჯერ შეუმცირდათ. კომისიამ ფიქსირებული ინტერნეტის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით, უპრეცედენტო რეგულაციები მიიღო, რაც საბოლოო ჯამში, მომხმარებლებისთვის უკეთესი ხარისხის ინტერნეტს უფრო ხელმისაწვდომს გახდის.

ფიქსირებული საცალო ინტერნეტის მომსახურებაზე კონკურენციის ხელშეწყობისთვის, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, მცირე და საშუალო ზომის ოპერატორებს შესაძლებლობა აქვთ მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე კომპანიების ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურით, შემცირებული ტარიფით ისარგებლონ. ასევე, ოპერატორებს აქვთ საშუალება შევიდნენ ისეთ რეგიონებში, სადაც მხოლოდ ერთი დიდი კომპანია ოპერირებს. ყოველივე აღნიშნული, მოსახლეობას აძლევს შესაძლებლობას არჩევანი რამდენიმე მომწოდებელს შორის, მისთვის უკეთესი პირობების გათვალისწინებით გააკეთოს.

ამასთან, კომისიის გადაწყვეტილებით, დიდი ოპერატორების ინფრასტრუქტურაზე დაშვება უზრუნველყოფილია დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულებით. აღნიშნული ვალდებულებაც, სწორედ ბაზარზე მონოპოლიების არარსებობასა და კონკურენციის ზრდას უწყობს ხელს.
მიზნის მისაღწევად, კომუნიკაციების კომისიამ ხარჯზე ორიენტირებული ტარიფი დაადგინა, რომელზეც კომპანია Pricewaterhouse Coopers Advisory-თან ერთად იმუშავა. კომისიის მიერ დადგენილი ტარიფი საბითუმო ბაზარზე ყველა ოპერატორისთვის ერთნაირია, რაც ბაზარზე კონკურენციის გაზრდის წინაპირობაა.

## გლობალურ ინტერნეტზე ზედა ზღვრული ტარიფი 32 ლარიდან 9 ლარამდე შემცირდა

კომუნიკაციების კომისიამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო გლობალური ინტერნეტის საბითუმო ბაზართან დაკავშირებით, რამაც საბითუმო მომსახურებაზე გლობალური ინტერნეტის ფასი რადიკალურად შეამცირა. კომისიამ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს, ზედა ზღვრული ტარიფი დაუდგინა და ერთ მბ/წმ-ზე ფასი 32 ლარიდან 9 ლარამდე შეამცირა.
ინტერნეტის გლობალურ და ლოკალურ რესურსებთან წვდომის რეგულაციები, მიზნად ეროვნულ და საერთაშორისო ინტერნეტ რესურსებთან დაშვების საბითუმო ფასების რეგულირებას ისახავს. აღნიშნული რეგულაციით, ოპერატორებს, რომლებთაც არ აქვთ პირდაპირი წვდომა საერთაშორისო ინფრასტრუქტურასთან, დაშვების შესაძლებლობა მიეცათ, რაც საბოლოო ჯამში, მომხმარებლისთვის ინტერნეტის მიწოდების ფასებზე ახდენს გავლენას. რეგულაციით, რომელიც ძალაში 2019 წლის 1 აგვისტოდან შევიდა, მომსახურებაზე ტარიფი 3,5-ჯერ შემცირდა. ამავე გადაწყვეტილებით, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს,  საქართველოში განთავსებულ ინტერნეტის რესურსებთან, მათ შორის, YouTube-ის, Google-ის და სხვა საერთაშორისო ვებ-გვერდების ქეშირებულ კონტენტზე დაშვების საბითუმო მომსახურებაზე საკუთარ ქსელის ტექნიკურად დასაშვებ ნებისმიერ წერტილში, 1 მგბტ/წმზე - ტარიფი თვეში 0,50 ლარის ოდენობით დაუდგინდათ.

**ცხრილში წარმოდგენილია ამ მომსახურების ყველაზე დიდი პროვაიდერების „კავკასუს ონლაინისა“ და „სილქნეტის“ შეთავაზებები წლების მიხედვით.**

| სიმძლავრე მბ/წმ-ში | 01.06.2017-მდე (ლარი[6]) | 01.06.2017-დან (ლარი) | 30.12.2017-დან (ლარი) | 01.08.2018-დან კავკასუს ონლაინი (ლარი) | 01.08.2018-დან სილქნეტი (ლარი) | 01.08.2019-დან სილქნეტი კავკასუს ონლაინი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 - 50 | 32 | 28 | 19 | 17 | 18 | 9 |
| 51 - 100 | 32 | 27 | 18 | 16 | 17 | 9 |
| 101 - 200 | 31 | 26 | 17 | 15 | 16 | 9 |
| 201 - 500 | 30 | 25 | 16 | 14 | 15 | 9 |
| 501 - 2000 | 29 | 23 | 15 | 13 | 14 | 9 |
| 2001 - 10000 | 29 | 22 | 14.5 | 12.5 | - | 9 |

**კომუნიკაციების კომისიამ გლობალურ ინტერნეტზე ზედა ზღვრული ტარიფი**

**72% -ით შეამცირა**

[6] ლარი - დღგ-ს გარეშე



## მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის ტარიფები 4-ჯერ შემცირდა

მობილური და ფიქსირებული საბითუმო ბაზრის ლიბერალიზაციის მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის ტარიფები  4-ჯერ შეამცირა. მობილურ და ფიქსირებულ ქსელში ზარის დასრულების ტარიფის გაანგარიშება, ევროკომისიის რეკომენდაციის მიხედვით განხორციელდა. LRIC[7] მოდელით გაანგარიშებული ურთიერთჩართვის ტარიფები ძალაში ეტაპობრივად შევიდა.

**მობილურ ქსელში ურთიერთჩართვის არსებული ტარიფი 3.5 თეთრი (გადასახადების ჩათვლით) შემდეგი გრაფიკით შემცირდა**

| ურთიერთჩართვის მომსახურება | 2018 წლის 1 ივლისიდან | 2019 წლის 1 იანვრიდან |
|---|---|---|
| ზარის წამოწყება, თეთრი (გადასახადების გარეშე) | 2.16 | 1.44 |
| ზარის დასრულება, თეთრი (გადასახადების გარეშე) | 1.81 | 0.75 |

**ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის არსებული ტარიფი 2 თეთრი (გადასახადების ჩათვლით) შემდეგი გრაფიკით შემცირდა**

| ურთიერთჩართვის მომსახურება | 2018 წლის 1 ივლისიდან | 2019 წლის 1 იანვრიდან |
|---|---|---|
| ზარის წამოწყება, ადგილობრივ დონეზე, თეთრი (გადასახადების გარეშე) | 1.04 | 0.38 |
| ზარის წამოწყება, ტრანზიტულ დონეზე, თეთრი (გადასახადების გარეშე) | 1.05 | 0.41 |
| ზარის დასრულება, ადგილობრივ დონეზე თეთრი (გადასახადების გარეშე) | 0.99 | 0.28 |
| ზარის დასრულება, ტრანზიტულ დონეზე თეთრი (გადასახადების გარეშე) | 1.01 | 0.32 |

[7] LRIC - მომავალზე ორიენტირებული გრძელვადიანი დანახარჯების მოდელი

## ბაზარზე მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) დაშვება




ბოლო წლებში კომუნიკაციების კომისიის მიერ მიღებულმა მნიშვნელოვანმა გადაწყვეტილებებმა ქვეყანაში მობილური სატელეკომუნიკაციო მომსახურებების ბაზარზე კონკურენტული ფასების ჩამოყალიბების წინაპირობა უზრუნველყო. კონკურენციის გაუმჯობესებისა და შესაბამისად, მომხმარებლებისთვის ახალი სერვისებისა და შეთავაზებების გაჩენის მიზნით, კომისიამ ბაზარზე მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის დაშვების შესახებ, უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო.

მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორი (MVNO) არის მობილური მომსახურების მიმწოდებელი ისეთი ოპერატორი, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი ქსელი და ინფრასტრუქტურა და მობილური მომსახურებების მიწოდებას ახორციელებს სხვა ოპერატორის ქსელის მეშვეობით. კერძოდ, მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორი იყენებს ქსელური ოპერატორის ინფრასტრუქტურას, იმისთვის, რომ საკუთარ აბონენტებს მიაწოდოს მობილური მომსახურება. აღნიშნული გადაწყვეტილება, მობილური მომსახურების ბაზარზე, კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას, მნიშვნელოვანი ფინანსური დანახარჯების გარეშე, დაიწყონ ოპერირება, რაც ბაზარზე კონკურენციას საგრძნობლად გაზრდის. ბაზარზე ახალი მოთამაშეების გაჩენა, ეტაპობრივად აისახება, როგორც მომსახურების ხარისხზე, ისე - ფასზე და საბოლოო ჯამში, მომხმარებელს მოუტანს სიკეთეს.
კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებით, მობილური ქსელის ოპერატორის ქსელზე დაშვების მსურველს, საშუალება ეძლევა მობილური ქსელის ოპერატორის ინფრასტრუქტურის გამოყენებით, მიაწოდოს მომხმარებელს მობილური მომსახურება. უფრო კონკრეტულად, კი მობილური ოპერატორის ქსელზე ვირტუალური ოპერატორის დაშვებით, ახალ მოთამაშეებს აქვთ შესაძლებლობა მობილური მომსახურეობების ბაზარზე შევიდნენ. შესაბამისად, ბაზარზე ახალი კომპანიების  შემოსვლა ახალი, ინოვაციური პროდუქტების მიწოდებას და მომხმარებლებისთვის მობილური მომსახურების არჩევანის გაზრდას უზრუნველყოფს.
კომუნიკაციების კომისიამ გაითვალისწინა მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) დაშვების შესახებ მზარდი მოთხოვნილება და მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის მობილური მომსახურების ბაზარზე დაშვების წესებისა და ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით, საკონსულტაციო კომპანია  Price Water House Coopers Advisory, s.r.o-თან (PwC) ერთად სარეკომენდაციო დოკუმენტი შეიმუშავა.

მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) მობილური მომსახურების ბაზარზე შესვლის ხელშეწყობისთვის, კომისიამ მობილური ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე, კონკურენციის შესახებ კვლევა და ანალიზი ჩაატარა და მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის ქსელთან დაშვებისთვის, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებისთვის სპეციფიკური ვალდებულებები განსაზღვრა.
კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებით, მობილური ქსელით მომსახურების (ხმოვანი, ინტერნეტი, მოკლე ტექსტური შეტყობინებები SMS) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე საქმიანობის განმახორციელებელ მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებად „მაგთიკომი“, „სილქნეტი“ და „ვიონი საქართველო“ განისაზღვრნენ, რომელთაც საკუთარ ქსელებზე ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) დაშვების ვალდებულება დაეკისრათ.



## M2M და IoT მომსახურებების განვითარება

M2M (Machine-to-Machine – “მოწყობილობებს შორის კავშირი”) მომსახურება არის ავტომატურ რეჟიმში ან ადამიანის მინიმალური ჩარევით მონაცემთა გადაცემა და კავშირი მოწყობილობებს, პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაფუძნებულ აპლიკაციებს, ან მოწყობილობებსა და აპლიკაციებს შორის.
IoT (Internet of Things – “საგანთა ინტერნეტი”) არის ინფრასტრუქტურა, რომელიც მაიდენტიფიცირებელი ელემენტებით აკავშირებს სხვა მოწყობილობებს, სისტემებს და უზრუნველყოფს მათ შორის მონაცემთა გადაცემას და კავშირს.

ფართოზოლოვანი მომსახურებებისა და 5G ტექნოლოგიის განვითარების შედეგად, მსოფლიოში M2M და IoT მომსახურებების განვითარების მზარდი ტენდენციაა გამოკვეთილი. განვითარებული ქვეყნების საკომუნიკაციო მომსახურებების მარეგულირებლებმა აღნიშნული მომსახურებების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დაიწყეს ცალკე ნუმერაციის რესურსის გამოყოფა M2M და IoT მომსახურებებისთვის. აღნიშნული ქმედება მნიშვნელოვანია M2M და IoT მომსახურებებზე მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ასევე, იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს ახალი ტექნოლოგიების განვითარებისა და მოსალოდნელი შედეგების შეფასება, პროგნოზირება და მათი ტრადიციული მომსახურებებისგან დამოუკიდებელი მონიტორინგი და ანალიზი.
ბაზრის განვითარების ტენდენციებიდან გამომდინარე, მიმდინარე და მომავალი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, კომუნიკაციების კომისია ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებებისთვის ნუმერაციის რესურსის ეფექტურ გამოყენებას უზრუნველყოფს. M2M/IoT მომსახურებები თვისობრივად განსხვავდება ტრადიციული მობილური მომსახურებებისგან. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, მკვეთრად იზრდება მოთხოვნა ამ მომსახურებებზე, რის გამოც, მათი დამოუკიდებელი აღრიცხვისა და ანალიზის საჭიროება დადგა. აღნიშნული ტენდენციების კვალდაკვალ, საქართველოს არსებული მდგომარეობის გაანალიზების და ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე, კომუნიკაციების კომისიამ M2M/IoT მომსახურებებისთვის ნუმერაციის ცალკე რესურსის გამოყოფის საჭიროება შეაფასა.



ჩატარებული ანალიზისა და საკონსულტაციო რეჟიმის ფარგლებში, დაინტერესებული პირებისგან მიღებული გამოხმაურებების შეჯერების შედეგად, კომისიამ M2M/IoT მომსახურებებისთვის 708-729 ინდექსის 22 მილიონიანი დიაპაზონი გამოყო. კომისიის გადაწყვეტილებით, ავტორიზებულ პირებს უკვე არსებული M2M/IoT აბონენტებისთვის გამოყენებული ნუმერაციის რესურსის ჩანაცვლების ვადად 2022 წლის 1 დეკემბერი განესაზღვრათ.

აღნიშნული ცვლილება ავტორიზებულ პირებს მისცემს საშუალებას, ეფექტურად აღრიცხონ M2M/IoT მომსახურებების შესახებ მონაცემები, შეიმუშაონ მათზე მორგებული სატარიფო გეგმები, ხოლო კომუნიკაციების კომისიას ექნება შესაძლებლობა, მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია, გააანალიზოს, შეაფასოს მისი განვითარების თავისებურებები და ხელი შეუწყოს ბაზრის ამ სეგმენტზე კონკურენციის, თანამედროვე ტექნოლოგიური მიმართულებებისა და ინოვაციური მომსახურებების განვითარებას.




## ნუმერაციის მართვის სისტემა

კომუნიკაციების კომისიამ შეიმუშავა ნუმერაციის მართვის სისტემა - ავტომატიზირებული ონლაინ პლატფორმა, სადაც სისტემატიზირებულია ნუმერაციის რესურსი. ნებისმიერ ავტორიზებულ პირს შესაძლებლობა აქვს მოიძიოს ინფორმაცია თავისუფალი ნუმერაციის რესურსის შესახებ. ავტორიზებულ პირებს აღნიშნული პლატფორმის გამოყენებით, ონლაინ რეჟიმში, შეუძლიათ აირჩიონ ნუმერაციის რესურსი, მიუთითონ სარგებლობის ტიპი და კომისიის სახელზე შეავსონ განცხადება შესაბამისი რესურსის აღებასთან დაკავშირებით, ასევე, გააგრძელონ და აიღონ ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვა.



## მობილური სატელეკომუნიკაციო ქსელების დაფარვის ანალიზის პორტალი

კომუნიკაციების კომისიამ შექმნა მობილური სატელეკომუნიკაციო ქსელების დაფარვის ანალიზის პორტალი, რომელიც 2019 წელს ყველა მოქალაქისთვის გახდა ხელმისაწვდომი.
mca.gncc.ge - მობილური მომსახურების ხარისხის გეოგრაფიული პორტალის სრულიად ახალი ვერსიაა, სადაც აბონენტებს შესაძლებლობა აქვთ, სპეციალურ რუკაზე, საქართველოს მასშტაბით, შეამოწმონ მობილური სატელეკომუნიკაციო ქსელების დაფარვის/სიგნალის დონე.

შეიქმნა სპეციალიზირებული გეოგრაფიული მონაცემთა ბაზა, განისაზღვრა დამატებითი პარამეტრები, დაინერგა სტატისტიკური ანალიზის მექანიზმები გეოგრაფიის მიხედვით და განხორციელდა ადაპტაცია მობილური მოწყობილობებისათვის. აღნიშნული პროექტი, მიზნად ისახავს საქართველოში მოქმედი ფიჭური კავშირგაბმულობის ოპერატორების ფუნქციონირების მეტ გამჭვირვალეობასა და მომხმარებლების სრულფასოვან ინფორმირებას, ამა თუ იმ სერვისისა და მოქმედების (დაფარვის) ზონების შესახებ. მონაცემები ხელმისაწვდომია, როგორც კონკრეტული ოპერატორის, ასევე სხვადასხვა ტექნოლოგიის (GSM/UMTS/LTE) ჭრილში, მათ შორის, მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა შეამოწმოს მინიმალური, საშუალო და მაქსიმალური სიჩქარე.




## მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების ხარისხის რეკომენდირებული მაჩვენებლები

კომუნიკაციების კომისიამ მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების ხარისხის განსაზღვრისა და შემოწმების წესის შესახებ, დოკუმენტი შეიმუშავა. დოკუმენტის შესაბამისად, ოპერატორმა სერვისის მიწოდება კომისიის მიერ განსაზღვრული სალიცენზიო პირობების დაცვით, ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრაქტიკებისა და ETSI-ს სტანდარტების გათვალისწინებით, უნდა განახორციელოს. აღნიშნული დოკუმენტი, სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა ოპერატორის GSM/UMTS/LTE ქსელების პარალელურ რეჟიმში შემოწმებას ითვალისწინებს. მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების ხარისხის პარამეტრების გაზომვების შედეგები კომუნიკაციების კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული[8] და ხარისხის პარამეტრების შესახებ მონაცემები (სიგნალის დონის და მომსახურების მიმწოდებლის მიერ გამოყენებული ტექნოლოგიით) საჯაროდ არის ხელმისაწვდომი.

[8]http://gncc.ge/uploads/other/4/4294.pdf

2019 წელს ელექტრონული კომუნიკაციების დარგში სულ 285 მოქმედი[9] პირი იყო. ელექტრონულ კომუნიკაციებში ავტორიზებული პირების მიერ მიღებულმა შემოსავალმა[10] კი 1,185 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც 919 მლნ ლარი საცალო შემოსავლები იყო.

აღნიშნულ დარგში 100 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი 3-მა პირმა მიიღო (A კატეგორიის[11] კომპანიები) და მათ მიერ მიღებულმა ჯამურმა შემოსავალმა, მთელი შემოსავლის 84.7% შეადგინა. ხოლო, იმ პირების ჯამური შემოსავალი, ვინც 2019 წელს 100,000 ლარზე ნაკლები მიიღო (E კატეგორიის 181 პირი) მთელი შემოსავლების 0.9% იყო.

ელექტრონული კომუნიკაციების დარგში მოქმედ პირთა რაოდენობა სეგმენტების მიხედვით




ელექტრონული კომუნიკაციების დარგში მოქმედ პირთა შემოსავლის განაწილება სეგმენტების მიხედვით




### ელექტრონულ კომუნიკაციებში ავტორიზირებული პირების მიერ მიღებული შემოსავალი




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| საცალო შემოსავალი | 760 | 798 | 846 | 919 |
| სხვა საკომუნიკაციო და არასაკომუნიკაციო | 390 | 422 | 391 | 266 |

[9]მოქმედად განვიხილავთ პირს, რომელსაც წლის განმავლობაში ელექტრონული კომუნიკაციებიდან რაიმე სახის შემოსავალი ჰქონდა
[10]ანგარიშში შემოსავლები მოცემულია დღგ-ს და აქციზის გარეშე
[11]ტრადიციულად განვიხილავთ შემდეგ კატეგორიებს:

| კატეგორია | წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი |
|---|---|
| A | 100 მლნ ლარზე მეტი ან ტოლი |
| B | 10 მლნ ლარიდან 100 მლნ ლარამდე |
| C | 1 მლნ ლარიდან 10 მლნ ლარამდე |
| D | 100,000 ლარიდან 1 მლნ ლარამდე |
| E | 100,000 ლარზე ნაკლები |



## მობილური კომუნიკაციები

საქართველოში მობილური მომსახურების ბაზარზე პენეტრაცია მაღალია და 156%-შეადგინს[12]. აღნიშნული მონაცემი მიუთითებს იმაზე, რომ ერთ მომხმარებელს ერთზე მეტი მობილური ნომერი აქვს, რაც ნიშნავს იმას, რომ მომხმარებელმა ზუსტად იცის ბაზარზე არსებული ტარიფები და, საჭიროების მიხედვით, სხვადასხვა მომსახურებაზე მისთვის ხელსაყრელ ქსელს იყენებს. მობილური აბონენტების[13] რაოდენობამ 2019 წლის ბოლოს 5,38 მლნ შეადგინა[14].

### მობილური აბონენტების რაოდენობა (მლნ) და სააბონენტო სიმკვრივე




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| აბონენტების რაოდენობა | 5.52 | 5.50 | 5.46 | 5.38 |
| სააბონენტო სიმკვრივე | 160% | 159% | 158% | 156% |

2019 წლის ბოლო კვარტალში იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობამ მთლიანი აბონენტების 25% შეადგინა, რაც ჯამურად 1,3 მილიონია.

#### აბონენტების რაოდენობა ტიპების მიხედვით (მლნ)




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| ფიზიკური | 4.2 | 4.1 | 4.0 | 4.0 |
| იურიდიული | 1.3 | 1.4 | 1.5 | 1.3 |

#### აბონენტების განაწილება




[12]საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა მოიცავს 5 წლის ასაკიდან პირებს
[13]აბონენტად განიხილება SIM ბარათი, რომლის გამოყენებითაც კვარტლის განმავლობაში ერთხელ მაინც განხორციელდა ან გაწეულია რაიმე სახის მობილური მომსახურება, ან დაირიცხა სააბონენტო გადასახადი (კომპანიის თანამშრომლების ჩათვლით და სატესტო ბარათების ჩაუთვლელად)
[14]2019 წელს “სილქნეტის“ საბილინგო სისტემის ცვლილების გამო მოხდა აღნიშნული ოპერატორის სააბონენტო ბაზის კორექტირება, სწორედ ამიტომ, ფიქსირდება აბონენტთა რაოდენობის მცირე კლება.

მობილური ოპერატორების საბაზრო წილი აბონენტების რაოდენობის მიხედვით, 2019 წლის ბოლოსთვის ასე განაწილდა: „მაგთიკომი“ - 41%, „სილქნეტი“[15] - 33%, ხოლო „ვიონი საქართველო“ - 26%.







2019 წელს, მობილური ოპერატორების საცალო შემოსავალმა 499 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2018 წელს მიღებულ საცალო შემოსავალზე 3.8%-ით - 18 მლნ ლარით მეტია. საცალო შემოსავლებში „მაგთიკომის“ საბაზრო წილი 46%, „სილქნეტის“ - 36%, ხოლო „ვიონი საქართველოს“ - 18%-ია. 2018 წელთან შედარებით, შემოსავლების საბაზრო წილი გაზრდილი აქვს „ვიონი საქართველოს“.






[15]2018 წლის ბოლოს განხორციელდა "სილქნეტისა" და „ჯეოსელის" შერწყმა

2019 წელს მობილური შემოსავლების 74% ფიზიკურმა პირებმა შეადგინეს, ხოლო 26% - იურიდიულმა პირებმა. იურიდიული პირებისგან მიღებული შემოსავლები კვლავ მზარდი ტენდენციით ხასიათდება.







## მობილური შემოსავლები მშპ-სთან მიმართებაში

2019 წელს საქართველოში მობილური შემოსავლების ზრდის განაკვეთი მშპ ზრდის[16] განაკვეთთან მიმართებაში შემცირდა. ეს მოცემულობა შეცვლილია წინა წლებთან შედარებით, როცა მობილური შემოსავლების ზრდის განაკვეთი მშპ-ს ზრდას აღემატებოდა. გლობალური ტენდენციით მობილური შემოსავლის ზრდის განაკვეთი გლობალური მშპ ზრდის[17] განაკვეთზე ნაკლებია. საქართველოში მობილური შემოსავლის ზრდის განაკვეთის შემცირება ბაზრის გაჯერებით და კონკურენციის გამძაფრებითაა გამოწვეული.




[16]მონაცემთა წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
[17]https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG

### გლობალური მობილური შემოსავლების ზრდა გლობალურ მშპ ზრდასთან მიმართებაში




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| მშპ ზრდა | 2.5% | 3.1% | 3.0% | 3.4% |
| მობილური შემოსავლების ზრდა | 3.3% | 2.5% | 1.5% | 2.8% |

### მობილური შემოსავლების ზრდა გლობალურად და საქართველოში




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| შემოსავლების გლობალური ზრდა | 3.3% | 2.5% | 1.5% | 2.8% |
| შემოსავლების ზრდა საქართველოში | 2.0% | 7.9% | 7.3% | 3.8% |



## ARPU[18]

2019 წლის მონაცემების მიხედვით, თვის განმავლობაში ერთი აბონენტისგან მიღებულმა საშუალო შემოსავალმა (დღგ-ს გარეშე) 8,6 ლარი შეადგინა.




წლების საშუალო ARPU

2016
**7.1**

2017
**7.5**

2018
**8.3**

2019
**8.6**

### 2019 წლის ყოველთვიური საშუალო ARPU




| | იან | თებ | მარ | აპრ | მაისი | ივნ | ივლ | აგვ | სექტ | ოქტ | ნოემ | დეკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საშუალო ARPU | 7.8 | 7.2 | 7.7 | 7.9 | 8.3 | 8.3 | 8.9 | 9.3 | 8.6 | 8.9 | 8.4 | 8.6 |
| მაგთიკომი | 9.4 | 8.7 | 9.2 | 9.1 | 9.5 | 9.5 | 10.1 | 10.4 | 9.8 | 10.1 | 9.5 | 9.6 |
| სილქნეტი | 7.8 | 7.2 | 7.8 | 7.8 | 8.3 | 8.5 | 9.1 | 9.6 | 9.0 | 9.2 | 8.7 | 9.3 |
| ვიონი საქართველო | 5.9 | 5.3 | 5.9 | 6.0 | 6.2 | 6.3 | 6.7 | 7.0 | 6.4 | 6.6 | 6.3 | 6.2 |

[18] ARPU – Average Revenue per User, საშუალოდ ერთი აბონენტისგან მიღებული შემოსავალი

ოპერატორების ჭრილში 2019 წლის IV კვარტლის მონაცემებით, ARPU-ს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი „მაგთიკომს“ აქვს, შემდეგ „სილქნეტს“, ხოლო მობილურ კავშირზე ყველაზე მცირე თანხას „ვიონი საქართველოს“ აბონენტები ხარჯავენ.




## ARPU კომპანიების მიხედვით 2019 წელი

**წლების საშუალო ARPU აბონენტების ტიპების მიხედვით**



| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| ფიზიკური | 7.5 | 7.8 | 8.1 | 8.5 |
| იურიდიული | 5.8 | 6.9 | 8.8 | 9.1 |

2019 წელს იურიდიული პირი აბონენტების ARPU-ს მაჩვენებელი გაზრდილია და აღემატება ფიზიკური პირი აბონენტების ARPU-ს მაჩვენებელს, რაც 2018 წელს ფასწარმოქმნის რეგულირების გამკაცრებასთან და ფიქსური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებული ხარვეზების გამოსწორების შედეგია.

**2019 წლის ARPU აბონენტების ტიპების მიხედვით**



| | იან | თებ | მარ | აპრ | მაისი | ივნ | ივლ | აგვ | სექტ | ოქტ | ნოემ | დეკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფიზიკური | 7.8 | 7.2 | 7.7 | 7.7 | 8.1 | 8.2 | 8.9 | 9.2 | 8.6 | 8.7 | 8.2 | 8.5 |
| იურიდიული | 7.8 | 7.2 | 7.8 | 8.4 | 8.8 | 8.7 | 9.1 | 9.4 | 8.8 | 9.4 | 8.8 | 9.1 |



# ხმოვანი ტრაფიკი და MOU

2018 წელთან შედარებით, 2019 წელს ჯამური გამავალი ხმოვანი ტრაფიკი 0.4%-ით გაიზარდა და 9,9 მლრდ წუთი შეადგინა. MOU[19] მაჩვენებელი იგივე რჩება. 2018 და 2019 წლების საშუალო MOU-მ 167 წუთი შეადგინა.

**ხმოვანი ტრაფიკი (მლრდ წუთი)**



| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| ხმოვანი ტრაფიკი | 10.28 | 9.62 | 9.88 | 9.92 |

## 2019 წელს თითო აბონენტმა მობილურზე თვეში საშუალოდ 167 წუთი ისაუბრა




**2019 წლის საშუალო ყოველთვიური MOU, წუთი**



| | მაგთიკომი | სილქნეტი | ვიონი საქართველო |
|---|---|---|---|
| MOU | 160 | 159 | 188 |

მობილური ოპერატორების ჭრილში, 2019 წლის IV კვარტლის MOU-ს მონაცემები განსხვავებულია. საშუალოდ თვეში ყველაზე მეტს „ვიონი საქართველოს“ აბონენტები საუბრობენ, რაც კომპანიის მიერ შეთავაზებული შედარებით დაბალი ტარიფებითაა გამოწვეული, შემდეგ „მაგთიკომის“ მომხმარებლები, ხოლო ყველაზე ცოტას - „სილქნეტის“ აბონენტები საუბრობენ.

[19]MOU – Minutes of Use - თვეში საშუალოდ აბონენტის მიერ ნასაუბრები (იგულისხმება მხოლოდ გამავალი ზარები) წუთების რაოდენობა.

# მობილური ინტერნეტი

სწრაფი ტემპით იზრდება მობილური ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა, რაც რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით არის განპირობებული:

- საქართველოს მოსახლეობის უნარ-ჩვევები თანამედროვე ტექნოლოგიების მოხმარებაში გაუმჯობესებულია და ახალგაზრდა თაობა აქტიურად იყენებს მობილურ ინტერნეტს;
- გაზრდილია ე.წ. სმარტ ტელეფონების როგორც რაოდენობა, ასევე მისი წილი ქვეყანაში არსებულ ყველა სახის მობილურ ტელეფონებს შორის;
- გაზრდილია მოთხოვნილება ონლაინ რეჟიმში ინფორმაციაზე წვდომაზე;
- დინამიკაში მუდმივად იცვლება მობილური მომხმარებლის ქცევა სატელეკომუნიკაციო მომსახურებების მოხმარების კუთხით;
- სულ უფრო მეტი მომსახურება გადადის ონლაინ, ციფრულ სივრცეში, რაც თავისთავად ხელს უწყობს მოხმარების ზრდას.

მობილური ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა ყოველ წელს მნიშვნელოვნად იზრდება. 2016 წლიდან 2019 წლის ბოლომდე საშუალოდ მობილური ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობის წლიურმა ზრდამ 9% შეადგინა.

**2019 წლის ბოლოსთვის, ინტერნეტ მომსახურებით მობილური ქსელის აბონენტების უკვე 3,2 მლნ სარგებლობს**





მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა სიმკვრივის მაჩვენებელი საქართველოს მოსახლეობასთან[20] მიმართებაში კიდევ უფრო მაღალია და 2019 წლის ბოლოსთვის 93% შეადგინა.

**მობილური ინტერნეტ აბონენტები (მლნ)**




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| მობილური ინტერნეტის მომხმარებლები | 2.47 | 2.60 | 2.95 | 3.2 |
| სიმკვრივე მობილურ აბონენტებში | 45% | 47% | 54% | 59% |
| სიმკვრივე მოსახლეობაში | 71% | 75% | 85% | 93% |




**2019 წლის ბოლოს მობილური ინტერნეტის მომხმარებლების გადანაწილება კომპანიების მიხედვით**

**მობილური ინტერნეტ მომხმარებლები (მლნ)**




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| მაგთიკომი | 0.93 | 0.98 | 0.98 | 1.01 |
| სილქნეტი | 1.04 | 0.93 | 1.14 | 1.19 |
| ვიონი საქართველო | 0.50 | 0.69 | 0.84 | 0.99 |

[20] საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა მოიცავს 5 წლის ასაკიდან პირებს

თუმცა, კომპანიების ჭრილში, აბონენტთა საერთო რაოდენობაში მობილური ინტერნეტ მომხმარებლების წილის მაჩვენებლები განსხვავებულია. პირველ ადგილზე არის „ვიონი საქართველო“, მობილურ ინტერნეტს კომპანიის აბონენტების 71% მოიხმარს. ასეთი მაღალი მაჩვენებელი მობილურ ინტერნეტზე შეთავაზებული ტარიფებით და მომხმარებელთა სეგმენტითაა განპირობებული. ამავე მონაცემებით, მეორე ადგილს 66%-ით „სილქნეტი“, ხოლო მესამე ადგილს „მაგთიკომი“ - 46%-ით იკავებს.

**მობ. ინტერნეტის მომხმარებლების სიმკვრივე კომპანიების მიხედვით**




| | მაგთიკომი | სილქნეტი | ვიონი საქართველო |
|---|---|---|---|
| 2019 | 46% | 66% | 71% |

2019 წელს მობილური ინტერნეტ ტრაფიკი რეკორდულად მზარდია. მობილური მომსახურების აბონენტებმა 86 ათას ტერაბაიტამდე მობილური ინტერნეტი მოიხმარეს. ეს მოცემულობა განპირობებულია როგორც მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდით, ასევე, ბაზარზე ახალი თაობის ტელეფონების რაოდენობისა და 4G ქსელისა და მომსახურების განვითარებით.




**მოხმარებული ინტერნეტ ტრაფიკის საშუალო წლიური ზრდა 39%-ს შეადგენს**

მობილური ინტერნეტ ტრაფიკი (ათასი ტერაბაიტი)

| წელი | ტრაფიკი |
|---|---|
| 2016 | 32 |
| 2017 | 60 |
| 2018 | 62 |
| 2019 | 86 |

2019 წელს ყველაზე დიდი რაოდენობის ინტერნეტ ტრაფიკი „მაგთიკომის“ აბონენტებმა მოიხმარეს. საშუალო ყოველთვიური მოხმარება 3.4 გბ-ს შეადგენს, რაც წინა წელთან შედარებით 47%-ით მეტია. 2019 წლის IV კვარტლის მონაცემებით, „მაგთიკომის“ და „ვიონ საქართველოს“ აბონენტები ყოველთვიურად თანაბარი რაოდენობით ინტერნეტს - 3.9 გბ მოიხმარენ. მნიშვნელოვნად ნაკლებ ინტერნეტ ტრაფიკს - 2.5 გბ-ს იყენებენ „სილქნეტის“ აბონენტები.

**ოპერატორების წილი მობილურ ინტერნეტ ტრაფიკში**




**მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარება, გბ**




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| საშუალო მოხმარება | 1.8 | 2.7 | 2.3 | 3.4 |

**მობილური ინტერნეტის ყოველთვიური საშუალო მოხმარება, გბ**




| | მაგთიკომი | სილქნეტი | ვიონი საქართველო |
|---|---|---|---|
| საშუალო მოხმარება | 3.9 | 2.5 | 3.9 |

4G ტექნოლოგიის დანერგვასთან ერთად, იკლებს 2G და 3G ტექნოლოგიებით მოხმარებული ინტერნეტ ტრაფიკის რაოდენობა. 2019 წელს მთლიანი მობილური ინტერნეტ ტრაფიკის 77% უკვე 4G ტექნოლოგიაზე მოდის.




**მობილური ტრაფიკი ტექნოლოგიების მიხედვით**




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| 2G | 4% | 3% | 2% | 1% |
| 3G | 58% | 41% | 33% | 22% |
| 4G | 38% | 56% | 65% | 77% |

4G ტექნოლოგიით მობილური ინტერნეტის მოხმარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი „ვიონი საქართველოს“ აქვს. 4G ტრაფიკის წილით, ჯამურ მობილურ ტრაფიკში, პირველ ადგილზეა „ვიონ საქართველო“, შემდეგ „მაგთიკომი“ და ბოლოს - „სილქნეტი“.

## 4G ტრაფიკის წილი კომპანიის ჯამურ მობილურ ტრაფიკში



მაგთიკომი
78%

სილქნეტი
70%

ვიონი საქართველო
82%



## სახელმწიფო კონსოლიდირებული ტენდერი

2019 წლის ბოლოსთვის, სახელმწიფო კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართული აქტიური აბონენტების რაოდენობამ 288,000 შეადგინა, რაც ჯამური იურიდიული პირი აბონენტების 23%-ია.

**იურიდიული პირი აბონენტები (ათასი)**




**იურიდიული პირი აბონენტების განაწილება**



2019 წელს იურიდიული პირი აბონენტებისგან მიღებულ ჯამურ - 130 მლნ ლარის შემოსავალში, 36 მლნ ლარი კონსოლიდირებული აბონენტებისგან იყო მიღებული.







კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართული აბონენტების ყოველთვიური ARPU საშუალოდ 2 ლარით აღემატება სხვა იურიდიული პირი აბონენტების ARPU-ს. იგივე სხვაობა - 2 ლარი არის კონსოლიდირებულის აბონენტების და ფიზიკური პირი აბონენტების ARPU-ს მაჩვენებლებს შორის.




2019 წლის ბოლოსთვის, კონსოლიდირებულ აბონენტებში მობილური ინტერნეტ მომხმარებლების სიმკვრივე 65%-ია, სხვა იურიდიული პირი აბონენტებისთვის ეს მაჩვენებელი ანალოგიურად 65%-ს შეადგენს. ფიზიკურ პირ აბონენტებში მობილური ინტერნეტის მომხმარებლების სიმკვრივე კი 49%-ია.



კონსოლიდირებული ტენდერის აბონენტები, სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან შედარებით, გაცილებით დიდი ოდენობით მობილურ ინტერნეტს მოიხმარენ.




კონსოლიდირებულის აბონენტები, ასევე ყველაზე მეტს საუბრობენ. 2019 წელს ისინი მობილურზე საუბარს თვეში საშუალოდ 293 წუთს უთმობდნენ. სხვა იურიდიული პირი აბონენტები - 190 წუთს, ხოლო ფიზიკური პირი აბონენტები - 151 წუთს საუბრობდნენ.




კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ჩართული აბონენტების ქცევა მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა ტიპის აბონენტების ქცევისგან. ისინი უფრო მეტად მოიხმარებ მობილურ მომსახურებებს, როგორც ხმოვანს, ისე - ინტერნეტს. ასევე, სხვა აბონენტების დანახარჯებთან შედარებით, თვეში საშუალოდ მობილურ მომსახურებებზე გაწეული ხარჯი უფრო მაღალია.

# როუმინგი

როუმინგის მომსახურების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სეზონზე. ზოგადად, ყველაზე მეტი მომხმარებელი III კვარტალში ფიქსირდება. 2018 წელთან შედარებით, 2019 წლის III კვარტალში საქართველოდან გასული როუმერების რაოდენობაში 15%-იანი ზრდაა. მიუხედავად იმისა, რომ როუმინგის მოხმარების ტენდენცია კლებისკენ არის წასული, 2019 წელს საქართველოდან გასული მოგზაურების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაზრდილია, რაც როუმერების რაოდენობის ზრდაზეც აისახა. ასევე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ოპერატორების შეთავაზებები გარკვეული მიმართულებებით და როუმინგი უფრო ხელმისაწვდომი გახდა.

**გასული როუმერების რაოდენობა**




| | I კვარტალი | II კვარტალი | III კვარტალი | IV კვარტალი |
|---|---|---|---|---|
| 2016 | 118 | 145 | 204 | 155 |
| 2017 | 135 | 172 | 236 | 167 |
| 2018 | 109 | 146 | 187 | 146 |
| 2019 | 132 | 161 | 215 | 182 |

2019 წლის III კვარტალში, ყველაზე დატვირთულ სეზონზე, მობილური აბონენტების 4%-მა გამოიყენა როუმინგული მომსახურება. სულ როუმინგული მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2019 წელს 26 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი მობილური საცალო შემოსავლის 5%-ია.

**შემოსავალი როუმინგიდან (მლნ ლარი)**




2019 წელს, ყველაზე მეტი თანხა - 1,7 მლნ ლარი, როუმინგულ მომსახურებაზე საქართველოდან გასულმა როუმერებმა თურქეთში დახარჯეს, რასაც ხელს უწყობს თურქეთის, როგორც სატრანზიტო ქვეყნის გამოყენება საბოლოო დანიშნულების ადგილამდე. თურქეთის გარდა, ყველაზე მეტი თანხა როუმერებმა შემდეგ ქვეყნებში დახარჯეს: გერმანია, იტალია, რუსეთის ფედერაცია, საფრანგეთი, აზერბაიჯანი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, სომხეთი, უკრაინა და ესპანეთი.

2019 წელს 10 ქვეყანა საქართველოს როუმერებისთვის (მლნ ლარი)




2019 წელს, საქართველოში ყოფნის დროს, მობილურ მომსახურებაზე ყველაზე დიდი თანხა 4,2 მლნ ლარი ავსტრიიდან ჩამოსულმა როუმერებმა დახარჯეს. შემდეგ ადგილებს შვეიცარია, რუსეთის ფედერაცია, საფრანგეთი, საუდის არაბეთი, იაპონია, უკრაინა, თურქეთი, შვედეთი და ირლანდია იკავებენ.

2019 წელს 10 ქვეყანის ჩამოსული როუმერების ხარჯი  მლნ ლარი



# მობილური ნომრების პორტირება

2019 წელს მობილური ოპერატორების ქსელში 52 ათასი ნომრის პორტირება განხორციელდა, რაც 2018 წელთან შედარებით 3 ათასი პორტირებული ნომრით მეტია.

**პორტირებული ნომრების რაოდენობა, ათასი**




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| პორტირებული ნომრები | 79 | 57 | 49 | 52 |

**გადმოპორტირებული აბონენტების რაოდენობა, ათასი**




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| მაგთიკომი | 43 | 23 | 18 | 14 |
| სილქნეტი | 26 | 21 | 18 | 21 |
| ვიონი საქართველო | 10 | 14 | 13 | 17 |

**2019 წელს პორტირებები ოპერატორების მიხედვით, ათასი**




| | მაგთიკომი | სილქნეტი | ვიონი საქართველო |
|---|---|---|---|
| გადმოპორტირებული | 14 | 21 | 17 |
| გადაპორტირებული | 27 | 15 | 9 |

# მობილური აპარატების განაწილება მწარმოებლების მიხედვით

| მწარმოებელი | რაოდენობა | % |
|---|---|---|
| Sumsung | 1,928,389 | 36.2% |
| სხვა | 1,271,093 | 23.9% |
| Apple | 725,749 | 13.6% |
| Microsoft & Nokia | 566,445 | 10.6% |
| HUAWEI | 517,675 | 9.7% |
| Lenovo | 121,015 | 2.3% |
| LG | 53,868 | 1.0% |
| Sony/Erricson | 50,861 | 1.0% |
| TCT | 40,494 | 0.8% |
| HTC | 30,803 | 0.6% |
| ZTE | 20,243 | 0.4% |

## მობილური კომუნიკაციების 2019 წლის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

მობილური მომხმარებლების სიმკვრივე საქართველოს მოსახლეობასთან მიმართებაში

**156%**-ს შეადგენს



**5.4**
მილიონი SIM-ბარათი



აბონენტები მობილურზე თვეში საშუალოდ
**167** წუთს საუბრობენ




მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარება თვეში
**3.4** გბ-ს შეადგენს

მობილურ მომსახურებაზე აბონენტები თვეში საშუალოდ
**8.6** ლარს ხარჯავენ




ფიზიკური პირი    იურიდიული პირები

## ფიქსირებული ფართოზოლოვანი[21] ინტერნეტ მომსახურება

საქართველოში ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება, გასული წლების მსგავსად, სტაბილურად მზარდი ტენდენციით ხასიათდება როგორც აბონენტების რაოდენობის მხრივ, ასევე, შემოსავლების კუთხით. ვითარდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგია და იზრდება მისი სიმკვრივე აბონენტების მთლიან რაოდენობაში.
2019 წელს, გასული წლის მსგავსად, აბონენტების რაოდენობა უფრო მეტად გაიზარდა რეგიონებში, ვიდრე დედაქალაქში. თბილისში ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზარი თითქმის გაჯერებულია. რეგიონალურ ქალაქებსა და სოფლებში, განსაკუთრებით იქ, სადაც ვითარდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი, ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების აბონენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება.

**2019 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების რაოდენობამ 941 ათასი შეადგინა**



2018 წელთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 8.8%-ით გაიზარდა - ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა 9%-ით, ხოლო იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა 7%-ით.

ამასთან, ბოლო სამი წლის განმავლობაში წლიური ზრდის ტემპი[22] ფიზიკური პირი აბონენტებისთვის 12%-ს შეადგენს, ხოლო იურიდიული პირებისთვის - 8%.

**აბონენტების რაოდენობა (ათასი)**




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| ფიზიკური | 645 | 741 | 823 | 896 |
| იურიდიული | 36 | 40 | 42 | 45 |

[21]ITU-ს განმარტებით - ეს არის ინტერნეტ კავშირის ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა მონაცემთა გადაცემა განხორციელდეს 256 კბ/წმ ან მეტი სიჩქარით
[22]წლიური ზრდის ტემპი (CAGR – Compound Annual Growth Rate)

ფიზიკური პირი აბონენტების წილი მთლიან რაოდენობაში 95.3%, ხოლო იურიდიული პირი აბონენტების - 4.7%-ია.

ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა 2019 წელს 73 ათასით გაიზარდა და IV კვარტლის მონაცემებით 896 ათასს მიაღწია. შესაბამისად, 6.6%-ით გაიზარდა ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების სიმკვრივე შინამეურნეობებზე[23] და ამ მაჩვენებელმა 80.8% შეადგინა.

### საბონენტო სიმკვრივე შინამეურნეობაზე




2019 წელს ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდის ტემპი ქონდა „მაგთიკომს“. წლის განმავლობაში მისი აბონენტების რაოდენობა 18%-ით გაიზარდა, რაც უმეტესწილად კომპანიის მიერ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის გაფართოებითაა გამოწვეული. ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობის მიხედვით, მეორე ადგილზე „სილქნეტი“ იყო, 2019 წელს მისი აბონენტების რაოდენობა 2%-ით გაიზარდა.

### ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა კომპანიების მიხედვით (ათასი)




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| მაგთიკომი[24] | 188 | 287 | 365 | 430 |
| სილქნეტი | 265 | 284 | 275 | 282 |
| ახალი ქსელების ჯგუფი[25] | 84 | 70 | 65 | 65 |
| სხვა | 108 | 100 | 117 | 119 |
| სულ: | 645 | 741 | 823 | 896 |

[23]ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობის შეფარდება ქვეყანაში შინამეურნეობების რაოდენობაზე, პროცენტულ მაჩვენებლებში. ოფიციალური ბოლო მონაცემებით საქართველოში შინამეურნეობის რაოდენობა 1,109,222 შეადგენს

[24] “მაგთიკომის“ 2016 წლის აბონენტების რაოდენობაში შედის „დელტა-ნეტის“ საცალო აბონენტების რაოდენობა
[25]“ახალი ქსელების“ ჯგუფში გაერთიანებულია „ახალი ქსელების“, „ახტელის“ და „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ აბონენტების რაოდენობა. ისინი ურთიერთდამოკიდებული, აფილირებული პირები არიან.



2019 წელს 11%-ით გაიზარდა „სილქნეტის“ იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა და IV კვარტლის მდგომარეობით 19.8 ათასი შეადგინა. კომპანია ამ ტიპის აბონენტების რაოდენობით პირველ ადგილზეა. მას მოსდევს „მაგთიკომი“ 13 ათასი აბონენტით, თუმცა წლის განმავლობაში მისი აბონენტების რაოდენობა 9%-ით შემცირდა. კლების მიზეზი არის ის, რომ 2019 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების ინტერნეტ მომსახურებით უზრუნველყოფას, „მაგთიკომის“ ნაცვლად, „სქაიტელი“ ახორციელებს. შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაზრდილია იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა „სხვა“ კატეგორიაში.

### იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა კომპანიების მიხედვით (ათასი)




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| მაგთიკომი | 11.4 | 14.4 | 14.3 | 13.0 |
| სილქნეტი | 14.3 | 15.7 | 17.9 | 19.8 |
| ახალი ქსელების ჯგუფი | 4.0 | 4.1 | 3.9 | 3.7 |
| სხვა | 5.9 | 5.3 | 5.4 | 8.0 |
| სულ: | 35.6 | 39.5 | 41.5 | 44.6 |

2019 წელს, წინა წელთან შედარებით, ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებიდან მიღებული საცალო შემოსავალი 17%-ით გაიზარდა და 263 მლნ ლარი შეადგინა.

### საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| ფიზიკური | 148 | 151 | 157 | 185 |
| იურიდიული | 50 | 61 | 68 | 78 |
| ჯამური საცალო შემოსავლის ცვლილება | 7% | 7% | 6% | 17% |




ფიზიკური პირი აბონენტებისგან მიღებული შემოსავალი მთლიანი ოდენობის 70%-ს შეადგენს, მაშინ, როცა ამ ტიპის აბონენტების რაოდენობა მთლიანი ბაზრის 95%-ია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ იურიდიული პირი აბონენტების მომსახურების საფასური მნიშვნელოვნად აღემატება ფიზიკური პირი აბონენტების მიერ გადახდილ სააბონენტო გადასახადს.




აღსანიშნავია, რომ შემოსავლის 88%-ს ბაზრის სამი მოთამაშე აგენერირებს, ხოლო დანარჩენი 12% 136 კომპანიაზე ნაწილდება. „მაგთიკომს“ შემოსავლის მიხედვით ბაზრის 46.8% უჭირავს, „სილქნეტს“ – 35.4%, ხოლო „ახალი ქსელების“ ჯგუფს – 5.5%.

განცალკევებულად ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტებისგან მიღებული შემოსავლის წილების მიხედვით, კომპანიების მიმდევრობა იგივეა, რაც შემოსავლის ჯამურ გადანაწილებაში. ფიზიკურ პირებში „მაგთიკომის“ წილი 49% და „სილქნეტის“ - 33%-ია, იურიდიულ პირებში კი, „მაგთიკომის“ და „სილქნეტის“ შემოსავლების წილები თითქმის თანაბარია.









ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების შემოსავლისა და მშპ-ის ზრდის პროცენტული მაჩვენებლები, გასულ სამ წელთან შედარებით, 2019 წელს მკვეთრად განსხვავებულია. მშპ-ს რეალური ზრდა 5.1%-ს, ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების შემოსავლის ზრდის მაჩვენებელი კი - 17.1%-ს შეადგენს.




2019 წლის IV კვარტლში ფიზიკური პირი აბონენტების ARPU (თვეში ერთი აბონენტისგან მიღებული საშუალო შემოსავალი) 18.1 ლარს შეადგენდა, რაც წინა წელთან შედარებით 8%-ით მეტია. ARPU-ს ზრდა გამოწვეულია ბაზრის მსხვილი მოთამაშეების მიერ 2019 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ე. წ. „რეპაკეტირებით“ - კომპანიებმა გაზარდეს  ყველაზე ხშირად მოხმარებული პაკეტებით შეთავაზებული სიჩქარე და ფასი, რამაც გაზარდა აბონენტის მიერ ინტერნეტ მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები.
ბოლო წლების განმავლობაში, იურიდიული პირების ARPU მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2019 წელს, წინა წლებთან შედარებით, ARPU 3.3%-ით გაიზარდა და 151 ლარი შეადგინა.




[26] წყარო - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2019 წლის მშპ-ს ზრდის პროცენტული მაჩვენებელი არის წლის IV კვარტლის პროგნოზირებული მაჩვენებელი.

2019 წლის IV კვარტლის მონაცემებით, ფიზიკური პირი აბონენტების ARPU თბილისში რეგიონების ამ მაჩვენებელს 57%-ით აღემატება. დედაქალაქში თვეში ერთი აბონენტისგან მიღებული საშუალო შემოსავალი, წინა წელთან შედარებით, 8%-ით, რეგიონებში კი 10%-ით გაიზარდა.

### ფიზიკური პირი აბონენტების ARPU (ლარი) თბილისსა და რეგიონებში




ფიზიკური პირი აბონენტების ARPU ყველაზე მაღალია ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიაზე და ის 18.6 ლარს შეადგენს. xDSL ტექნოლოგიაზე ერთი აბონენტის დანახარჯი საშუალოდ თვეში 17.5 ლარია, Wi-Fi-ზე - 15.7 ლარი, ხოლო ფიქსირებულ LTE ტექნოლოგიაზე - 14.7 ლარი.

### ფიზიკური პირი აბონენტების ARPU (ლარი) ტექნოლოგიების მიხედვით




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| FTTx | 20.9 | 17.5 | 16.9 | 18.6 |
| Wi-Fi | 16.5 | 16.6 | 15.3 | 15.7 |
| xDSL | 18.8 | 17.6 | 17.4 | 17.5 |
| LTE | 16.3 | 14.9 | 15.7 | 14.7 |



2019 წლის ბოლო მონაცემებით, ფიქსირებულ ფართოზოლოვან მომსახურებას სულ 141 სუბიექტი ეწეოდა[27]. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით მომხმარებელს მომსახურებას - 64 კომპანია, Wi-Fi ტექნოლოგიით - 113, xDSL-ით - 8, ფიქსირებული LTE ტექნოლოგიით - 1 ავტორიზებული პირი აწვდიდა.

### ფიზიკური პირი აბონენტების გადანაწილება ტექნოლოგიების მიხედვით

ფიზიკური პირი აბონენტების უმეტესი ნაწილი - 82% ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ინტერნეტ მომსახურებით სარგებლობდა, მას მოსდევს Wi-Fi ტექნოლოგია 11%, xDSL - 5% და ფიქსირებული LTE - 2%

საქართველოში 2019 წელს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის აბონენტების სიმკვრივემ შინამეურნეობებში 67% შეადგინა.[28]




### იურიდიული პირი აბონენტების გადანაწილება ტექნოლოგიების მიხედვით




იურიდიული პირი აბონენტების გადანაწილება ტექნოლოგიების მიხედვით მცირედ განსხვავებულია. აქ Wi-Fi და xDSL ტექნოლოგიას შედარებით უფრო დიდი წილი უჭირავს, ვიდრე ფიზიკური პირი აბონენტების სეგმენტზე.

[27] მოიცავს კომპანიებს, რომელთაც ყავდათ 1 აბონენტი მაინც.
[28] ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა გაყოფილი შინამეურნეობების რაოდენობაზე

ბოლო 3 წლის განმავლობაში, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის (ფიზიკური და იურიდიული პირი) აბონენტების რაოდენობის წლიური ზრდა[29] 24%-ია. აბონენტების რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილი Wi-Fi ტექნოლოგიას უჭირავს, თუმცა, წინა წელთან შედარებით, 8%-ით შემცირდა, რისი მიზეზიც, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ინტერნეტ მომსახურების ქსელის განვითარება და, შესაბამისად, მისი ხელმისაწვდომობის ზრდაა. 2016 წლიდან, წელიწადში საშუალოდ 33%-ით იკლებს xDSL ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობა.

**აბონენტების რაოდენობა ტექნოლოგიების მიხედვით (ათასი)**




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| FTTx | 403 | 541 | 653 | 771 |
| Wi-Fi | 97 | 96 | 112 | 103 |
| xDSL | 152 | 114 | 75 | 45 |
| LTE | 25 | 27 | 25 | 22 |

2019 წლის IV კვარტლის მონაცემებით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი მომსახურების (ფიზიკური და იურიდიული პირი) აბონენტების 57% „მაგთიკომის" მომსახურებით სარგებლობდა, 31% - „სილქნეტის", სხვა ოპერატორების წილი კი ჯამში 11%-ს შეადგენს.

**ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის აბონენტების განაწილება**




30

[29] წლიური ზრდის ტემპი (CAGR – Compound Annual Growth Rate)

[30] „ახალი ქსელები", „ახტელი" და „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია" ურთიერთდამოკიდებული, აფილირებული პირები არიან.



რაც შეეხება xDSL ტექნოლოგიას, აბონენტების 86% „სილქნეტის" მომხმარებელი იყო, „ახალი ქსელების" - 7%, „ახტელის" - 5%, ყველა სხვა ოპერატორის წილი კი ჯამში 3%-ს შეადგენდა.

**xDSL ტექნოლოგიის აბონენტების განაწილება**




ოპტიკურ-ბოჭკოვანი და xDSL ტექნოლოგიებისგან განსხვავებით, გაცილებით დიდია ბაზრის იმ მოთამაშეების რიცხვი, რომლებიც ინტერნეტ მომსახურების მიწოდებას Wi-Fi ტექნოლოგიით ახორციელებენ. 2019 წელს აბონენტებს ინტერნეტ მომსახურებას Wi-Fi ტექნოლოგიით 113 კომპანია აწვდიდა. 2019 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, აღნიშნულ ტექნოლოგიაზე აბონენტების ყველაზე დიდი წილი 18% ჰქონდა ჯამურად „სქაიტელსა" და "GOLDNET"-ს (18.6 ათასი აბონენტი), რომლებიც აფილირებული პირები არიან, მას მოსდევს „MAXNET" 9%-ით (9.7 ათასი აბონენტი) და „აირკონექტი" აბონენტების რაოდენობის 7%-იანი წილით (6.7 ათასი აბონენტი). აბონენტების 66% კი 109 კომპანიაზე გადანაწილდა, მათ შორის, 1000-ზე მეტი აბონენტი მხოლოდ 22 კომპანიას ჰყავდა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის განვითარება შესაძლებელს ხდის აბონენტებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს უფრო მაღალი სიჩქარის ინტერნეტ მომსახურება. 2019 წლის ბოლოს, საქართველოში ყველაზე მეტი აბონენტი სარგებლობდა ინტერნეტ მომსახურებით, რომლის დეკლარირებული სიჩქარე[31] 10 მბ/წმ - 29 მბ/წმ შუალედში იყო. ამ აბონენტების წილმა 61% შეადგინა. შესაბამისად, მცირდება 9 მბ/წმ-მდე, ჩათვლით დიაპაზონის სიჩქარის მქონე აბონენტების წილი.

**აბონენტების რაოდენობის გადანაწილება დეკლარირებული სიჩქარის დიაპაზონების მიხედვით**




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| 100 მბ/წმ და მეტი | 2% | 3% | 2% | 2% |
| 30 მბ/წმ - 99 მბ/წმ | 15% | 26% | 19% | 20% |
| 10 მბ/წმ - 29 მბ/წმ | 37% | 37% | 55% | 61% |
| 9 მბ/წმ-მდე, ჩათვლით | 46% | 34% | 24% | 17% |

[31] ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ნაწილში სიჩქარეების ანალიზისას იგულისხმება აბონენტებისთვის შეთავაზებული ინტერნეტ მომსახურების კომპანიების მიერ დეკლარირებული სიჩქარე

10 მბ/წმ - 29 მბ/წმ დიაპაზონის სიჩქარის მქონე აბონენტების წილი ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიაში მეტია და 70% აღწევს. LTE, Wi-Fi და xDSL ტექნოლოგიებზე 1 მბ/წმ - 9 მბ/წმ დიაპაზონი დომინირებს, რაც აღნიშნული ტექნოლოგიების შეზღუდვებითა და მახასიათებლებით არის გამოწვეული.

### აბონენტების რაოდენობის გადანაწილება ტექნოლოგიებისა და სიჩქარეების მიხედვით




| | FTTx | Wi-Fi | xDSL | ფიქს.LTE | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 100 მბ/წმ და მეტი | 2% | 0.04% | 0% | 0% | 2% |
| 30 მბ/წმ - 99 მბ/წმ | 25% | 1% | 0% | 2% | 20% |
| 10 მბ/წმ - 29 მბ/წმ | 70% | 18% | 14% | 24% | 61% |
| 9 მბ/წმ-მდე, ჩათვლით | 3% | 81% | 86% | 74% | 17% |

განსხვავებულია იურიდიული და ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობის გადანაწილება ინტერნეტ მომსახურების სიჩქარეების დიაპაზონების მიხედვით. იურიდიული პირების შემთხვევაში, დომინირებს 9 მბ/წმ-მდე, ჩათვლით დიაპაზონი (57%), ხოლო ფიზიკური პირების შემთხვევაში - 10 მბ/წმ - 29 მბ/წმ (63%). აღსანიშნავია, რომ იურიდიული პირი აბონენტების შემთხვევაში, კომპანიების მიერ ხდება ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან წვდომის სიჩქარის დეკლარირება.

### ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობის განაწილება დეკლარირებული სიჩქარეების მიხედვით




| | ფიზიკური | იურიდიული |
|---|---|---|
| 100 მბ/წმ და მეტი | 1% | 21% |
| 30 მბ/წმ - 99 მბ/წმ | 21% | 2% |
| 10 მბ/წმ - 29 მბ/წმ | 63% | 20% |
| 9 მბ/წმ-მდე, ჩათვლით | 15% | 57% |



ფიზიკურ პირ აბონენტებში დეკლარირებული სიჩქარეების გადანაწილების ანალიზი, განცალკევებულად და არა დიაპაზონების მიხედვით, გვიჩვენებს, რომ 2018 წელთან შედარებით, თბილისში განსაკუთრებით დიდია აბონენტების ზრდა 20 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტზე. მკვეთრად შემცირდა იმ აბონენტების რაოდენობა, რომლებიც 10 მბ/წმ-იანი სიჩქარის ინტერნეტით სარგებლობენ. აღნიშნული ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების მიერ განხორციელებული ინტერნეტ მომსახურების პაკეტების ცვლილების შედეგია.

### ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება დეკლარირებული სიჩქარეების მიხედვით - თბილისი




2019 წლის IV კვარტალში, 32%-ით გაიზარდა რეგიონებში იმ აბონენტების რაოდენობა, რომლებიც 20 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტ მომსახურებით სარგებლობენ. უფრო დაბალი სიჩქარის - 3-4 მბ/წმ შეთავაზების მქონე აბონენტების რიცხვი კი იკლებს.

### ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება დეკლარირებული სიჩქარეების მიხედვით - რეგიონები



**2019 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების 46% თბილისში, ხოლო 54% რეგიონებშია.**




**2019 წელს წინა წელთან შედარებით, აბონენტების რაოდენობის 11%-იანი ზრდა დაფიქსირდა რეგიონებში, მაშინ, როცა თბილისში აბონენტების რაოდენობა 6%-ით გაიზარდა.**

**აბონენტების ზრდის ტენდენცია თბილისსა და რეგიონებში (აბონენტების რაოდენობა, ათასი)**




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| თბილისი | 337 | 385 | 407 | 431 |
| რეგიონები | 344 | 396 | 458 | 510 |



„მაგთიკომის" მიერ 2017 წელს „დელტა-ნეტის" შეძენისა და ამავე პერიოდიდან რეგიონებში ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის აქტიური განვითარების შედეგად, მისი აბონენტების რაოდენობა 2019 წლის ბოლოსთვის, 2016 წელთან შედარებით, დაახლოებით 5-ჯერ გაიზარდა.

**აბონენტების რაოდენობა რეგიონებში (ათასი)**




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| მაგთიკომი[32] | 43 | 104 | 169 | 216 |
| სილქნეტი | 145 | 160 | 145 | 145 |
| ახალი ქსელების ჯგუფი | 54 | 41 | 34 | 33 |
| სხვა | 102 | 91 | 110 | 116 |
| სულ | 344 | 396 | 458 | 510 |

**ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების სიმკვრივე**

2019 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, ინტერნეტის სიმკვრივე[33] თბილისში 118%-ია, რაც გამოწვეულია ერთ ოჯახში სხვადასხვა პროვაიდერისგან რამდენიმე ინტერნეტ მომსახურების არსებობით, იჯარით გაცემულ/საიჯაროდ განსაზღვრულ უძრავ ქონებაში არსებული ინტერნეტ მომსახურებით და რეგისტრირებული და ფაქტიურად მცხოვრები მოსახლეობის აღრიცხვიანობით. ასევე, ვინაიდან იურიდიული პირებისთვის განკუთვნილი ინტერნეტ მომსახურება გაცილებით ძვირია, ვიდრე მსგავსი მომსახურება ფიზიკური პირებისთვის, შესაძლოა მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტები სარგებლობდნენ კიდევაც ინტერნეტ მომსახურებით, ოღონდ არა იურიდიული პირების პაკეტით, არამედ ფიზიკური პირის პაკეტით და ისინი, შესაბამისად, აღირიცხებიან ფიზიკურ პირ მომხმარებლებში. აღნიშნული მიზეზების გამო, ინტერნეტის სიმკვრივის მაჩვენებელი, ბათუმის გავლენით, დიდია აჭარაშიც - 106%. რეგიონებში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთშია.




[32] 2016 წლების მონაცემებში „მაგთიკომის" აბონენტების რაოდენობაში შედის „დელტა-ნეტის" საცალო აბონენტების რაოდენობა; „ახალი ქსელების" ჯგუფში გაერთიანებულია „ახალი ქსელების", „ახტელის" და „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის" აბონენტების რაოდენობა.
[33] აბონენტების რაოდენობის შეფარდება შინამეურნეობების რაოდენობაზე, პროცენტულ მაჩვენებლებში

2019 წლის ბოლოს საქართველოს ხუთი დიდი ქალაქის: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი და ფოთის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების 604 ათასიანი რაოდენობა ქვეყნის აბონენტების რაოდენობის 64%-ს შეადგენს. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის განვითარებამ მნიშვნელოვნად შეამცირა xDSL ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობა აღნიშნულ ქალაქებში, ოპტიკურ-ბოჭკოვანი აბონენტების წილმა კი 92% შეადგინა.

### აბონენტების რაოდენობა ტექნოლოგიების მიხედვით (ოპტიკური, xDSL და Wi-Fi) საქართველოს 5 დიდ ქალაქში (ათასი) [34]




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| xDSL | 97 | 71 | 50 | 32 |
| Wi-Fi | 12 | 13 | 11 | 9 |
| Fiber | 348 | 440 | 494 | 553 |

აღსანიშნავია, რომ ხუთივე დიდ ქალაქში ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის აბონენტების წილი ქალაქის ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების მთლიან რაოდენობაში 85%-ზე მეტია, ყველაზე დიდი წილი კი რუსთავსა და ფოთში ფიქსირდება - 95%.

### აბონენტების გადანაწილება საქართველოს 5 დიდ ქალაქსა და სხვა დასახლებებში ტექნოლოგიების მიხედვით




| | თბილისი | ქუთაისი | ბათუმი | რუსთავი | ფოთი | სხვა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფიქს. LTE | 1% | 2% | 4% | 4% | 0% | 3% | 2% |
| xDSL | 5% | 6% | 7% | 1% | 3% | 4% | 5% |
| Wi-Fi | 1% | 1% | 4% | 0% | 2% | 28% | 11% |
| FTTx | 93% | 91% | 85% | 95% | 95% | 65% | 82% |

[34] დიაგრამაზე არ არის LTE ტექნოლოგია, ვინაიდან 2016-2017 წლების მონაცემებში ეს ტექნოლოგია დასახლებული პუნქტების მიხედვით გამიჯნული არ არის.



ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის მომხმარებელი აბონენტების უდიდესი ნაწილი - 52% თბილისშია. საქართველოს ხუთ დიდ ქალაქზე ჯამში (თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავსა და ფოთში) აღნიშნული ტექნოლოგიის მომხმარებელთა 72% მოდის, დანარჩენ ქალაქებზე, დაბებსა და სოფლებზე კი - 28%. აღნიშნული განაწილების ძირითადი მიზეზი რეგიონებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის შეზღუდული ხელმისაწვდომობაა, თუმცა, პროგრესი შეინიშნება. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობაში იმ აბონენტების წილი, რომლებიც საქართველოს 5 დიდ ქალაქს გარეთ არიან, 2018 წელს 24% იყო, 2019 წელს კი აღნიშნულმა მაჩვენებელმა 28% შეადგინა.

### ოპტიკური ტექნოლოგიის აბონენტების გადანაწილება




ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება ხელმისაწვდომია[35] საქართველოს ყველა ქალაქსა და დაბაში. რაც შეეხება სოფლებს, საქართველოში სულ 3384 სოფელია, საიდანაც 64%-ში არის ინტერნეტ მომსახურების ერთი აბონენტი მაინც.

### ინტერნეტის ხელმისაწვდომობა დასახლებებში (ცხრილში მოცემულია დასახლებების რაოდენობა)




| | ქალაქი | დაბა | სოფელი |
|---|---|---|---|
| არ არის ხელმისაწვდომი | 0 | 0 | 1220 |
| ხელმისაწვდომია | 56 | 36 | 2164 |
| დასახლებების რაოდენობა | 56 | 36 | 3384 |

[35] ხელმისაწვდომობაში იგულისხმება დასახლებაში ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების 1 მაინც აბონენტის არსებობა (ფიზიკური ან იურიდიული)

საქართველოში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა[36] დაახლოებით 182 ათასია, მაშინ, როცა ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების იურიდიული პირი აბონენტების რაოდენობა 45 ათასს შეადგენს. ეს ნიშნავს იმას, რომ ბიზნეს სუბიექტების მხოლოდ 24%-ს აქვს ინტერნეტ მომსახურება. აღნიშნული მდგომარეობის მიზეზი, შესაძლოა ისიც იყოს, რომ იურიდიული პირებისთვის განკუთვნილი მომსახურება გაცილებით ძვირია, ვიდრე მსგავსი მომსახურება ფიზიკური პირებისთვის. შესაბამისად, მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტები შესაძლოა სარგებლობდნენ კიდევაც ინტერნეტ მომსახურებით, მაგრამ არა იურიდიული პირების პაკეტით, არამედ ფიზიკური პირებისთვის განკუთვნილი ინტერნეტ მომსახურებით.
ამ მონაცემებით, თბილისში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების 38%-ს აქვს ინტერნეტ მომსახურება. რეგიონებში ეს მაჩვენებელი 11%-დან 19%-მდე მერყეობს.

**მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა და ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის ქონა მათ შორის**




| | თბილისი | აჭარა | სამცხე-ჯავახეთი | კახეთი | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | იმერეთი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | ქვემო ქართლი | მცხეთა - მთიანეთი | შიდა ქართლი | გურია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არ აქვს ინტერნეტი | 47,698 | 14,740 | 4,504 | 9,368 | 1,130 | 20,802 | 11,108 | 11,891 | 4,674 | 7,732 | 4,015 |
| აქვს ინტერნეტი | 29,714 | 3,381 | 842 | 1,631 | 192 | 3,210 | 1,655 | 1,744 | 672 | 1,039 | 484 |
| აქტიური ბიზნეს სუბიექტურობის რაოდენობა | 77,412 | 18,121 | 5,346 | 10,999 | 1,322 | 24,012 | 12,763 | 13,635 | 5,346 | 8,771 | 4,499 |

## ფიქსირებულ ინტერნეტთან კომბინაციაში სხვა საკომუნიკაციო მომსახურებების მოხმარება



საქართველოში ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებასთან ერთად, აბონენტები ამ მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის სხვა სერვისებითაც სარგებლობენ. რამდენიმე მომსახურებას ერთად აბონენტებს ძირითადად „სილქნეტი“, „მაგთიკომი“ და „ახალი ქსელების“ ჯგუფი სთავაზობენ.



[36] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინტერნეტ მომსახურებასთან კომბინაციაში მაუწყებლობის ტრანზიტის (IPTV ტექნოლოგია), ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების (PSTN და VoIP ტექნოლოგიის) და მობილური მომსახურების მოხმარება, 2019 წლის დეკემბრის მონაცემებით, შემდეგ სურათს გვაძლევს: ინტერნეტ მომსახურების მომხმარებელი ფიზიკური პირი აბონენტების ყველაზე დიდი წილი (45%) ინტერნეტ მომსახურებასთან ერთად მაუწყებლობის ტრანზიტული მომსახურებით სარგებლობს[37]. სამი მომსახურების კომბინაციაში დომინირებს ინტერნეტის, ტელევიზიისა და მობილური მომსახურების კომბინაცია (13%). ერთი პროვაიდერის ოთხი მომსახურებით კი, აბონენტების უმნიშვნელო ნაწილი - 0.2% სარგებლობს.

**ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების მოხმარება ცალკე და სხვა მომსახურებებთან კომბინაციაში (სილქნეტი, მაგთიკომი, ახალი ქსელების ჯგუფის აბონენტები)**




## ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება

საქართველოში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზარზე გამოიყენებოდა სადენიანი, უსადენო (CDMA) და VoIP (ხმოვანი კავშირი IP პროტოკოლით) ტექნოლოგიები. 2019 წლის IV კვარტლის მონაცემებით, ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზარზე სულ 24 კომპანია ოპერირებდა. ფიქსირებული სადენიანი ტექნოლოგიით მომსახურებას 9, უსადენოთი – 2, ხოლო VoIP-ით - 21[38] ავტორიზებული პირი აწვდიდა.



2019 წლის IV კვარტალში, ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონ¬ენტების რაოდენობამ 518 ათასი აბონენტი შეადგინა. 2018 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 14%-ით, 87 ათასი აბონენტით შემცირდა. ფიქსირებული ტელეფონიის აბონენტების, შესაბამისად - შემოსავლებისა და ტრაფიკის შემცირება, მსოფლიოში არსებული ტენდენციაა, რაც უმთავრესად მობილური მომსახურებების განვითარების, ინტერნეტის ხელმისაწვდომობისა და OTT (Over-The-Top) სერვისების მოხმარების ზრდის შედეგია.

[37] ანალიზში მონაწილეობს „სილქნეტის“, „მაგთიკომისა“ და „ახალი ქსელების“ ჯგუფის ფიზიკური პირი აბონენტები
[38] ზოგიერთი კომპანია ერთდროულად რამდენიმე ტექნოლოგიას იყენებს. შესაბამისად, ტექნოლოგიების მიხედვით ოპერატორთა რაოდენობის ჯამი არ უდრის სულ მოქმედი ოპერატორების რაოდენობის ჯამს

**აბონენტების რაოდენობა შემცირდა სადენიან და უსადენო ტექნოლოგიაზე, ხოლო VoIP ტექნოლოგიაზე გაიზარდა.**

**აბონენტების რაოდენობა (ათასი)**




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| სადენიანი | 483 | 432 | 385 | 336 |
| უსადენო | 294 | 217 | 145 | 99 |
| VoIP | 64 | 65 | 75 | 83 |

**აბონენტების რაოდენობა**




## სიმკვრივე შინამეურნეობებში




ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების სიმკვრივე შინამეურნეობებზე 2019 წლის IV კვარტლის მდგომარეობით 40%[39]-ია. გასულ წელს აღნიშნული მაჩვენებელი 47%-ს შეადგენდა. ოპერატორების მხრიდან, განსხვავებით მობილური მომსახურების პირობებისა, იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი ფიქსირებულ მომსახურებას არ მოიხმარს, მისთვის სატელეფონო ნომრის/ხაზის გაუქმება მოკლე ვადაში არ ხდება, რაც მეტ-ნაკლებად ხელს უწყობს აბონენტების რაოდენობის შენარჩუნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი იქნებოდა.

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ჯამური საცალო შემოსავალი კლების ტენდენციით ხასიათდება. მცირედით მზარდია შემოსავალი მხოლოდ VoIP ტექნოლოგიაზე.

**საცალო შემოსავალი (მლნ ლარი)**




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| შემოსავალი | 50.3 | 46.6 | 40.8 | 35.1 |

**საცალო შემოსავალი ტექნოლოგიების მიხედვით (მლნ ლარი)**




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| სადენიანი | 34.6 | 30.4 | 26.0 | 22.1 |
| უსადენო | 8.5 | 6.3 | 4.7 | 3.2 |
| VoIP | 7.1 | 9.8 | 10.1 | 9.8 |

[39] ფიქსირებული სატელეფონო მომსახურებით მოსარგებლე ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა შეფარდებული ქვეყანაში შინამეურნეობების რაოდენობაზე, პროცენტულ მაჩვენებლებში



გრძელდება ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების გამავალი ტრაფიკის კლების ტენდენციაც. თუ 2018 წელს იგი 666 მლნ წუთს შეადგენდა, 2019 წელს 22%-ით შემცირდა და 517 მლნ წუთი შეადგინა.

**გამავალი წუთები (მლნ)**




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| გამავალი წუთები | 1,117 | 873 | 666 | 517 |

**გამავალი წუთების გადანაწილება ტექნოლოგიების მიხედვით (მლნ)**




ფიქსირებული სადენიანი და VoIP სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობის მიხედვით, ლიდერობს „სილქნეტი". ხოლო, ფიქსირებულ უსადენო ტექნოლოგიაზე დომინანტური წილი „მაგთიკომს" უჭირავს. VoIP ტექნოლოგიაზე, „სილქნეტის" გარდა, ბაზრის შედარებით დიდი მოთამაშეები „ჯეონეთი", „ინექსფონი" და „მაიფონი" არიან.

**სადენიანი ტექნოლოგიის აბონენტების განაწილება**




**უსადენო ტექნოლოგიის აბონენტების განაწილება**




**VoIP ტექნოლოგიის აბონენტების განაწილება**




## მაუწყებლობის ტრანზიტი

2019 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებით, მაუწყებლობის ტრანზიტის მიმღები 730 ათასი აბონენტი დაფიქსირდა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5%-ით - 35,6 ათასი აბონენტით მეტია. ბოლო ოთხი წლის მონაცემების გათვალისწინებით, აბონენტების რაოდენობის ყოველწლიური საშუალო ზრდა 14%-ია.

**აბონენტების რაოდენობა (ათასი)**




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| სულ | 486.4 | 612.2 | 694.4 | 730.0 |

## სააბონენტო სიმკვრივე




შესაბამისად, გაიზარდა სააბონენტო სიმკვრივეც - მაუწყებლობის ტრანზიტის აბონენტების სიმკვრივემ მოსახლეობაზე[40] 19%, ხოლო შინამეურნეობებზე[41] 65% შეადგინა.

## საცალო შემოსავლების რაოდენობა (მლნ ლარი)




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| სულ | 66.0 | 75.8 | 95.9 | 113.3 |

მაუწყებლობის ტრანზიტიდან მიღებულმა საცალო შემოსავალის წლიურმა ოდენობამ 113,3 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 18%-ით - 17,5 მლნ ლარით მეტია. საცალო შემოსავლების ყოველწლიური საშუალო ზრდა ბოლო ოთხი წლის მონაცემების გათვალისწინებით 20%-ია.



**2019 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებით, IPTV[42] ტექნოლოგია მაუწყებლობის ტრანზიტის კვლავ ყველაზე გავრცელებული საშუალებაა. მისი წილი, წინა წელთან შედარებით, 5%-ით გაიზარდა და 75% გახდა. IPTV-ის საცალო შემოსავლების წილიც, მთლიან შემოსავალში 7%-ით გაიზარდა და 83%-ს შეადგენს.**

[40] მაუწყებლობის ტრანზიტორების აბონენტების რაოდენობის შეფარდება ქვეყანის მოსახლეობის რაოდენობაზე
[41] მაუწყებლობის ტრანზიტორების აბონენტების რაოდენობის შეფარდება ქვეყანაში შინამეურნეობების რაოდენობაზე
[42] IPTV - მაუწყებლობის ტრანზიტის ერთ-ერთი ტიპი, რომლის დროსაც სამაუწყებლო სიგნალი ქსელებში გადაიცემა ინტერნეტის პროტოკოლის (IP) გამოყენებით



## აბონენტების გადანაწილება ტექნოლოგიების მიხედვით




## საცალო შემოსავლების გადანაწილება ტექნოლოგიების მიხედვით




## აბონენტების რაოდენობა ტექნოლოგიების მიხედვით (ათასი)




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| IPTV | 193.8 | 357.1 | 482.9 | 547.2 |
| თანამგზავრული | 120.3 | 116.2 | 93.6 | 69.1 |
| რადიოსიხშირული | 112.2 | 90.5 | 56.8 | 44.8 |
| კოაქსიალური | 54.0 | 40.6 | 25.8 | 27.2 |
| ინტერნეტ ტელევიზია | 6.0 | 2.5 | 16.7 | 8.6 |
| DVBT | 0.1 | 5.3 | 18.8 | 33.2 |

## საცალო შემოსავალი ტექნოლოგიების მიხედვით (მლნ ლარი)




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| IPTV | 37.1 | 48.6 | 72.6 | 93.9 |
| თანამგზავრული | 7.2 | 7.5 | 6.9 | 6.0 |
| რადიოსიხშირული | 13.8 | 13.0 | 9.3 | 6.6 |
| კოაქსიალური | 7.6 | 6.4 | 5.7 | 4.0 |
| ინტერნეტ ტელევიზია | 0.2 | 0.2 | 0.2 | 0.5 |
| DVBT | 0.0 | 0.1 | 1.2 | 2.3 |

[43] ინტერნეტ ტელევიზია - მაუწყებლობის ტრანზიტის ერთ-ერთი ტიპი, რომლის დროსაც ხორციელდება სატელევიზიო კონტენტის ციფრული განაწილება ინტერნეტის საშუალებით
[44] DVBT - მაუწყებლობის ტრანზიტის ერთ-ერთი ტიპი, რომლის დროსაც ხორციელდება მიწისზედა ციფრული სატელევიზიო მაუწყებლობა

2019 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებით, 2018 წლის იმავე მაჩვენებელთან შედარებით, IPTV-ის აბონენტების რაოდენობა 13%-ით, საცალო შემოსავლების წლიური ოდენობა კი 29%-ით გაიზარდა.



**IPTV-ის აბონენტების რაოდენობა (ათასი)**



**IPTV-ის საცალო შემოსავლები (მლნ ლარი)**

**IPTV მომსახურებას, 2019 წლის ბოლო კვარტალში, ძირითადად ორი ოპერატორი - "მაგთიკომი" (59%) და "სილქნეტი" (36%) აწვდიდა.**

## IPTV-ის აბონენტების გადანაწილება






2019 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებით, 2018 წლის იმავე მაჩვენებელთან შედარებით, თანამგზავრული[45] ტექნოლოგიების ტრანზიტის აბონენტების რაოდენობა 26%-ით, რადიოსიხშირულის[46] კი 21 %-ით შემცირდა, ხოლო კოაქსიალური[47] ტექნოლოგიის ტრანზიტის აბონენტების რაოდენობა 6%-ით გაიზარდა.



**თანამგზავრული, რადიოსიხშირული და კოაქსიალური აბონენტების რაოდენობა (ათასი)**

თანამგზავრული, რადიოსიხშირული და კოაქსიალური ტექნოლოგიების ტრანზიტის წლიური საცალო შემოსავლები შემცირდა: თანამგზავრული - 12%-ით, რადიოსიხშირული - 29%-ით, კოაქსიალური - 31%-ით.



**თანამგზავრული, რადიოსიხშირული და კოაქსიალური ტრანზიტული მომსახურების საცალო შემოსავლები (მლნ ლარი)**

[45] თანამგზავრული მაუწყებლობა - ტელემაუწყებლობა თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების გამოყენებით
[46] რადიოსიხშირული მაუწყებლობა - მაუწყებლობის ტრანზიტის ერთ-ერთი ტიპი, რომლის დროსაც მაუწყებლობა ეთერში ხორციელდება რადიო ტალღების მეშვეობით
[47] კოაქსიალური მაუწყებლობა - მაუწყებლობის ტრანზიტის ერთ-ერთი ტიპი, რომლის დროსაც სამაუწყებლო სიგნალი გადაიცემა კოაქსიალური სადენის საშუალებით

# მულტიპლექს მომსახურება

2019 წლის დეკემბერში, საქართველოში სულ 22 მულტიპლექსის ოპერატორი საქმიანობდა, თუმცა მულტიპლექსის მომსახურებით კომერციული შემოსავალი 2019 წლის განმავლობაში მხოლოდ 10-მა ოპერატორმა მიიღო, დანარჩენი ოპერატორები საკუთარ არხებს/არხს ავრცელებდნენ და, შესაბამისად, მულტიპლექსით კომერციულ მომსახურებას არ ეწეოდნენ.
მულტიპლექსით მომსახურებიდან ოპერატორებმა შემოსავლის სახით წლის განმავლობაში 5.8 მლნ ლარი მიიღეს, რომლის ძირითადი ნაწილი „სტერეო+“-მა და „საქართველოს ტელერადიოცენტრმა“ დააგენერირა.

## მულტიპლექსების მიერ დაგენერირებული შემოსავლის განაწილება




# ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციები

2019 წელს ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის[48] ოდენობა 249,5 მლნ ლარს შეადგენს, რაც 4%-ით ნაკლებია 2018 წლის იგივე მაჩვენებელზე.




ბოლო სამი წლის განმავლობაში, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მზარდია მაუწყებლობის ტრანზიტულ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის წილი მის მთლიან ოდენობაში.

### ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება ქსელის ტიპების მიხედვით




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| მობილური საკომუნიკაციო ქსელი | 59% | 49% | 35% | 34% |
| ფიქსირებული სადენიანი მომსახურების ქსელი | 30% | 40% | 45% | 43% |
| ფიქსირებული უსადენო მომსახურების ქსელი | 4% | 2% | 1% | 0.4% |
| მაუწყებლობის ტრანზიტული მომსახურება | 7% | 9% | 19% | 22% |

[48] მოიცავს მობილური და ფიქსირებული (სადენიანი და უსადენო) მომსახურების ქსელსა და მაუწყებლობის ტრანზიტულ მომსახურებაში განხორციელებული ინვესტიციების ოდენობას
[49] კაპიტალური ინვესტიციები მოიცავს იმ კომპანიების მონაცემებს, რომელთა წლიურმა შემოსავალმა მილიონ ლარზე მეტი და ჯამში 2019 წლის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს მთლიანი შემოსავლის 91% შეადგინა

ელექტრონულ კომუნიკაციებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციების მიხედვით, პირველ სამეულს „მაგთიკომი“, „სილქნეტი“ და „ვიონი საქართველო“ წარმოადგენენ. მათ მიერ განხორციელებული ინვესტიცია მთლიანი ოდენობის 95%-ს შეადგენს.




2019 წელს მობილურ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის ყველაზე დიდი წილი „სილქნეტზე“ მოდის, ხოლო ფიქსირებულ მომსახურებაში (ფიქსირებული ფართოზოლოვანი, ფიქსირებული სატელეფონო, მაუწყებლობის ტრანზიტული მომსახურება) ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზე „მაგთიკომია“.




ფიქსირებულ მომსახურებაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის გადანაწილება კომპანიების მიხედვით




თანხობრივად მობილურ და ფიქსირებულ მომსახურებებში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციები კომპანიების მიხედვით ასეთია:







2019 წლის მონაცემებით, კაპიტალური ინვესტიციის უდიდესი ნაწილი ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე და აპარატურაზე მოდის.






# მაუწყებლობის დარგის განვითარების ტენდენციები

ტელემაუწყებლობის განსახორციელებლად დღეს საქართველოში არსებული მედია პოლიტიკა მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია. 2012 წელს კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს 10 დღეში აქვს შესაძლებლობა ყოველგვარი ბარიერების გარეშე დაიწყოს მაუწყებლობა. მაუწყებლობის დასაწყებად არსებული პროცედურები მინიმუმამდეა დაყვანილი და ლიცენზიის აღების ნაცვლად, მხოლოდ მარტივი ავტორიზაციის პროცესია საჭირო. ავტორიზაციის პროცედურა თითქმის იგივეა, რაც ვებ-გვერდზე რეგისტრაცია (მაგ.: მეილისა და პაროლის შეყვანა და რეგისტრაცია).

პროცედურების გამარტივებამ და ლიბერალურმა პოლიტიკამ მაუწყებლების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაზარდა და დღეს მედია უფრო მრავალფეროვანია. შეგახსენებთ, რომ 2012 წლამდე ტელემაუწყებლობის დასაწყებად ლიცენზიის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო და ქვეყანაში, საზოგადოებრივი მაუწყებლის ჩათვლით, სულ 4 ეროვნული მაუწყებელი არსებობდა.



2019 წლის ბოლო მონაცემებით, ქვეყანაში

**20 ეროვნული ღია საეთერო სატელევიზიო მაუწყებელი იყო**

მათ შორისაა საზოგადოებრივი მაუწყებელი და აჭარის ტელევიზია.

2019 წელს საქართველოში სულ

**100 არხი მაუწყებლობდა,**

მაშინ როცა 2012 წლამდე, რეგიონალური და საკაბელო მაუწყებლების ჩათვლით, სულ 54 ტელევიზია იყო.

2019 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემების შესაბამისად, საქართველოში სულ

**89 სატელევიზიო და 55 რადიო მაუწყებელი იყო.**

2019 წელს მაუწყებლობის დარგში 110 მოქმედი[50] პირი დაფიქსირდა. მაუწყებლობიდან 10 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი მხოლოდ 3-მა პირმა მიიღო (B კატეგორიის[51] კომპანიები) და მათ მიერ მიღებული ჯამური შემოსავალი მთელი შემოსავლის 63% იყო, ხოლო იმ პირების ჯამურმა შემოსავალმა, ვინც 2019 წელს 100,000 ლარზე ნაკლები მიიღო (E კატეგორიის 69 პირი) მთელი შემოსავლების 2%-ს შეადგენდა.

**მოქმედ მაუწყებელთა განაწილება შემოსავლის მიხედვით**




მიღებული ჯამური შემოსავალი მთელი შემოსავლის 63% იყო, ხოლო იმ პირების ჯამურმა შემოსავალმა, ვინც 2019 წელს 100,000 ლარზე ნაკლები მიიღო (E კატეგორიის 69 პირი) მთელი შემოსავლების 2%-ს შეადგენდა.

2019 წელს მაუწყებლობიდან მიღებულმა ჯამურმა შემოსავალმა 104,8 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2018 წელს 95,1 მლნ ლარს წარმოადგენდა.

მიღებული შემოსავლიდან 95,5 მლნ ლარი სატელევიზიო მაუწყებლებზე, ხოლოდ 9,3 მლნ ლარი რადიოზე მოდის.

## მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავალი (მლნ ლარი)



| | |
|---|---|
| 2013 | 43.6 |
| 2014 | 94.6 |
| 2015 | 86.1 |
| 2016 | 98.8 |
| 2017 | 100.4 |
| 2018 | 85.5 |
| 2019 | 95.5 |



| | |
|---|---|
| 2013 | 5.1 |
| 2014 | 9.7 |
| 2015 | 13.2 |
| 2016 | 12.1 |
| 2017 | 10.6 |
| 2018 | 9.6 |
| 2019 | 9.3 |

[50] მოქმედად განვიხილავთ პირს, რომელსაც წლის განმავლობაში მაუწყებლობიდან რაიმე სახის შემოსავალი ჰქონდა
[51] განვიხილავთ შემდეგ კატეგორიებს:

| კატეგორია | წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი |
|---|---|
| A | 100 მლნ ლარზე მეტი ან ტოლი |
| B | 10 მლნ ლარიდან 100 მლნ ლარამდე |
| C | 1 მლნ ლარიდან 10 მლნ ლარამდე |
| D | 100,000 ლარიდან 1 მლნ ლარამდე |
| E | 100,000 ლარზე ნაკლები |

## მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავალი (მლნ ლარი)




| | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სარეკლამო შემოსავლები | 43.7 | 93.3 | 82.5 | 98.1 | 84.6 | 84.3 | 76.7 |
| სხვა | 5.0 | 11.0 | 16.9 | 13.3 | 26.4 | 10.8 | 28.2 |

2019 წელს მაუწყებლობიდან მიღებულმა ჯამურმა სარეკლამო შემოსავალმა 76,7 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც სატელევიზიო მაუწყებლების ჯამური სარეკლამო შემოსავალი 68,0 მლნ ლარი იყო.

## სარეკლამო შემოსავლები






სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლები მზარდი დინამიკით ხასიათდებოდა 2019 წლის პირველ ნახევარში. კერძოდ, ტელემაუწყებლების სარეკლამო შემოსავლები I და II კვარტალში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 7-8% იზრდებოდა. სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლების კლება 2019 წლის III კვარტალში დაიწყო. სარეკლამო შემოსავლების კლება სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“- ის მაუწყებლობის სამი თვით შეჩერებამ გამოიწვია. შეგახსენებთ, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადაწყვეტილება, ტელეკომპანიის ქიბარ ხალვაშისა და კომპანია “პანორამასთვის” მიკუთვნების შესახებ, ძალაში დატოვა. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ჟურნალისტების ნაწილმა დატოვა და არხზე კრიზისული ვითარება შეიქმნა, რის გამოც, „რუსთავი 2“-მა მაუწყებლობა სამი თვით შეწყვიტა.

გამომდინარე იქედან, რომ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2” ტელეკომპანია „იმედთან“ ერთად, სარეკლამო შემოსავლების 80%-ს ფლობდა, ბაზრის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მოთამაშის მაუწყებლობის სამი თვით გაჩერებამ, სარეკლამო ბაზარზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია.





კერძოდ, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მაუწყებლობის სამი თვით შეჩერებამ რეკლამის დამკვეთი კომპანიების დღის წესრიგი და ქცევა შეცვალა. გამომდინარე იქიდან, რომ „რუსთავი 2“ ტელეკომპანია „იმედთან“ ერთად ბაზარზე არა მხოლოდ ბაზრის 80% იკავებდა, არამედ ის სატელევიზიო რეიტინგებშიც წამყვან პოზიციაზე იყო, რეკლამის დამკვეთმა მსხვილმა კომპანიებმა წლის ბოლომდე არხზე დაგეგმილი სარეკლამო ბიუჯეტის ხარჯვა შეაჩერეს. სატელევიზიო რეიტინგებიდან გამომდინარე, რეკლამის დამკვეთებმა სარეკლამო ბიუჯეტი სხვა არხებში  არ გადაანაწილეს. სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ მოახდინა გავლენა 2019 წლის სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლებზე.

შესაბამისად, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს 2019 წლის III კვარტალში სარეკლამო შემოსავლების 37%-იანი კლება ჰქონდა, IV კვარტალში კი - 59%.  2019 წელს სატელევიზიო სარეკლამო შემოსავალმა 7,7 მლნ ლარით ნაკლები, ხოლო „რუსთავი 2“-ის სარეკლამო შემოსავალმა - 8,2 მლნ ლარით ნაკლები შეადგინა. შესაბამისად, 2019 წელს სარეკლამო სამაუწყებლო შემოსავლების კლება მთლიანად „რუსთავი 2“-ზე მოდის, მეტიც, რომ არა „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები, სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლები 2019 წელს ზრდის ტენდენციას შეინარჩუნებდა.

## სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლები კვარტლების მიხედვით (მლნ ლარი)



აღსანიშნავია, რომ სატელევიზიო მაუწყებლების მიერ მიღებული ჯამური[52] შემოსავლის ძირითად წყაროს - მთლიანი შემოსავლის 63.4%-ს - რეკლამა და სპონსორობა შეადგენდა.

### სატელევიზიო მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლის განაწილება სახეობების მიხედვით




სატელევიზიო მაუწყებლების მიერ მიღებული ჯამური სარეკლამო შემოსავლის ძირითად წყაროს რეკლამა, პროდუქტის განთავსება და სპონსორობა შეადგენდა.

### სატელევიზიო მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლების გადანაწილება კატეგორიების მიხედვით (მლნ ლარი)






[52] იგულისხმება ყველა სახის შემოსავლები სახელმწიფო დაფინანსების გარდა

სატელევიზიო მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლების ოდენობის მიხედვით, 2019 წელს ყველაზე დიდი წილი „ტელეიმედს“ ეკავა - 28%, მას მოსდევდა „რუსთავი 2“ - 24%, „ფორმულა“ - 17%, საზოგადოებრივი მაუწყებელი - 7%, „ტელეკომპანია პირველი“ - 4%, „სილქნეტი“ და „მთავარი არხი“ - 3-3%. სხვა მაუწყებლების შემოსავლების ჯამურმა წილმა 13% შეადგინა.

### სატელევიზიო მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლის განაწილება კომპანიების მიხედვით




სატელევიზიო სარეკლამო[53] შემოსავლების ოდენობის მიხედვით, 2019 წელს ყველაზე დიდი წილი „ტელეიმედს“ ეკავა - 39%. მას მოსდევდა „რუსთავი 2“ – 32%, „ტელეკომპანია პირველი“ - 6%, „სილქნეტი“ -4% და „მთავარი არხი“ - 4%, სხვა მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების ჯამურმა წილმა 15% შეადგინა.

### სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლების განაწილება კომპანიების მიხედვით




[53] რეკლამა: კომერციული რეკლამა, სპონსორობა, პროდუქტის განთავსება, ტელეშოპინგი, განცხადებები

## პირდაპირ რეჟიმში და გადახვევით რეჟიმში ყურებადობის ქცევა

2019 წელს, ერთი ადამიანი საშუალოდ დღის განმავლობაში ტელევიზორს დაახლოებით 387 წუთის განმავლობაში უყურებდა. აღსაღნიშნია ის ფაქტი, რომ წლიდან წლამდე იზრდება გადახვევის ფუნქციის გამოყენებით ყურებადობა.

### საშუალოდ 1 ადამიანის მიერ დღის განმავლობაში სატელევიზიო ყურებადობა (წუთი)



**პირდაპირი რეჟიმი**

| 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|
| 381 | 381 | 387 |

**გადახვევის ფუნქციის გამოყენებით**

| 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|
| 16 | 24 | 25 |



ტელევიზორთან გატარებული 387 წუთიდან პირდაპირ რეჟიმში ყურებით, ერთი ადამიანი საშუალოდ დღეში 44 წუთს ტელესერიალებს უთმობს. აღნიშნლული დრო, 2017 წელთან შედარებით, 3 წუთით ნაკლებია.

2019 წელს, 2017 წელთან შედარებით, რაოდენობრიბად ყველაზე მეტად საინფორმაციო გადაცემებისა და თოქ-შოუების ყურებადობა 6-6 წუთით გაიზარდა.



### ერთი ადამიანის მიერ, საშუალოდ ერთ დღეში გადაცემების ჟანრების ყურებადობა პირდაპირ ეთერში (წუთი)




გადახვევის ფუნქციის გამოყენებით, საშუალოდ ერთი ადამიანი ყველაზე ხშირად სატელევიზიო სერიალის ჟანრს ახვევს, რომელიც 2017 წელთან შედარებით 3, ხოლო 2018 წელთან შედარებით, 2 წუთით არის გაზრდილი.

### ერთი ადამიანის მიერ, საშუალოდ ერთ დღეში გადაცემების ყურებადობა გადახვევით რეჟიმში (წუთი)




### რადიო რეკლამის შემოსავლები (მლნ ლარი)




**გაზრდილია რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლები. 2019 წელს რადიო მაუწყებლების მიერ დაგენერირებული სარეკლამო შემოსავალი 8,8 მლნ ლარს შეადგენდა, რომელიც 2018 წელს - 8,6 მლნ ლარი იყო.**

რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების ძირითად წილს - 99%-ს რეკლამა და სპონსორობა წარმოადგენა, ძალიან მცირე წილი კი, პროდუქტის განთავსებასა და განცხადებებს მოიცავდა.

### რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლის განაწილება სახეობების მიხედვით




რადიო მაუწყებლობიდან მიღებული სარეკლამო შემოსავლების ოდენობის მიხედვით, 2019 წელს ყველაზე დიდი წილი 56% „რადიო ჰოლდინგ ფორტუნას" ეკავა, შემდეგ „რადიო იმედს" - 11%, „ჯეო მედიას" და „ქართულ რადიოს" - 5-5%. სხვა რადიო მაუწყებლების სარეკლამო შემოსავლების ჯამურმა წილმა 23% შეადგინა.

### რადიო მაუწყებლობიდან მიღებული სარეკლამო შემოსავლების განაწილება კომპანიების მიხედვით




## მაუწყებლობაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციები

2019 წელს მაუწყებლობაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციების[54] ოდენობამ 19,5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2018 წლის იმავე მაჩვენებელს 16%-ით აღემატება.

### მაუწყებლობაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციები (მლნ ლარი)




### მაუწყებლობაში განხორციელებული კაპიტალური ინვესტიცია მომსახურების სახეების მიხედვით




| | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| მაუწყებლობის კონტენტი (ლიცენზიის საფასურის ჩათვლით) | 15.8 | 13.3 | 14.6 | 10.8 |
| აპარატურა | 10.0 | 1.0 | 1.6 | 7.0 |
| პროგრამული უზრუნველყოფა | 0.4 | 0.4 | 0.2 | 1.2 |
| სხვა | 13.1 | 1.2 | 0.4 | 0.4 |

[54] კაპიტალური ინვესტიციები მოიცავს იმ კომპანიების მონაცემებს, რომელთა წლიურმა შემოსავალმა ჯამში 2019 წლის მთლიანი შემოსავლის 80%-ზე მეტი შეადგინა. არ შედის „საზოგადოებრივი მაუწყებლის" მონაცემები

## სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანები

2019 წელს მაუწყებლების მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების[55] სახით გადახდილმა თანხამ 19,418,812 ლარი შეადგინა, ხოლო „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებული ან/და ლიცენზიის მფლობელი პირების მიერ შეტანილმა თანხამ - 314,673,139 ლარი.
რაც შეეხება ლიცენზირებიდან მიღებულ შემოსავალს, სულ 2019 წელს კომუნიკაციების სფეროდან სახელმწიფო ბიუჯეტში 15,435,627 ლარი შევიდა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის ჯარიმის სახით[56] ბიუჯეტში 82,780 ლარი ჩაირიცხა. სულ 2019 წელს კომუნიკაციების დარგიდან სახელმწიფო ბიუჯეტში 349,610,358 ლარი შევიდა.

[55] საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დღგ, აქციზი, იმპორტის გადასახადი, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი (სასოფლო-არასასოფლო)
[56] ადმინისტრაციული ჯარიმები იხ. დანართი 8



## წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი



კომუნიკაციების კომისია „წინა საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის“ შესახებ დადგენილების თანახმად, ახორციელებს წინასაარჩევნო მედია მონიტორინგს და შედეგებს საჯაროდ აქვეყნებს.
2019 წელს საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მედია მონიტორინგს, კომისია 24 საათიან რეჟიმში, 31 მარტიდან 9 ივნისის ჩათვლით, არჩევნების მეორე ტურის გათვალისწინებით, ახორციელებდა. მონიტორინგს, 20-ზე მეტი ტელეარხი, მათ შორის, ყველა საერთო მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებელი და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია დაექვემდებარა.
მედია მონიტორინგის პროცესში, კომისიის დაკვირვების საგანს წინა საარჩევნო რეკლამა, წინა საარჩევნო დებატები, ახალი ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები, ასევე, წინა საარჩევნო აგიტაცია და საზოგადოებრივი აზრის კვლევები/გამოკითხვები წარმოადგენდა.

მონიტორინგის პროცესში, დეტალური ანალიზი განხორციელდა სამაუწყებლო კომპანიებში წინა საარჩევნო ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის სამართლიან და გამჭვირვალე განაწილებაზე. საანგარიშო პერიოდში, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების, ასევე, წინა საარჩევნო დებატების მონიტორინგის პროცესში, ყურადღება გამახვილებული იყო სამაუწყებლო კომპანიების მხრიდან, კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილ დროსა და მათი წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებაზე.



დაკვირების საგანი იყო ასევე, მაუწყებლის მხრიდან, იმ პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება, რომლებიც არ წარმოადგენდნენ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს, მაგრამ მონაწილეობდნენ არჩევნებში.
მონიტორიგნის შედეგებში მოცემული იყო ინფორმაცია ახალი ამბების პროგრამებში საარჩევნო სუბიექტებისთვის პირდაპირ და ირიბად დათმობილი დროის შესახებ. პირდაპირ დათმობილი დროის ფარგლებში, ანალიზდება შემთხვევები, როდესაც საარჩევნო სუბიექტი, ან კანდიდატი უშუალოდ საუბრობს, ან მონაწილეობს გადაცემაში. ირიბად დათმობილი დროის ფარგლებში კი, გაანალიზებულია მაუწყებლის მიერ საარჩევნო სუბიექტზე, ან კანდიდატზე და მათ მხარდამჭერებზე საუბრისთვის დახარჯული დრო.
მონიტორიგნის შედეგებში ინფორმაცია ჩაშლილი იყო გენდერულ ჭრილშიც. კერძოდ, ცალკეულ მაუწყებლებზე საინფორმაციო გამოშვებების ფარგლებში, ქალი და კაცი პოლიტიკოსებისთვის დათმობილი ჯამური დრო.

2019 წლის საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში, კომისიამ მედია მონიტორინგის ორი ანგარიში[57] გამოაქვეყნა.



**საანგარიშო პერიოდში, კომისიის ყურადღება რამდენიმე ძირითად საკითხზე გამახვილდა**

- კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მიერ ე.წ. ტექნიკური კანდიდატების რეგისტრაცია;
- მაუწყებლების მიერ უფასო პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის ლიმიტის გაზრდა;
- საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების წესის დარღვევით გამოქვეყნება;
- სამაუწყებლო ბადეში განთავსებულ პროგრამებში პოლიტიკური გაერთიანების წევრების მონაწილეობა;
- საარჩევნო კანდიდატები არაპოლიტიკურ გადაცემებში;
- მაუწყებლების მიერ წინასაარჩევნო დებატების უზრუნველყოფა.

მაუწყებლების მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ობიექტური გარემოებების არარსებობისას, კომუნიკაციების კომისია სწავლობდა ყოველ კონკრეტულ საკითხს და კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს ატარებდა.

2019 წლის საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში, კომისიამ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნების წესის დარღვევის გამო, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ხუთი ოქმი შეადგინა.

[57] http://gncc.ge/ge/regulation/broadcasting/elections/shualeduri-archevnebi-2019



# ლეგალური კონტენტი

ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებების დაცვის მიმართულებით, კომუნიკაციების კომისია კომპეტენციის ფარგლებში, წლებია დაინტერესებულ პირებთან და ორგანიზაციებთან აქტიურად მუშაობს.

არალეგალური და პირატული კონტენტისგან (ინტელექტუალური საკუთრების) მაუწყებლებისა და საკაბელო კომპანიების გასუფთავება, კომისიამ ფაქტობრივად სრულად მოახერხა. არალეგალური კონტენტის გავრცელების აღმოფხვრის მიზნით, კომისიის უმნიშვნელოვანესი როლის შესახებ ამერიკული კინოსტუდიებისგან მიღებულ მადლობის წერილში წერია. ამავე წერილში, ამერიკული კინოსტუდიები კომისიას მაუწყებლების შემდეგ, უკვე ინტერნეტ სივრცის არალეგალური კონტენტისგან გასუფთავების პროცესში სთხოვდნენ დახმარებას. კომისიას ინტერნეტ სივრცის პირატული კონტენტისგან გასუფთავების პროცესი, დაახლოებით წელიწადზე მეტია, დაწყებული აქვს.

ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, კომუნიკაციების კომისია ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებს, პერიოდულად აწვდის იმ ვებ-გვერდების ჩამონათვალს, სადაც არალეგალური კონტენტია (ფილმები და სერიალები) განთავსებული და ინტერნეტ პროვაიდერებს „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურეობის მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტის“ საფუძველზე, შესაბამისი ზომების მიღებას სთხოვს.

მნიშვნელოვანია, ზომები დროულად იყოს მიღებული, რადგანაც საავტორო უფლებების დარღვევით, ინტერნეტ სივრცეში აუდიო-ვიზუალური კონტენტის განთავსება, სერიოზულ ფინანსურ ზიანს აყენებს კომპანიებს, რომლებსაც სწორედ ის კონტენტი აქვთ ნაყიდი და მომხმარებელს ლეგალურად სთავაზობენ, რომელსაც სხვადასხვა ვებ-გვერდი არალეგალურად  ავრცელებს. აღნიშნული პრობლემის მოგვარებისა და ინტერნეტ სივრცის არალეგალური კონტენტისგან გასუფთავების მიზნით, კომუნიკაციების კომისია ყველა დაინტერესებულ მხარესთან აქტიურად თანამშრომლობს, იმისთვის, რომ ვებ-გვერდებზე განთავსებული კონტენტი ეტაპობრივად სრულად ლეგალური გახდეს.

## „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებების პაკეტი

მედია მომსახურებების შესახებ 2010/13/EU ევროდირექტივასთან[58] შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით აქვს ნაკისრი. აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტზე კომუნიკაციების კომისია ევროკომისიისა და EBRD-ის დაფინანსებით მოწვეულ ექსპერტებთან ერთად მუშაობდა. კომისიამ ცვლილებების პაკეტი საქართველოს პარლამენტს 2018 წლის 30 დეკემბერს წარუდგინა, თუმცა ის საკანონმდებლო ინიციატივად არ ქცეულა. პაკეტის მომზადების სამუშაო პროცესში ჩართული იყო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ისეთ საერთაშორისო კომპანიებთან ერთად, როგორიცაა Grant Thornton, Analysys Mason და Pierstone. ცვლილებების პაკეტზე კომისიასთან ერთად, ასევე ევროკომისიის დაფინანსებით, მუშაობდა ბელგიელი მედია ექსპერტი ჟან ფრანსუა ფურნემონი, რომელიც წლების განმავლობაში, იკავებდა ბელგიის მედია მარეგულირებელი ორგანოს თავმჯდომარის და მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმის (EPRA) თავმჯდომარის თანამდებობებს.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, სიძულვილის ენა განიხილება მხოლოდ თვითრეგულირების ორგანოებში და მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ევროპელი ექსერტების მიერ დადებული დასკვნის მიხედვით, ქართული კანონმდებლობა შეუსაბამობაშია ევროდირექტივასთან, ვინაიდან ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც სიძლვილის ენაა, აუცილებლად უნდა რეგულირდებოდეს სახელმწიფო უწყების, კერძოდ, კომუნიკაციების კომისიის მიერ.

ევროპელი ექსპერტების რეკომენდაციები გადაგზავნილ იქნა, როგორც მაუწყებლებში, ისე მედიის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებში. მაუწყებლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით, ასევე თავად თვითრეგულირების მექანიზმის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, კომისიამ შეთავაზებულ პაკეტში სიძულვილის ენასთან დაკაშვირებული საკითხების განხილვა თვითრეგულირების ორგანოში დატოვა, რაც ევროდირექტივას ეწინააღმდეგება.

შესაბამისად, დღეს პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის მიხედვით, სიძულვილის ენა კვლავ თვითრეგულირების ორგანოში რჩება. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სიძულვილის ენასთან დაკავშირებული საკითხები კვლავ თვითრეგულირების ფარგლებში დაეტოვებინა, წარმოადგენს საქართველოში თვითრეგულირების მექანიზმის ეფექტიანობის გაზრდის მნიშვნელოვან წინაპირობას. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომისიის ეს გადაწყვეტილება, წინააღმდეგობაში მოდის ევროდირექტივასთან, რომელიც პირდაპირ მოუწოდებს სახელმწიფოებს სიძულვილის ენის რეგულირებას.

აღსანიშნავია, რომ კომისიაში დაცული ინფორმაციის შესაბამისად, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმებში სიძულვილის ენასთან დაკავშირებული მხოლოდ 10-მდე საჩივარი იქნა შეტანილი, რაც ასევე მეტყველებს მექანიზმის არაეფექტიანობაზე.

[58] 2010 წლის 10 მარტის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2010/13/EU დირექტივა აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების კანონებით, რეგულაციებით, ან ადმინისტრაციული აქტებით გათვალისწინებული გარკვეული დებულებების კოორდინაციის შესახებ



## ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებები

წარმატებით დასრულდა 19 თვიანი დაძმობილების პროექტი - „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (GNCC) მხარდაჭერა ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის დახვეწასა და ინსტიტუციონალურ გაძლიერებაში“. პროექტის ფარგლებში, 35 დოკუმენტი მომზადდა, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან და რეგულაციებთან ეტაპობრივ დაახლოებას ითვალისწინებს. დაძმობილების პროექტმა ხელი შეუწყო საქართველოს მიერ სატელეკომუნიკაციო საკანონმდებლო ჩარჩოს ევროკავშირის მარეგულირებელ ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესს, რომელიც საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში, ბაზრის ყველა მოთამაშისთვის კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას უზრუნველყოფს.
პროექტის ფარგლებში, შემუშავდა სახელმძღვანელო რეკომენდაციები, რომლებიც პრაქტიკულ საკანონმდებლო რჩევებს შეიცავს და ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის განხორციელებას უზრუნველყოფს. შემუშავდა საჯარო კონსულტაციების წესების დამტკიცების და ზოგადი ნებართვის დამტკიცების თაობაზე დადგენილების პროექტები, ასევე, მომსახურებების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელ წესებში ცვლილებების პროექტი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარედგინა, საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი რადიო აპარატურის ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებით.

**„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებებიდან გამომდინარე, „დაძმობილების“ პროექტის ფარგლებში, შემუშავდა:**

- საჯარო კონსულტაციების გამართვის პროცედურებისა და წესების დამტკიცების თაობაზე დადგენილების პროექტი;
- ზოგადი ნებართვის დამტკიცების თაობაზე დადგენილების პროექტი;
- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში, მომსახურებების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელი წესების დამტკიცების შესახებ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებაში შესატანი ცვლილებების პროექტი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი - „ტექნიკური რეგლამენტი რადიო აპარატურის შესახებ“;
- „ტექნიკური რეგლამენტი რადიო აპარატურის შესახებ“ - რადიო აპარატურის ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებული წევრი ქვეყნების კანონების ჰარმონიზაციისა და 1999/5/EC დირექტივის გაუქმების შესახებ ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2014 წლის 16 აპრილის 53/EU დირექტივის შესაბამისად.
- ინტერნეტ-მმართველობისა და ქსელის უსაფრთხოების სამწლიანი სამოქმედო გეგმა.

ასევე, მომზადდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტში ცვლილებების პროექტი, რომელიც შეეხო საერთაშორისო როუმინგული მომსახურების ძირითად პირობებს, მომხმარებელთა ინფორმირებულობას, ქსელის მართვას, ალტერნატიულ შეთავაზებებს, „bill shock“-ის თავიდან არიდებასა და საფასურს.

**დაძმობილების პროექტი, ექვსი კომპონენტისგან შედგებოდა, მათ შორის:**

- კომისიის მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესება;
- ფიქსირებული და უსადენო ფართოზოლოვანი მომსახურების განვითარების ხელშეწყობა;
- შესაბამისი ბაზრებისა და მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ოპერატორის განსაზღვრა;
- სიხშირული სპექტრის მინიჭების მექანიზმის გაუმჯობესება;
- ინტერნეტ-მმართველობა და ქსელის უსაფრთხოება;
- ეროვნული/საერთაშორისო როუმინგის რეგულაციები.

პროექტი ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელდა. ევროკავშირის მხრიდან ძირითადი პარტნიორი ლიეტუვის რესპუბლიკის კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანო, ხოლო თანაპარტნიორები – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტრო და პოლონეთის რესპუბლიკის ელექტრონული კომუნიკაციების ოფისი იყვნენ.

## სატელეკომუნიკაციო და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ინფრასტრუქტურის გაზიარების კანონპროექტი

ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, კომუნიკაციების კომისიამ საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, სატელეკომუნიკაციო და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ინფრასტრუქტურის გაზიარების კანონპროექტი შეიმუშავა. პროექტი მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და ევროკავშირის ხელშეწყობით განახორციელა.

სატელეკომუნიკაციო და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ინფრასტრუქტურის გაზიარება, ხელს უწყობს სხვადასხვა სექტორს, მათ შორის ენერგეტიკის, წყალმომარაგებისა, თუ სატრანსპორტო სფეროებს შორის თანამშრომლობას. აღნიშნული თანამშრომლობიდან მიღებული სინერგიული ეფექტი, კი საბოლოოდ, მომხარებლებისთვის მაღალი ხარისხის მომსახურეობის ხელმისაწვდომ ფასად მიწოდებას უზრუნველყოფს.
სწორედ აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, კომუნიკაციების კომისიამ მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, პორტუგალიის, პოლონეთისა და ლიეტუვას გამოცდილების გაზიარებით, 2019 წელს კანონპროექტი შეიმუშავა. აღსანიშნავია, რომ სწორედ პორტუგალიის მარეგულირებელი კომისიის მიერ დანერგილი გამოცდილება დაედო საფუძვლად ევროდირექტივას.

კანონპროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს მაღალსიჩქარიანი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების განვითარებას და მშენებლობას, რაც შესაძლებელია, როგორც არსებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის ერთობლივი გამოყენებით, ასევე, ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობის ხარჯების შემცირებით. აღსანიშნავია, რომ ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარება პოტენციურად იწვევს საერთო ხარჯების 15%-დან 30%-მდე კლებას, რაც ძირითადად შესაძლებელია ინფრასტრუქტურის დუბლირებაში ინვესტირების თავიდან აცილების ხარჯზე, კაპიტალური დანახარჯების დაახლოებით 60%-იანი შემცირებით.

კანონპროექტის შემუშავების სამუშაო პროცესში, როგორც სატელეკომუნიკაციო ოპერატორები, ისე დაინტერესებული პირები აქტიურად იყვნენ ჩართული. კომუნიკაციების კომისიამ დოკუმენტი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს უკვე წარუდგინა.

## კომუნიკაციების კომისია - EaPeReg-ის თავმჯდომარე

2015 წლის შემდეგ, 2019 წლის განმავლობაში, კომისია მეორედ იყო EaPeReg-ის (აღმოსავლეთ პარტნიორობის ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებელი პლატფორმა) თავმჯდომარე. კომუნიკაციების კომისია ქსელის მუშაობას ლატვიის მარეგულირებელ ორგანოსთან ერთად ხელმძღვანელობდა.
2019 წლის განმავლობაში, კომისიის თავმჯდომარეობით, წარმატებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრები თემებზე:  5G ეკოსისტემა - სტანდარტები, მიმართულებები, აუქციონები და გამოწვევები, ასევე, RLAH[59] დანერგვასთან და ეროვნულ როუმინგთან დაკავშირებული საკითხები. კომუნიკაციების  კომისიამ აღმოსავლეთ პარტნიორობისა (EaPeReg) და ევროკავშირის ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების (BEREC) მონაწილეობით, თბილისში ორდღიანი კონფერენცია გამართა. ორგანიზაციის არსებობის ისტორიაში, 19 ქვეყნის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეების შეკრება პირველად საქართველოში მოხდა. ორდღიან შეხვედრაზე ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში არსებული გამოწვევები და სამომავლო გეგმები განიხილეს. კონფერენციას ევროკავშირის წევრი ქვეყნების მარეგულირებელი ორგანოების გაერთიანების თავმჯდომარე ჯერემი გოდფრი ესწრებოდა.
წამყვანი ევროპული ქვეყნების წარმომადგენლებმა მე-5 თაობის (5G) მობილური ინტერნეტის ტექნოლოგიის დანერგვის სტრატეგია, ლიცენზიის გაცემისა და აუქციონის გამოცხადების წესები განიხილეს და სამომავლო გეგმები დასახეს. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან 5G სრულიად ახალი ტექნოლოგიაა, რომლის დანერგვასაც საქართველო წამყვან ევროპულ ქვეყნებთან ერთად გეგმავს და ამ მიმართულებით, მოწინავე პოზიციები უკავია.

[59] RLAH - Roam Like At Home



თავის მხრივ კომუნიკაციების კომისიამ აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნის მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენლებს, ინტერნეტის ხარისხის კონტროლის დანერგვისა და იმპლემენტაციის შესახებ გამოცდილება გაუზიარა.
გარდა ამისა, 2019 წელს, კომისიის მონაწილეობით, ჩატარდა ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულიებელი ორგანოების 4 დამოუკიდებელი პლატფორმის (BEREC, EMERG, EaPeReg, REGULATEL[60] ) გაერთიანებული სამიტი, სადაც კომისიის მხრიდან საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების ინტერნეტიზაციისა და აღნიშნულ პროექტში კომისიის როლის შესახებ პრეზენტაცია გაკეთდა.
სამიტზე, BEREC-ისა და EaPeReg-ის 2019 წლის თავმჯდომარეების[61] მიერ ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის ფარგლებშიც, თანამშრომლობა BEREC-ისა და EaPeReg-ის ყოველწლიურ შეხვედრებში მონაწილეობას, სტრატეგიულ დებატებს საერთო საკითხებზე და შეთანხმებას შემდგომ თანამშრომლობაზე, ასევე, გაერთიანებულ მუშა ჯგუფებს და ინფორმაციის ურთიერთგაზიარებას მოიცავს.
კომუნიკაციების კომისიის უშუალო მონაწილეობით, ITU-სა და EaPeReg-ს შორის შემუშავდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მთავარ მიზანსაც, ერთობლივი ღონისძიებების გამართვა წარმოადგენს.
2019 წლის განმავლობაში, კომისიის თავმჯდომარეობა, ევროკომისიისა და EaPeReg-ის მიერ, უმაღლესი ქულით შეფასდა.

## საერთაშორისო აქტივობები

- EaPeReg ქსელის „სპექტრის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის (SEWG)" ფარგლებში, ქ. მინსკში და ქ. კიშინიოვში გაიმართა შეხვედრები, რომლებსაც 15 სხვადასხვა ქვენის ექსპერტები დაესწრნენ. შეხვედრებმა კომისიას შესაძლებლობა მისცა, შეემუშავებინა საერთაშორისო საკოორდინაციო ხელშეკრულების პროექტის სამუშაო ვერსია 700მჰც და 3.4-3.8გჰც მოსაზღვრე რეგიონებში ტექნიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს ეფექტურ და სწრაფ ტექნოლოგიურ განვითარებას, თანამედროვე უსადენო დაშვების ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელების დანერგისას. ჯგუფის საქმიანობის მთავარი საკითხებია, როგორც LTE ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მობილური საკომუნიკაციო ქსელების იმპლემენტაცია, ასევე, ციფრული ტელევიზიისა და ციფრული დივიდენდების დანერგვის ხელშეწყობა. კოორდინაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას, ჯგუფის მიზანი ეფექტური მექანიზმების შემუშავებაა. SEWG აქტიურად მუშაობს თანამედროვე (5G) საკომუნიკაციო ქსელების იმპლემენტაციასა და დანერგვის სამომავლო სტრატეგიის შემუშავებაზე.

- კომუნიკაციების კომისიის აპარატის მრჩეველთა საბჭოს წევრი, სერგო შავგულიძე მეორე ოთხწლიანი ვადით, ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის (ITU) რადიოსაკომუნიკაციო სექტორის მე-5 შემსწავლელი ჯგუფის (ITU-R SG5) თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. ITU-R-ის შემსწავლელი ჯგუფები, რომლებიც ასამბლეებს შორის პერიოდში ფუნქციონირებენ, რადიოკომუნიკაციის მსოფლიო ასამბლეებზე ფორმირდება. მათი დანიშნულებაა, შეიმუშაონ რეკომენდაციების პროექტები, რომლებიც შემდგომში ITU-ის წევრი ქვეყნების მიერ განიხილება და მტკიცდება. ITU-R SG5 ჯგუფი შეისწავლის ტერესტრიალურ სერვისებს, კერძოდ სისტემებსა და ქსელებს ფიქსირებული, მობილური, რადიოგანსაზღვრის, სამოყვარულო და სამოყვარულო-თანამგზავრული სამსახურებისათვის.

[60] REGULATEL - ლათინურენოვანი ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების გაერთიანება
[61] ირლანდიის ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანო (ComReg), BEREC-ის 2019 წლის თავმჯდომარე და კომისია, EsPeReg-ის 2019 წლის თავმჯდომარე.

# დანართი 1. კომისიის სტრუქტურა






# დანართი 2. კომისიის ბიუჯეტი

| | 2019 წლის ფაქტიური | 2020 წლის გეგმა |
|---|---|---|
| **სულ შემოსავლები და რეზერვი** | **12,394,920** | **15,725,000** |
| რეგულირების საფასური | 8,692,970 | 9,280,028 |
| რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასური | 3,458,472 | 3,138,075 |
| საპროცენტო და სხვა შემოსავლები | 243,478 | 258,000 |
| სარეზერვო ფონდი | | 3,048,897 |
| **სულ ხარჯები** | **11,755,152** | **15,725,000** |
| ძირითადი საშუალებები | 61,272 | 489,270 |
| საკანცელარიო, საფოსტო, პოლიგრაფიული და ჟურნალ-გაზეთების ხარჯები | 12,666 | 60,920 |
| კომუნიკაციის, ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი აირის და სხვა კომუნალური ხარჯები | 159,955 | 167,970 |
| ავტომანქანების საწვავის, შენახვისა და რემონტის ხარჯები | 135,511 | 93,187 |
| მივლინების ხარჯები | 257,344 | 83,229 |
| საბანკო მომსახურეობის ხარჯი | 13,357 | 3,000 |
| კონფერენციების ჩატარების, მუშა სემინარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვა ხარჯები | 99,489 | 252,296 |
| სხვადასხვა საწევრო გადასახადები | 50,195 | 59,260 |
| საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა ხარჯები | 434,672 | 1,305,138 |
| სხვა საერთო ხარჯები | 854,338 | 840,405 |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | 72,383 | 50,000 |
| მიმდინარე რემონტის ხარჯები | 10,038 | 15,000 |
| შრომის ანაზღაურება და სახელმწიფო ბიუჯეტის ანარიცხები | 5,720,272 | 5,992,341 |
| მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ხარჯები | 4,560 | 23,775 |
| მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის შრომის ანაზღაურების და სახ. ბიუჯეტის ხარჯები | 239,388 | 198,778 |
| შრომის წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების ფონდი | 1,213,904 | 1,083,787 |
| მედიაწიგნიერების ხარჯები | 2,415,808 | 5,006,644 |

# დანართი 3. მომხმარებელთა საჩივრების სტატისტიკა

წინა წლებთან შედარებით, 2019 წელს მომხმარებელთა მიმართვიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა[62]. კომუნიკაციების კომისიასთან არსებულ, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში, გაორმაგდა განცხადებებისა და საჩივრების რაოდენობა.
2019 წლის განმავლობაში 714 საჩივარი/პრეტენზია დაფიქსირდა, საიდანაც უმრავლესობა უხარისხო ინტერნეტ მომსახურებას ეხება. აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში, sheamotsme.ge-ს ფარგლებში, ინტერნეტის ხარისხის შესახებ 392 საჩივარი შევიდა.

## 2019 წლის თემატურად წარმოდგენილი საჩივრების სტატისტიკა[63]

| თემატიკა | რაოდენობა |
|---|---|
| უხარისხო სატელეკომუნიკაციოს მომსახურება, მათ შორის sheamotsme.ge-ზე შემოწმებული ინტერნეტის ხარისხი | 510 |
| მომსახურების საფასურის დარიცხვის სისწორე და სადავო დავალიანება | 79 |
| ელექტრონული საკომუნიკაციო კავშირის დაზიანება; მომსახურების შეზღუდვის ან/და შეწყვეტის პირობები | 57 |
| სატელეკომუნიკაციო მომსახურების ფასების ზრდა | 55 |
| სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიღების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების დაყოვნება ან/და დაუკმაყოფილებლობა | 36 |
| მომხმარებლის არასათანადო ინფორმირება | 22 |
| სატელეკომუნიკაციო მომსახურების პაკეტების ცვლილება | 18 |
| საანძო მეურნეობების განთავსების/ექსპლუატაციაში შეყვანის შედეგად სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში რადიაციული დასხივება | 7 |
| ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების შესახებ სააბონენტო ხელშეკრულების პირობები | 2 |
| სხვა | 95 |

[62] მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში
http://momkhmarebeli.gncc.ge/wp-content/uploads/2020/05/ang-2019.pdf?fbclid=IwAR2oEp_An1LxVGsOG-8IbjWG0wIbU9mcMVfQsrlQ04I6FHJ_xpZEipzJmo0
[63] საჩივრების საერთო რაოდენობა და თემატიკის მიხედვით გადანაწილებული საჩივრების რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგან ზოგიერთი საჩივარი ერთდროულად რამდენიმე საკითხს ეხებოდა



# დანართი 4. ლიცენზირება და ავტორიზაცია

მოდიფიცირდა რადიომაუწყებლობის 8 ლიცენზია

რადიომაუწყებლობის 2 ლიცენზიის გადაცემაზე გაიცა 3 თანხმობა

გაიცა კერძო საერთო რადიომაუწყებლობის ერთი ლიცენზია

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

გაუქმდა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 3 ლიცენზია

მაუწყებლობაზე ავტორიზაცია გაიარა 13 იურიდიულმა პირმა

განხორციელდა 8 იურიდიული პირის მაუწყებლობის ავტორიზაციის მოდიფიცირება

მაუწყებლობაზე ავტორიზაცია გაუქმდა 1 იურიდიულ პირს

საკუთარი განცხადების საფუძველზე მაუწყებლობაზე ავტორიზაცია შეუჩერდა 6 იურიდიულ პირს

კომისიის ინიციატივით მაუწყებლობის ავტორიზაციის შეჩერება არ განხორციელებულა

მაუწყებლობის სფეროში ავტორიზაციაზე უარი ეთქვა 3 იურიდიულ პირს

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

ავტორიზაცია გაიარა 35 იურიდიულმა პირმა

საკუთარი განცხადების საფუძველზე ავტორიზაცია გაუუქმდა 36 იურიდიულ პირს

საკუთარი განცხადების საფუძველზე ავტორიზაცია შეუჩერდა 2 იურიდიულ პირს

კომისიის ინიციატივით ავტორიზაცია შეუჩერდა 14 იურიდიულ პირს

არაავტორიზებადი საქმიანობისთვის გაიცა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 261 უფლება

ავტორიზებადი საქმიანობისთვის დამხმარე ტექნოლოგიური, არაკომერციული დანიშნულებით გაიცა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 10 უფლება

## დანართი 5. რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმა და თავისუფალი სიხშირული რესურსი

რადიომაუწყებლობისთვის განკუთვნილი ამოწურვადი სიხშირული რესურსის ეფექტიანად გამოყენების უზრუნველსაყოფად, კომუნიკაციების კომისია ,,ადგილობრივი მაუწყებლობის ზონალური დაყოფის შესახებ” კომისიის 2006 წლის 5 დეკემბრის №5 დადგენილებაში შესატან ცვლილებებზე მუშაობს. აღნიშნული ცვლილებების პროექტი, რადიომაუწყებლობისთვის ახალი სამაუწყებლო ზონების დადგენასთან ერთად, თავის მხრივ, თავისუფალ სიხშირულ რესურსზე მოახდენს გავლენას. პროექტის დასრულების შემდეგ, კომისია განახლებულ თავისუფალ სიხშირულ რესურსს გამოაქვეყნებს.

## დანართი 6. კომისიის მიერ მიღებული დადგენილებები

**1. „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N1; 17.01.2019** - აღნიშნული ცვლილების მიზანია, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირისთვის დაკისრებული სატარიფო რეგულირებისა და დანახარჯების, ასევე, შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის სპეციფიკური ვალდებულებების ფარგლებში, მოსამზადებელი მომსახურების დანახარჯთა კალკულაციის პრინციპები, კრიტერიუმები და წესები უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს. აღნიშნული ცვლილებით კიდევ უფრო დაიხვეწა ავტორიზებული პირების მიერ  შემოსავლების, დანახარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების განცალკევებულად აღრიცხვის სპეციფიკური  მარეგულირებელ პრინციპები და განისაზღვრა ანგარიშგების  მომზადების წესი.

    დავის საგანი: ,,შპს „რკინიგზის ტელეკომისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ კომისიის 2019 წლის 17 ოქტომბრის №გ-19-18 / 606 გადაწყვეტილება (სანქცია: წერილობითი გაფრთხილება კომისიის თანხმობის მოპოვების გარეშე წილის გასხვისების გამო)
    სტატუსი: მიმდინარე. დავა განიხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

20. მოსარჩელე: შპს ,,კავკასუს ონლაინის“ ბენეფიციარი მესაკუთრე
    მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
    დავის საგანი: ,,შპს „კავკასუს ონლაინისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ კომისიის 2019 წლის 17 ოქტომბრის №გ-19-18 / 605 გადაწყვეტილება (სანქცია: წერილობითი გაფრთხილება კომისიის თანხმობის მოპოვების გარეშე წილის გასხვისების გამო)).
    სტატუსი: მიმდინარე. დავა განიხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

21. მოსარჩელე: სს ,,სილქნეტი“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2019 წლის 3 ოქტომბრის № 19-4/579 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით, გაუქმდა სს ”გაერთიანებულმა ტელეკომის” რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F11 ლიცენზია და ძალადაკარგულად გამოცხადდა კომისიის 2013 წლის 22 ივლისის №460/6 გადაწყვეტილება; უზრუნველყოს სს „გაერთიანებულმა ტელეკომმა“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის NF11 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის, ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის დარჩენილი ნაწილის 1,321,890.04 (მილიონ სამასოცდაერთი ათას რვაასოთხმოცდაათი და 04) ლარის დაუყოვნებლივ გადახდა.
სტატუსი: მიმდინარე.

22. მოსარჩელე: სს ,,სილქნეტი“ (შპს ,,ჯეოსელის“ სამართალმემკვიდრე)
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2017 წლის 13 აპრილის № 258/18 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით, შპს „ჯეოსელს“ მიეცეს გაფრთხილება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის დ) და ე) ქვეპუნქტების, 35-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საქართველოში საერთაშორისო ზარების ტერმინაციის დროებითი რეგულაციის დადგენის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 9 ოქტომბრის N571/9 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კომისიის 2016 წლის 29 დეკემბრის N857/19 გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის, „მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ კომისიის 2010 წლის 21 მაისის N240/9 გადაწყვეტილების 4.1 პუნქტის და 4.5 პუნქტის გ) ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევის გამო.
სტატუსი: მიმდინარე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით შპს ,,ჯეოსელის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სს ,,სილქნეტის“ (შპს ,,ჯეოსელის“ სამართალმემკვიდრე) მიერ გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

23. მოსარჩელე: სს ,,სილქნეტი“ (შპს ,,ჯეოსელის“ სამართალმემკვიდრე)
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
მესამე პირი: კავკასიის ციფრული ქსელები
დავის საგანი: კომისიის 2014 წლის 9 სექტემბრის №508/22 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით შპს „ჯეოსელს“, როგორც მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს მიეცა გაფრთხილება დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულების დარღვევით მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო.
სტატუსი: მიმდინარე. ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 5 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით შპს ,,ჯეოსელის“ საკასაციო საჩივარი მიღებულია წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად.

24. მოსარჩელე: სს ,,სილქნეტი“ (შპს ,,ჯეოსელის“ სამართალმემკვიდრე)
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2017 წლის 27 ივლისის №516/18 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით, საერთაშორისო ზარების დასრულების ნაწილში კანონდარღვევით ურთიერთჩართვის შეწყვეტის გამო, შპს „ჯეოსელს“ დაეკისრა ჯარიმა 30000 ლარის ოდენობით და დაევალა შპს „სისტემ ნეტისთვის“ საერთაშორისო ზარების დასრულების ნაწილში კანონდარღვევით შეწყვეტილი ურთიერთჩართვის დაუყოვნებლივ აღდგენა.
სტატუსი: მიმდინარე. სს ,,სილქნეტის“ შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 ივლისის განჩინებით შეჩერდა სამართალწარმოება კომისიის 2017 წლის 11 მაისის №332/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე საქმეზე სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 7 სექტემბრის განჩინებით გადაწყვეტილების მოქმედება შეჩერდა. თბილისის სააპელაცო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის განჩინებით კომისიის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილების მოქმედება შეჩერებულია.



25. მოსარჩელე: შპს ,,ვიონი საქართველო“ (,,მობიტელის“ უფლებამონაცვლე)
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2015 წლის 24 სექტემბრის №582/18 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით „მობიტელს“ დაეკისრა ჯარიმა 30 000 ლარის ოდენობით წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე მომხმარებლისთვის მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდების გამო.
სტატუსი: მიმდინარე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 24 ივლისის განჩინებით კომისიის 2018 წლის 19 ივლისს განცხადების საფუძველზე განახლდა საქმის წარმოება. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 8 თებერვლის განჩინებით გადაწყვეტილების მოქმედება შეჩერდა. არ გასაჩივრებულა (გოგიაშვილი). 2016 წლის 2 ივნისის განჩინებით საქმის წარმოება შეჩერდა კომისიის 2015 წლის 11 ივნისის 341/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

26. მოსარჩელე: შპს ,,ვიონი საქართველო“ (,,მობიტელის“ უფლებამონაცვლე)
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2017 წლის 5 ოქტომბრის № 662/18 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით შპს „მობიტელს“ მიეცა წერილობითი გაფრთხილება წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე მომხმარებლისთვის მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდების გამო.
სტატუსი: მიმდინარე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გასაჩივრდა თბილისის სააპელაცო სასამართლოში.

27. მოსარჩელე: შპს ,,ვიონი საქართველო“ (,,მობიტელის“ უფლებამონაცვლე)
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2017 წლის 13 აპრილის №260/18 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით შპს „მობიტელს“ მიეცა გაფრთხილება მასზე დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების პირობებთან და კომისიის გადაწყვეტილებებთან შესაბამისი მომსახურების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტის) გამოსაქვეყნებლად კომისიაში წარმოუდგენლობის გამო.
სტატუსი: მიმდინარე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

28. მოსარჩელე: შპს ,,ვიონი საქართველო“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2018 წლის 26 აპრილის №230/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აღნიშნული გადაწყვეტილებით შპს „ვიონი საქართველოს“ დაეკისრა ჯარიმა 270 000 ლარის ოდენობით წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე მომხმარებლისთვის მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდების გამო.
სტატუსი: მიმდინარე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

29. მოსარჩელე: შპს ,,ვიონი საქართველო“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2017 წლის 16 ნოემბრის № 752/18 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით შპს „ვიონი საქართველოს“ დაეკისრა ჯარიმა 30000 ლარის ოდენობით წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე მომხმარებლისთვის მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდების გამო.
სტატუსი: მიმდინარე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

30. მოსარჩელე: შპს ,,ვიონი საქართველო“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2018 წლის 25 იანვრის №21/18 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით შპს „ვიონი საქართველოს“ დაეკისრა ჯარიმა 90000 ლარის ოდენობით წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე მომხმარებლისთვის მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდების გამო.
სტატუსი: მიმდინარე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

31. მოსარჩელე: შპს ,,ვიონი საქართველო“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2019 წლის 25 ივლისის №18/438 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.
აღნიშნული გადაწყვეტილებით შპს „ვიონი საქართველოს“ მიეცა გაფრთხილება აუდირებული აღრიცხვის ანგარიშის წარმოუდგენლობის გამო.
სტატუსი: 2019 წლის 15 ნოემბერს სარჩელი განუხილველი დარჩა

32. მოსარჩელე: შპს ,,მაგთიკომი“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2017 წლის 13 აპრილის №259/18 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით შპს „მაგთიკომს“ მიეცა გაფრთხილება მასზე დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების პირობებთან და კომისიის გადაწყვეტილებებთან შესაბამისი მომსახურების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტის) გამოსაქვეყნებლად კომისიაში წარმოუდგენლობის გამო.
მიმდინარე: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

33. მოსარჩელე: შპს ,,ახალი ქსელები“, შპს ,,ახტელი“, შპს ,,ოპტიკურ - ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი ფოპტნენტი“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2016 წლის 12 აგვისტოს №01/3121-16 წერილის გაუქმება და კომისიის სხდომების აუდიო- ჩანაწერის მათთვის გადაცემა.
სტატუსი: მიმდინარე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 3 მაისის განჩინებით შპს ,,ჯეოსელის“ საკასაციო საჩივარი მიღებულია წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად.

34. მოსარჩელე: შპს ,,სამაუწყებლო კომპანია ,,რუსთავი 2“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2017 წლის 15 ივნისის № 392/18 გადაწყვეტილება.
აღნიშნული გადაწყვეტილებით ,,რუსთავი 2“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან ეთერში სოციალური რეკლამის სახით პოლიტიკური შინაარსის რეკლამის, ასევე, არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური შინაარსის რეკლამისა განთავსებისა და პოლიტიკური პარტიის მიერ მისი დაფინანსების გამო.
მიმდინარე: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

35. მოსარჩელე: შპს ,,სამაუწყებლო კომპანია ,,რუსთავი 2“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2018 წლის 8 თებერვლის № 61/18 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით ,,რუსთავი 2“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და დაეკისრა ჯარიმა სპონსორობისა და პროდუქტის განთავსების წესების დარღვევის გამო.
სტატუსი: მიმდინარე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 22 მაისის განჩინებით აპელაცია არ დაკმაყოფილდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 9 აგვისტოს განჩინებით რუსთავი 2-ის საკასაციო საჩივარი მიღებულია წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად.

36. მოსარჩელე: შპს ,,სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
დავის საგანი: კომისიის 2019 წლის 27 ივნისის № 18/382 გადაწყვეტილება. შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს დაეკისრა გაფრთხილება ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 67-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 691 მუხლის მე-2 პუნქტის ა), ბ) და გ) ქვეპუნქტების, 451 მუხლის მე-10 პუნქტის ა) ქვეპუნქტის და 70-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 14 იანვრის N1 დადგენილებით დამტკიცებული „სპონსორზე მითითების სახელმძღვანელო რეკომენდაციების“ მე-5 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების დარღვევის გამო;
სტატუსი: მიმდინარე. მოსამზადებელი სხდომა 2019 წლის 17 ოქტომბერს; 19 დეკემბერს;



37. მოსარჩელე: შპს ,,Batumi Media Group”, მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;
დავის საგანი: კომისიის 06.02.14 N75/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;
შედეგი: იხილება პირველ ინსტანციაში, მოსარჩელე არ ცხადდება სხდომაზე.

38. მოსარჩელე: შპს ,,სტუდია მაესტრო“, სამოქალაქო განათლების ფონდი, შპს ,,სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“, შპს ,,ევროპა პლიუს-თბილისი“, შპს ,,ქართული რადიო“, შპს ,,ტელერადიო“
მოპასუხე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;
დავის საგანი: კომისიის 2014 წლის 27 მარტის N175/19 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, აღნიშნული გადაწყვეტილებით მაუწყებლების მიერ კომისიაში წარმოსადგენ ანგარიშგების ფორმებში შევიდა ცვლილებები, ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად;
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოში და თბილისის სააპელაციო სასამართლოში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრდა საკასაციო წესით და იხილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

39. მოსარჩელე: შპს „ჯეოსელი“
დავის საგანი: კომისიის 2016 წლის 19 ივლისის N486/18 გადაწყვეტილება „შპს „ჯეოსელისთვის“ ადმინისტრაციული პასუხიმგებლობის დაკისრებისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში გადაგზავნის შესახებ“ შპს „ჯოდო ტელეკომუნიქეიშენსთან“ დაკავშირებით ინფორმაციის წარმოუდგენლობასთან დაკავშირებული საქმე.
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. აღნიშნული გადაწყვეტილება კომისიის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კომისიის მიერ გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

40. მოსარჩელე: შპს „ახალი ქსელები“ და შპს „ახტელი“
დავის საგანი: კომისიის 2016 წლის 12 აპრილის N232/18 გადაწყვეტილება „შპს „ახალი ქსელებისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“. კომისიის 2016 წლის 12 აპრილის N231/18 გადაწყვეტილება „შპს „ახტელისათვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“. შპს TECHNOMAX-ის არამართლზომიერ გატარებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები.
შედეგი: პირველ ინსტანციაში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებადია სააპელაციო სასამართლოში.

41. მოსარჩელე: შპს „ახტელი“
დავის საგანი: კომისიის 2017 წლის 12 იანვრის N19/18 გადაწყვეტილება „შპს „ახტელისათვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“. საავტორო უფლებების დარღვევა შპს TECHNOMAX LLP-სთან ერთად.
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებადია თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

42. მოსარჩელე: შპს „Batumi media group“
დავის საგანი: კომისიის 2017 წლის 11 მაისის №341/18 გადაწყვეტილებით შპს ,,BATUMI MEDIA GROUP”-ს დაეკისრა ჯარიმა (27 000 ლარი), სატელევიზიო არხების საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დარღვევით გადაცემის გამო. ამასთან დაევალა სატელევიზიო არხების საქართველოს ტერიტორიაზე არამართლზომიერი გადაცემის დაუყონებლივ შეწყვეტა.
შედეგი: იხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

43. მოსარჩელეები: შპს „მაიფონი, შპს „სითი ტელეკომი“, შპს „ჯტს“
დავის საგანი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 16 მაისის N345/22 გადაწყვეტილება;
შედეგი: პირველ ინსტანციაში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებადია სააპელაციო სასამართლოში;

44. მოსარჩელე: შპს „კავკასუს ონლაინი“
დავის საგანი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 16 მაისის N345/22 გადაწყვეტილება.
შედეგი: პირველ ინსტანციაში და თბილისის სააპელაციო სასამართლოში სარჩელი არ დაკმაყოფილდა და შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ წარდგენილია საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

45. მოსარჩელე: შპს „ჯეოსელი“
დავის საგანი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 11 მაისის N332/18 გადაწყვეტილება;
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებადია თბილისის სააპელაციო სასამართლოში;

46. მოსარჩელე: შპს „მაგთიკომი“
დავის საგანი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 11 მაისის N331/18 გადაწყვეტილება;
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შპს „მაგთიკომის“ მიერ გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

47. მოსარჩელე: შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნა“
დავის საგანი: „ქ. თბილისში კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ“ კომისიის 2017 წლის 6 აპრილის N222/10 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოში და თბილისის სააპელაციო სასამართლოში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებადია საკასაციო წესით.

48. მოსარჩელე: შპს „სტერეო+“
დავის საგანი: კომისიის 2017 წლის 4 აპრილის N220/2 გადაწყვეტილების ნაწილობრივ (MUX D ლიცენზიის მოდიფიცირებისა რუსული არხების გადაცემის შეზღუდვის თაობაზე) პროცესზე მოსარჩელემ წარმოადგინა შუამდგომლობა უფლებამონაცვლეობასთან დაკავშირებით, კერძოდ სტერეო+, რომ შეიცვალოს დი+-ით, ასევე გაზარდეს მოთხოვნა და შპს „დი+“-მა გაასაჩივრა მისთვის ლიცენზიის გადაპირების კომისიის გადაწყვეტილება.
შედეგი: იხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში;

49. მოსარჩელე: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
დავის საგანი: კომისიის 2018 წლის 29 მარტის N172/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

50. მოსარჩელე: კატევე 1
დავის საგანი: კომისიის 2018 წლის 15 მარტის N152/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

51. მოსარჩელე: შპს „სუპერ ტვ“
დავის საგანი: კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის N93/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;
შედეგი: იხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში

52. მოსარჩელე: შპს „კავკასუს ონლაინი
დავის საგანი: კომისიის 2017 წლის 21 დეკემბრის N821/19 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „კავკასუს ონლაინის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

53. მოსარჩელე: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“
დავის საგანი: კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის N664/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

54. მოსარჩელე: შპს „ტელეკომპანია კავკასია“
დავის საგანი: კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის N664/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;
შედეგი: იხილება თბილსის საქალაქო სასამართლოში;

55. მოსარჩელე: შპს „კატევე 1“
დავის საგანი: კომისიის 2018 წლის 16 აგვისტოს N486/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.



56. მოსარჩელე: ა(ა)იპ „ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“
დავის საგანი: კომისიის 2019 წლის 4 აპრილის N198/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;
შედეგი: იხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

57. მოსარჩელე: შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“
დავის საგანი: კომისიის 2019 წლის 11 ივლისის №გ-19-18/407 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;
შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

58. მოსარჩელე სს „სილქნეტი“
დავის საგანი: კომისიის 2019 წლის 30 აპრილის N266/9, 267/9 და 268/9 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა;
შედეგი: იხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

59. მოსარჩელე: შპს „ტელეკომპანია პირველი“
დავის საგანი: კომისიის 2019 წლის 3 სექტემბრის №გ-19-18/500 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;
შედეგი: იხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

60. კომპანია: შპს „სამაუწყებლო კოპანია რუსთავი 2“
სამართალდარღვევა: კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნება
შედეგი: 1500 ლარი

61. კომპანია: შპს „თავისუფალი გაზეთი +“
სამართალდარღვევა: „კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნება
შედეგი: სიტყვიერი შენიშვნა

62. კომპანია: შპს „რადიო კომპანია პირველი რადიო“
სამართალდარღვევა: „კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნება
შედეგი: სიტყვიერი შენიშვნა

63. კომპანია: ააიპ „ჟურნალისტთა კავშირი ხალხის ხმა“
სამართალდარღვევა: კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნება
შედეგი: შეწყდა წარმოება

64. კომპანია: შპს „საინფორმაციო ცენტრების ქსელი“
სამართალდარღვევა: კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნება
შედეგი: სიტყვიერი შენიშვნა

65. მოსარჩელე: მოქალაქე ალექსანდრე მძინარიშვილი (კონსტიტუციური სარჩელი)
დავის საგანი: „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 103 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და 25-ე მუხლის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველ პუნქტთან [ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით] მიმართებით.
შედეგი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო: ა) გასაჩივრებული დადგენილების 103 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ინტერნეტდომენის გამცემის უფლებამოსილებას, ინტერნეტგვერდზე „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ჰ2 ქვეპუნქტით განსაზღვრული სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი, პირადი ცხოვრების შემლახველი, ცილისმწამებლური,

შეურაცხმყოფელი, უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევი ან უზუსტო პროდუქციის აღმოჩენის შემთხვევაში მოახდინოს ინტერნეტგვერდის დაბლოკვა; ბ) 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებას, მოახდინოს რეაგირება „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ჰ2 ქვეპუნქტით განსაზღვრული სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი, პირადი ცხოვრების შემლახველი, ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი, უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევი ან უზუსტო პროდუქციის განთავსების თაობაზე მიღებულ ინფორმაციაზე და მიიღოს შესაბამისი ზომები მისი აღმოფხვრის მიზნით; გ) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს მომსახურების მიმწოდებლის შესაძლებლობას, შეზღუდოს „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ჰ2 ქვეპუნქტით განსაზღვრული სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი, პირადი ცხოვრების შემლახველი, ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი, უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევი ან უზუსტო პროდუქციის შემცველი შეტყობინების გადაცემა.



## დანართი 11.
## აუდიტის დასკვნა

**სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია**
**სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება**

**2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და**

**დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა**

## მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებას სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში აღწერილი მომზადების საფუძველის მიხედვით;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

კახი ბექაური
კომისიის თავმჯდომარე

ნათია დევდარიანი
საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფის უფროსი

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

თარიღი: 2020 წლის 3 აპრილი



**სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია**
**სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები**
**2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**
**თანხები მოცემულია ლარში**

## შინაარსი

| | |
|---|---|
| მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა | 2 |
| დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა | 3 |
| სპეციალური დანიშნულების საქმიანობის შედეგების ანგარიშგება | 5 |
| სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები | |
| 1 კომისია და მისი ძირითადი საქმიანობა | 6 |
| 2 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა | 7 |
| 3 კომუნიკაციებისა და სამაუწყებლო სექტორის რეგულირებიდან მიღებული შემოსავალი | 8 |
| 4 რადიოსიხშირული სპექტრის და ნუმერაციის რესუსურსით სარგებლობიდან მიღებული შემოსავალი | 9 |
| 5 მედიაწიგნიერების ხარჯები | 9 |
| 6 არასაოპერაციო შემოსავალი | 9 |
| 7 საპროცენტო შემოსავალი | 9 |
| 8 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები | 9 |

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდია 9

MOORE

Moore Abc, LLC
6 Marjanishvili Street
0102, Tbilisi, Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moore.ge

www.moore-georgia.ge

**დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა**

**სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია"-ს მენეჯმენტს**

***მოსაზრება***

ჩვენ ჩავატარეთ სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია"-ს (შემდგომში "კომისია" თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, აკადემიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

***მოსაზრების საფუძველი***

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - ''აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე'' - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომისიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

***მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე***

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში აღწერილ სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომისიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომისიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.



***აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე***

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

• ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

• შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომისიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

• ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

• დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

**მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი**

ხელმომწერის სარეგისტრაციო ნომერი აუდიტორთა რეესტრში SARAS-A-865011
ფირმის სარეგისტრაციო ნომერი აუდიტორთა რეესტრში SARAS-F-320544

**თარიღი: 3 აპრილი, 2020**

**თბილისი, საქართველო**

**სპეციალური დანიშნულების საქმიანობის შედეგების ანგარიშგება**

| | შენიშვნა | 2019 | 2018 |
|---|---|---|---|
| კომუნიკაციებისა და სამაუწყებლო სექტორის რეგულირებიდან მიღებული შემოსავალი | 3 | 8,692,970 | 8,713,496 |
| რადიოსიხშირული სპექტრის და ნუმერაციის რესუსრსით სარგებლობიდან მიღებული შემოსავალი | 4 | 3,458,472 | 1,499,775 |
| საპროცენტო შემოსავლები | 7 | 230,620 | 50,283 |
| შრომის ანაზღაურება | | (5,720,272) | (5,159,416) |
| მედიაწიგნიერების ხარჯები | 5 | (2,415,808) | (410,438) |
| შრომის წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების ხარჯები | | (1,213,904) | (1,386,267) |
| სხვა საერთო ხარჯები - (შენობის დაცვის ღირებულება, დაზღვევა, კომისიის ვებ–გვერდის მომსახურება და სხვ.) | | (854,338) | (357,682) |
| საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა ხარჯები | | (434,672) | (320,768) |
| მივლინების ხარჯები | | (257,344) | (277,561) |
| მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის შრომის ანაზღაურების და სახ. ბიუჯეტის ხარჯები | | (239,388) | (271,809) |
| კომუნიკაციის, ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი აირის ხარჯები | | (159,955) | (168,722) |
| ავტომანქანების საწვავის, შენახვის, რემონტისა და დაზღვევის ხარჯები | | (135,511) | (165,552) |
| კონფერენციების ჩატარების, სემინარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სპეციალისტთა და ექსპერტთა მომსახურებისა და სხვა ხარჯები | | (99,489) | (130,869) |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | | (72,383) | (25,600) |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | | (61,272) | (207,520) |
| სხვადასხვა საწევრო გადასახადები | | (50,195) | (47,414) |
| საბანკო მომსახურების ხარჯები | | (13,357) | (15,302) |
| საკანცელარიო, საფოსტო, პოლიგრაფიული და ჟურნალ-გაზეთების ხარჯები | | (12,666) | (25,631) |
| მიმდინარე რემონტის ხარჯები | | (10,038) | (16,688) |
| მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ხარჯები | | (4,560) | (3,381) |
| წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის ხარჯები | | - | (48,088) |
| არასაოპერაციო შემოსავალი | 6 | 12,858 | 3,875 |
| **წმინდა აქტივების ზრდა/(შემცირება)** | | **639,768** | **1,228,721** |

კახი ბექაური
კომისიის თავმჯდომარე

ნათია დევდარიანი
საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფის უფროსი

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

თარიღი: 3 აპრილი, 2020



**სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია**
**სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები**
**2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**
**თანხები მოცემულია ლარში**

**შენიშვნა 1 კომისია და მისი ძირითადი საქმიანობა**

წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სსიპ "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის" (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომისია") ფინანსურ ინფორმაციას.

სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ" საქმიანობა დაიწყო 2000 წლის 1 ივნისიდან.

კომისიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ). კომისიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მაუწყებლობის სფეროს და ელექტრონული კომუნიკაციების რეგულირება.

კომისიის მმართველობითი ორგანოა კომისია, რომელიცშედგება ექვსი წლის ვადით არჩეული ხუთი წევრისგან. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც კომისია სრული შემადგენლობის უმრავლესობით ფარული კენჭისყრის გზით, სამი წლით, ირჩევს. კომისიის თავმჯდომარე შესაძლებელია არჩეული იქნას ორი ვადითაც.

კომისია ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის და საქართველოს პარლამენტის წინაშე. კომისიის ძირითადი მიზნებია:

- კომუნიკაციების სფეროში თანასწორუფლებიანი და კონკურენტული გარემოს შექმნა;
- თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;
- მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა;
- სიხშირული სპექტრის ეფექტური განაწილება;
- მაუწყებლობის სფეროში კონკურენტული გარემოს შექმნა და განვითარების უზრუნველყოფა, აგრეთვე, მაუწყებელთა სარედაქციო დამოუკიდებლობის ხელშეწყობა.

2017 წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტის მიერ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, კომისიას განესაზღვრა ახალი ფუნქცია, რომელიც ითვალისწინებს მედიაწიგნიერების განვითარებას და ხელშეწყობას. თავის მხრივ, 2018 წელს კომისიამ განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების საფუძველზე შექმნა მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებაში მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობაზე.

დაკისრებულ ფუნქციას დეპარტამენტი ახორციელებს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროექტების მეშვეობით, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნების წარმატებული პრაქტიკების შესწავლის, მათი ეფექტიანობის შეფასებისა და საქართველოში განხორციელების შესაძლებლობების ანალიზის შედეგად შეირჩა.

*დეპარტამენტის მიზნებია:*

- ეროვნული მედიაწიგნეირების ქსელისა და მის მხარდასაჭერად შესაძლო ვებ-გვერდის/პლატფორმის შექმნა და კოორდინაცია;
- სასწავლო-საგანმანათლებლო პროდუქტების შექმნა, სოციალური რეკლამის დამზადება და განთავსება, კონფერენციის ორგანიზება და სხვა მიზნობრივი ღონისძიებების განხორციელება;
- ქვეყანაში მედიაწიგნიეირების მდგომარეობის შეფასების მიზნით კვლევების ჩატარება.

ასევე, აღნიშნული მიზნების მისაღწევად, 2018 წელს კომისიამ დააფუძნა ახალი იურიდიული ერთეული, ააიპ მედიააკადემია, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში მედიაწიგნიერების განვითარებას.

კომისიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი, ბოჭორმის ქ. №50/18.

**შენიშვნა 2 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა**

**2.1 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები**

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ქვემოთ მოცემული პრინციპების გამოყენებით.

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში („ლარი").

კომისიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომისიის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებით. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომისია გააგრძელებს საქმიანობას მომდევნო 12 თვის განმავლობაში. შესაბამისად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებით.

**2.2 შემოსავლები**

კომისიის შემოსავალი წარმოადგენს:

1. საქართველოს კომუნიკაციებისა და სამაუწყებლო სექტორში მოქმედი კომპანიებისგან (რომლებიც ექვემდებარებიან რეგულირებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად) მიღებულ რეგულირების საფასურს, კერძოდ:

ა) ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ავტორიზებული პირების საქმიანობისა და ლიცენზიის ან/და ნებართვის მფლობელების მიერ რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურით სარგებლობის რეგულირების საფასურს, რომელიც 2019 წელს იყო პირების/მფლობელების შემოსავლის (დღგ-ს გარეშე) 0.75%;

ბ) მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამაუწყელბლო კომპანიების რეგულირების საფასურს, რომელიც 2019 წელს იყო კომპანიების შემოსავლის (დღგ-ს გარეშე) 0.5%, აღნიშნული მოსაკრებლისგან თავისუფლდება მხოლოდ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი.

2. ავტორიზებული და არაავტორიზებული კომპანიებისგან მიღებულ შემოსავალს რადიოსიხშირული სპექტრის და ნუმერაციის რესურსით სარგებლობიდან, კერძოდ

ა) არაავტორიზებული პირებისგან მიღებულ შემოსავალს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მინიჭების საფასურიდან, რომელიც შეადგენს ფიქსირებულ 1,000 ლარს ერთ სიხშირეზე.

ბ) ავტორიზებული პირებისგან მიღებულ შემოსავალს დამხმარე ტექნოლოგიური, არაკომერციული დანიშნულებით რადიოსარელეო სიხშირეებით სარგებლობის უფლების მინიჭებიდან, რომელიც გამოითვლება კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის დადგენილება №1-ში მოცემული ფორმულით განსაზღვრული კოეფიციენტების გამოყენებით.

გ) ავტორიზებული პირებისგან მიღებულ შემოსავალს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭებიდან/გაგრძელებიდან, რომელიც არის ფიქსირებული ერთ ერთეულზე.

რეგულირებას დაქვემდებარებული კომპანიები კომისიაში ყოველი საანგარიშო თვის დასრულებიდან არა უგვიანეს მომდევნო თვის 20 რიცხვისა წარმოადგენენ გაანგარიშებას რეგულირებას დაქვემდებარებულ შემოსავალზე. კომისია რეგულირების საფასურიდან შემოსავალს აღიარებს რეგულირებას დაქვემდებარებული საქართველოს კომუნიკაციებისა და სამაუწყებლო სექტორში მოქმედი კომპანიებისგან რეგულირებას დაქვემდებარებულ შემოსავლებზე გაანგარიშების მიღებისას.

რადიოსიხშირული სპექტრის და ნუმერაციის რესურსით სარგებლობიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება კომისიის გადაწყვეტილების შედეგად, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნილი რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭების საფუძველს მიმღებისთვის, გარდა იმ შემთხვევია, როდესაც ხდება ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების განახლება, რა შემთხვევაშიც შემოსავალი აღიარდება ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდით და მისი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის კომისიისთვის წარდგენით.

**2.3 ხარჯები**

სპეციალური დანიშნულების საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სპეციალური დანიშნულების საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.





**შენიშვნა 2 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

**2.4 უცხოური ვალუტის გადაფასება**

უცხოურ ვალუტაში გამოხატული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისთვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება სპეციალური დანიშნულების საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში იმ დღისთვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

**შენიშვნა 3 კომუნიკაციებისა და სამაუწყებლო სექტორის რეგულირებიდან მიღებული შემოსავალი**

| | 2019 წელი | 2018 წელი |
|---|---|---|
| მაგთიკომი | 3,263,215 | 3,190,744 |
| სილქნეტი | 2,844,890 | 1,510,393 |
| ვიონი საქართველო | 911,632 | 848,186 |
| კავკასუს ონლაინი | 314,808 | 306,909 |
| ტელეიმედი | 138,182 | 143,373 |
| სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2 | 115,684 | 159,938 |
| ახალი ქსელები | 101,193 | 104,940 |
| შპს სქაიტელი | 60,701 | 23,814 |
| ახტელი | 55,213 | 62,595 |
| საქართველოს რკინიგზა | 54,029 | 43,294 |
| სისტემ ნეტ | 37,170 | 43,294 |
| შპს სერვისბოქსი | 34,523 | 26,862 |
| საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია | 32,690 | 42,266 |
| სტერეო + | 29,778 | 33,436 |
| შპს ო ენდ ემ ჯგუფი | 28,202 | 27,358 |
| გლობალ ერთი | 17,145 | 18,614 |
| მაიფონი | 9,894 | 8,059 |
| დელტა კომმი | 4,297 | 5,003 |
| სტუდია მაესტრო | 1,545 | 2,194 |
| PremiumNet InternationalSLR-ის ფილიალი საქართველოში | 441 | - |
| სუპერ ტვ | 150 | 22,577 |
| ჯეოსელი | - | 1,472,324 |
| ფოპნეტი | 65,077 | 68,161 |
| შპს სუპერ ტვ | - | 22,577 |
| სხვა შემოსავლები | 572,511 | 526,585 |
| **სულ** | **8,692,970** | **8,713,496** |

**შენიშვნა 4 რადიოსიხშირული სპექტრის და ნუმერაციის რესუსურსით სარგებლობიდან მიღებული შემოსავალი**

| | 2019 წელი | 2018 წელი |
|---|---|---|
| სილქნეტი | 1,132,788 | 56,970 |
| მაგთიკომი | 1,002,598 | 411,243 |
| ვიონი საქართველო | 628,394 | 239,995 |
| საქართველოს რკინიგზა | 27,200 | 27,000 |
| ახალი ქსელები | 25,762 | 23,162 |
| სს კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური | 11,000 | 10,000 |
| საქაერონავიგაცია | 9,870 | 10,261 |
| ახტელი | 8,770 | 7,150 |
| სს ქართუ ჯგუფი | 8,000 | 8,000 |
| შპს ალგანი | 7,000 | 10,000 |
| ქ.თბილისის მერია | 4,000 | 12,000 |
| ჯეოსელი | - | 415,169 |
| სხვა შემოსავლები | 593,090 | 268,826 |
| **სულ** | **3,458,472** | **1,499,775** |

### შენიშვნა 5 მედიაწიგნიერების ხარჯები

მედიაწიგნიერების ხარჯები მოიცავს როგორც უშუალოდ კომისიის მიერ გაწეულ ხარჯებს, ასევე მედიააკადემიის მიერ გაწეულ ხარჯებს, რომელიც დაფინანსებულია იმავე კომისიის მიერ.

| | 2019 წელი | 2018 წელი |
|---|---|---|
| სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია | 298,471 | 347,267 |
| ააიპ მედიააკადემია | 2,117,337 | 63,171 |
| **სულ** | **2,415,808** | **410,438** |

### შენიშვნა 6 არასაოპერაციო შემოსავალი

| | 2019 წელი | 2018 წელი |
|---|---|---|
| საკურსო სხვაობიდან შემოსავალი/(ზარალი) | 6,383 | (1,070) |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | 6,475 | 4,945 |
| **სულ** | **12,858** | **3,875** |

### შენიშვნა 7 საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი წარმოადგენს თიბისი ბანკში გახსნილ მიმდინარე ანაგარიშზე დარიცხულ სარგებელს.

### შენიშვნა 8 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო დადგა მწვავე ვირუსული დაავადების კორონავირუსი („COVID 19") გავრცელების საფრთხის წინაშე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანზიაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია გამოაცხადა. მსოფლიოსა და საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რიგი ღონისძიებები, მათ შორის გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი, რომელთაც შეზღუდეს ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობა. ორგანიზაციის მენეჯმენტი COVID 19-ით გამოწვეულ რისკებს მინიმუმზე აფასებს, რადგან მისი საქმიანობა ადაპტირებულია დისტანციურ ოპერირებაზე.

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენას, რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

*****

2019 წლის ანგარიში

www.ComCom.ge